- სერტიფიკატები: ინდუსტრიის და კომპანიის მიერ დაფინანსებული სერტიფიკატები ორგანიზაციებისგან, როგორიცაა Microsoft და Cisco, ადასტურებს, რომ პირი ფლობს ცოდნას, რომელიც საჭიროა კიბერუსაფრთხოების სპეციალისტად დასაქმებისთვის.
- სტაჟირება: უსაფრთხოების სტაჟირების ძიება სტუდენტის მიერ მომავალი შესაძლებლობების მოძიების მიზნით.
- გაწევრიანდით პროფესიულ ორგანიზაციებში: ჩაერთეთ კომპიუტერული უსაფრთხოების ორგანიზაციებში, დაესწარით შეხვედრებს, კონფერენციებს და ფორუმებს და გაეცანით ექსპერტების ბლოგებს ცოდნის გასაღრმავებლად.

თავი 2: კიბერუსაფრთხოების „კუბი“

კიბერუსაფრთხოების პროფესიონალები საუკეთესოდ აღიწერებიან, როგორც კიბერსივრცის დამცველი ექსპერტები. ჯონ მაკკუმბერი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ კიბერუსაფრთხოების ექსპერტს, რომელმაც განავითარა საყოველთაოდ გამოყენებული ჩარჩო სახელწოდებით McCumber Cube ან Cybersecurity Cube. ეს ჩარჩო გამოიყენება როგორც ინსტრუმენტი, ქსელების, დომენებისა და ზოგადად ინტერნეტის დაცვის მართვაში. კიბერუსაფრთხოების კუბი გარკვეულწილად რუბიკის კუბს ჰგავს.

კიბერუსაფრთხოების კუბის პირველი განზომილება მოიცავს ინფორმაციული უსაფრთხოების სამ პრინციპს. კიბერუსაფრთხოების პროფესიონალები განიხილავენ სამ პრინციპს, როგორც CIA-ს პირამიდას (ტრიადა). მეორე განზომილება განსაზღვრავს ინფორმაციის ან მონაცემების სამ მდგომარეობას. კუბის მესამე განზომილება განსაზღვრავს ექსპერტიზას, რომელიც აუცილებელია დაცვის უზრუნველსაყოფად. მათ ხშირად უწოდებენ კიბერუსაფრთხოების მცველთა სამ კატეგორიას.

2.1 კიბერუსაფრთხოების კუბის სამი განზომილება

უსაფრთხოების პრინციპები

კიბერუსაფრთხოების კუბის პირველი განზომილება განსაზღვრავს კიბერსივრცის დაცვის მიზნებს. პირველ განზომილებაში გამოვლენილი მიზნები ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს. ეს სამი პრინციპია კონფიდენციალობა, მთლიანობა და ხელმისაწვდომობა. პრინციპები უზრუნველყოფს ფოკუსირებას და საშუალებას აძლევს კიბერუსაფრთხოების ექსპერტს პრიორიტეტული გახდეს ნებისმიერი ქსელური სისტემის დაცვისას.

კონფიდენციალობა ხელს უშლის ინფორმაციის გამჟღავნებას არასანქცირებული ადამიანების, რესურსების ან პროცესების მიმართ. მთლიანობა ეხება მონაცემების სიზუსტეს, თანმიმდევრულობას და სანდოობას. საბოლოოდ, ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია წვდომადი იქნება უფლებამოსილი მომხმარებლების მიერ

საჭიროების შემთხვევაში. გამოვიყენოთ აკრონიმი CIA, რათა დავიმახსოვროთ ეს სამი პრინციპი.

მონაცემთა მდგომარეობები

კიბერსივრცე არის დომენი, რომელიც შეიცავს კრიტიკულად მნიშვნელოვანი მონაცემების მნიშვნელოვან რაოდენობას. შესაბამისად, კიბერუსაფრთხოების ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ მონაცემთა დაცვაზე. კიბერუსაფრთხოების კუბის მეორე განზომილება ყურადღებას ამახვილებს კიბერსივრცეში არსებული მონაცემების მდგომარეობის დაცვის პრობლემებზე. მონაცემებს აქვს სამი შესაძლო მდგომარეობა:

- მონაცემები გადაცემაში (ტრანზიტში)
- დროებით გამოუყენებელი ან შენახული მონაცემები
- მიმდინარე მონაცემები

კიბერსივრცის დაცვა მოითხოვს კიბერუსაფრთხოების სპეციალისტების არსებობას, რათა მათ უზრუნველყონ სამივე მდგომარეობაში არსებული მონაცემების დაცვა.

კიბერუსაფრთხოების გარანტიები

კიბერუსაფრთხოების კუბის მესამე განზომილება განსაზღვრავს კიბერუსაფრთხოების პროფესიონალის უნარებსა და მოთხოვნებს, რომელსაც შეუძლია კიბერსივრცის დაცვა. კიბერუსაფრთხოების პროფესიონალებმა უნდა გამოიყენონ კიბერსივრცეში არსებული მონაცემების დაცვისას მათთვის ხელმისაწვდომი სხვადასხვა უნარებისა და დისციპლინების სპექტრი. მათ ეს უნდა გააკეთონ კანონის სრული დაცვით.

კიბერუსაფრთხოების კუბი განსაზღვრავს სამი სახის უნარებსა და დარგებს, რომლებიც გამოიყენება დაცვის უზრუნველსაყოფად. პირველი უნარი მოიცავს საინფორმაციო სისტემების დასაცავად არსებულ ტექნოლოგიებს, მოწყობილობებსა და პროდუქტებს კიბერდამნაშავეების გამოსავლენად. კიბერუსაფრთხოების პროფესიონალებს გააჩნიათ რეპუტაცია მათ ხელთ არსებული ტექნოლოგიური ინსტრუმენტების დაუფლებისთვის. თუმცა მაკკუმბერი შეახსენებს მათ, რომ მხოლოდ ტექნოლოგიური იარაღები საკმარისი არ არის კიბერდამნაშავეების დასამარცხებლად. კიბერუსაფრთხოების პროფესიონალებმა ასევე უნდა შექმნან ძლიერი

დაცვა პოლიტიკის, პროცედურებისა და სახელმძღვანელოების დადგენის გზით, რაც საშუალებას აძლევს კიბერსივრცის მომხმარებლებს უსაფრთხოდ დარჩნენ და იმოქმედონ ოპტიმალური მეთოდებით. საბოლოოდ, კიბერსივრცის მომხმარებლებმა უნდა გაიღონ მეტი ძალისხმევა, რათა გაიღრმავონ ცოდნა კიბერსივრცის დაცვის საკითხებში და დაამკვიდრონ წინსვლისა და განვითარების კულტურა.

2.2 CIA ტრიადა - კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის პრინციპები

კონფიდენციალურობის პრინციპი

კონფიდენციალურობა აღკვეთს ინფორმაციის გამჟღავნებას არასანქცირებული ადამიანების, რესურსებისა და პროცესების მიმართ. ორგანიზაციები ზღუდავენ ხელმისაწვდომობას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მხოლოდ ავტორიზებულ პირებს შეეძლოთ გამოიყენონ მონაცემები ან სხვა ქსელური რესურსები. მაგალითად, პროგრამისტს არ უნდა ჰქონდეს წვდომა ყველა თანამშრომლის პირად ინფორმაციაზე.

ორგანიზაციებმა უნდა მოამზადონ თანამშრომლები საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მგრძნობიარე ინფორმაციის დაცვას საკუთარ თავსა და ორგანიზაციაზე თავდასხმებისგან დასაცავად. კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად გამოყენებული მეთოდები მოიცავს მონაცემთა დაშიფვრის, ავტორიზაციისა და წვდომის მართვას.

მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა

ორგანიზაციები აგროვებენ დიდი რაოდენობით მონაცემებს. ამ მონაცემების დიდი ნაწილი არ არის სენსიტიური, რადგან საჯაროდ ხელმისაწვდომია, როგორც სახელები და ტელეფონის ნომრები. თუმცა, სხვა მონაცემები შესაძლოა იყოს, სენსიტიური. სენსიტიური ინფორმაცია წარმოადგენს მონაცემებს, რომლებიც დაცულნი არიან არასანქცირებული წვდომისგან, რათა უზრუნველყონ ინდივიდის ან ორგანიზაციის დაცვა. არსებობს სამი სახის სენსიტიური ინფორმაცია:

- ✓ პერსონალური ინფორმაცია წარმოადგენს პირადად ამოცნობად ინფორმაციას (PII), რომელიც შესაძლებლობას იძლევა განხორციელდეს ინდივიდის თვალთვალი.
- ✓ სამსახურებრივი ინფორმაცია არის ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ყველაფერს, რაც საფრთხეს უქმნის ორგანიზაციას, თუ ის აღმოჩენილი იქნება არაავტორიზებული პირის ან კონკურენტის მიერ.
- ✓ საიდუმლო ინფორმაცია წარმოადგენს ინფორმაციას, რომელიც მიეკუთვნება სახელმწიფო ორგანოს და კლასიფიცირებულია მისი სენსიტიურობის დონის მიხედვით.

წვდომის მართვა

წვდომის მართვა განსაზღვრავს რიგი დაცვის სქემებს, რომლებიც აღკვეთენ კომპიუტერის, ქსელის, მონაცემთა ბაზის ან სხვა მონაცემთა რესურსების არასანქცირებულ წვდომას. AAA-ს ცნებები მოიცავს უსაფრთხოების სამ დონეს: ავთენტიფიკაცია, ავტორიზაცია და აღრიცხვა. ეს მომსახურება უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობის კონტროლის ძირითად ჩარჩოებს.

პირველი "A" AAA-ში წარმოადგენს ავთენტიფიკაციას. ავთენტიფიკაცია ადასტურებს მომხმარებლის ვინაობას არასანქცირებული წვდომის თავიდან ასაცილებლად. მომხმარებელი ადასტურებს თავის ვინაობას მომხმარებლის პაროლით ან პირადობის მოწმობით. გარდა ამისა, მომხმარებლებს ესაჭიროებათ გადაამოწმონ მათი ვინაობა შემდეგი ნაბიჯებით:

- რაიმე, რაც მათ იციან (როგორიცაა პაროლი)
- რაიმე, რაც მათ აქვთ (როგორიცაა ბარათი)
- რაიმე, რაც მხოლოდ მათი პირადულია (როგორიცაა თითის ანაბეჭდი)

მაგალითად, თუ ბანკომატიდან ნაღდი ფულის ასაღებად მიდიხართ, საჭიროა თქვენი საბანკო ბარათი (რაღაც გაქვთ) და თქვენ უნდა იცოდეთ PIN. ეს ასევე წარმოადგენს მულტიფაქტორული ავტორიზაციის მაგალითს. მულტიფაქტორული ავტორიზაცია მოითხოვს ერთზე მეტი ტიპის ავტორიზაციას. ავტორიზაციის ყველაზე პოპულარული ფორმა პაროლების გამოყენებაა.

ავტორიზაციის მომსახურება განსაზღვრავს, თუ რომელი რესურსების მომხმარებლებს შეუძლიათ ისარგებლონ იმ ოპერაციებთან ერთად, რომლებიც მომხმარებლებს შეუძლიათ შეასრულონ. ზოგიერთი სისტემა ამას ახორციელებს წვდომის მართვის სიის ან ACL(Access Control List)-ის გამოყენებით. ACL განსაზღვრავს, გააჩნია თუ არა მომხმარებელს გარკვეული წვდომის პრივილეგიები ავტორიზაციის განხორციელების შემდეგ. მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენ გაგაჩნიათ უფლება შეხვიდეთ კორპორატიულ ქსელში, არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ გაქვთ მაღალსიჩქარიანი ფერადი პრინტერის გამოყენების ნებართვა. ავტორიზაციის პროცესს ასევე შეუძლია გააკონტროლოს, რა შემთხვევაში აქვს მომხმარებელს კონკრეტულ რესურსთან ხელმისაწვდომობა. მაგალითად, თანამშრომლებს შეიძლება ჰქონდეთ სამუშაო საათებში გაყიდვების მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობა, მაგრამ სისტემა გააუქმებს ამ წვდომას რამდენიმე საათის შემდეგ.

აღრიცხვა თვალს ადევნებს იმას, რასაც მომხმარებლები აკეთებენ, მათ შორის, გარკვეულ რესურსებზე წვდომას, რესურსებზე ხელმისაწვდომობას მოცემულ საათებში და ნებისმიერ განხორციელებულ ცვლილებას. მაგალითად, ბანკი ინახავს თითოეული მომხმარებლის მიერ განხორციელებული მოქმედების შესახებ ინფორმაციას. ამ სისტემის აუდიტს შეუძლია გამოავლინოს ყველა ტრანზაქციის დრო და ოდენობა და სისტემის თანამშრომელი, რომელმაც განახორციელა მოცემული ტრანზაქცია. კიბერუსაფრთხოების აღრიცხვითი მომსახურება ანალოგიურად მუშაობს. სისტემა აკონტროლებს მონაცემთა თითოეულ ტრანზაქციას და უზრუნველყოფს აუდიტის შედეგებს. ადმინისტრატორს შეუძლია შექმნას კომპიუტერული პოლიტიკა, სისტემის აუდიტის გასააქტიურებლად.

AAA კონცეფცია მსგავსია საკრედიტო ბარათის გამოყენების სისტემისა. საკრედიტო ბარათი განსაზღვრავს, ვინ იყენებს მას, რა თანხა იქნა რეალიზებული და რა სერვისი იქნა გამოყენებული.

კიბერუსაფრთხოების სააღრიცხვო ოპერაციები ახდენს ქმედების მართვას და მონიტორინგს რეალურ დროში. საიტები, როგორიცაა Norse, აჩვენებენ თავდასხმებს რეალურ დროში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე, როგორც ნაწილს აღრიცხვის ან თვალთვალის სისტემისა.

კანონები და პასუხისმგებლობა

კონფიდენციალურობა და პრივატულობა ერთი შეხედვით, ურთიერთშემცვლელია, მაგრამ სამართლებრივი თვალსაზრისით, ისინი სხვადასხვა რამეს გულისხმობენ. პრივატული მონაცემების უმრავლესობა კონფიდენციალურია, მაგრამ ყველა კონფიდენციალური მონაცემი საკუთარი არაა. კონფიდენციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ხდება სათანადო ავტორიზაციის დადასტურების შემდეგ. ფინანსური ინსტიტუტები, საავადმყოფოები, სამედიცინო მუშაკები, იურიდიული ფირმები და ბიზნესი კონფიდენციალურ ინფორმაციას ამუშავებენ. კონფიდენციალურ ინფორმაციას გააჩნია არასაჯარო სტატუსი. კონფიდენციალურობის შენარჩუნება უფრო ეთიკური მოვალეობაა.

კონფიდენციალურობა არის მონაცემების შესაბამისი გამოყენება. როდესაც ორგანიზაციები აგროვებენ მომხმარებელთა ან თანამშრომლების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, მათ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია მხოლოდ შესაბამისი მიზნებისათვის. ორგანიზაციების უმრავლესობა თხოვს მომხმარებელს ან თანამშრომელს, ხელი მოაწეროს განაცხადის ფორმას, რომელიც აძლევს ორგანიზაციის ნებართვას მონაცემების გამოყენების შესახებ.

ყველა კანონი, რომელიც ჩამოთვლილია ქვრმოთ, მოიცავს დებულებას კონფიდენციალურობის შესახებ, მიღებულს აშშ კანონების შესაბამისად. ამ კანონების უმრავლესობა არის მონაცემთა შეგროვების მასიური ზრდის პასუხი.

- 1974 წლის კონფიდენციალურობის აქტი
- ინფორმაციის თავისუფლების აქტი (FOAI)
- საოჯახო განათლების ჩანაწერები და კონფიდენციალურობის აქტი (FEROA)
- აქტი აშშ კომპიუტერული თაღლითობისა და ძალადობის შესახებ (CFAA)
- აშშ ბავშვთა კონფედენციალურობის დაცვის აქტი (COPPA)
- ვიდეოს კონფიდენციალურობის დაცვის აქტი (VPPA)
- ჯანმრთელობის დაზღვევის პორტაბელურობა და ანგარიშვალდებულება
- გრამ-ლეჩ-ბლილის აქტი (GLBA)
- აშშ საბანკო წესები და რეგულაციები

- გადახდის ბარათის ინდუსტრიის მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტი (PCI DSS)
- სამართლიანი საკრედიტო ანგარიშგების აქტი (FCRA)

კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული წესების მზარდი რაოდენობა უწესებს დიდ პასუხისმგებლობას იმ ორგანიზაციებს, რომლებიც აგროვებენ და აანალიზებენ მონაცემებს. საერთო პოლიტიკების შემუშავება საუკეთესო საშუალებაა ორგანიზაციისთვის, რათა მათ მოახერხონ შეესაბამებოდნენ კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული კანონების მზარდ რაოდენობას.

- პერსონალური ინფორმაციის დაცვისა და ელექტრონული დოკუმენტების აქტი (კანადა)
- პერსონალური ინფორმაციის დაცვის აქტი (ჩინეთი)
- აქტი პერსონალური ინფორმაციის დაცვის შესახებ (იაპონია)
- მუხლი 8. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (გაერთიანებული სამეფო)

ამ პოლიტიკების შემუშავება ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ კონკრეტული წესები, პროცედურები და პროცესები მონაცემთა შეგროვების, შენახვისა და გაზიარების დროს.

მონაცემთა მთლიანობის პრინციპი

მთლიანობა არის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების სიზუსტე, თანმიმდევრულობა და სანდოობა. მთლიანობის კიდევ ერთი ტერმინია ხარისხი. მონაცემები განიცდიან შემდეგ ოპერაციებს, როგორიცაა მოძიება, შეცვლა, შენახვა, განახლება და გადაცემა. მონაცემები უნდა დარჩნენ შეუცვლელნი არასანქცირებული პირების მიერ ამ ოპერაციების განხორციელებისას.

მონაცემთა მთლიანობის უზრუნველსაყოფად გამოყენებული მეთოდები მოიცავს ჰეშირებას, მონაცემთა ვალიდურობის შემოწმებას, მონაცემთა სიზუსტის შემოწმებას და წვდომის მართვას. მონაცემთა მთლიანობის სისტემები შეიძლება შეიცავდეს ზემოთ ჩამოთვლილ მეთოდებს.

მონაცემთა მთლიანობის საჭიროება

მონაცემთა მთლიანობა ინფორმაციული უსაფრთხოების ფუნდამენტური კომპონენტია. მონაცემთა მთლიანობის საჭიროება

მერყეობს იმის მიხედვით, თუ როგორ იყენებს ორგანიზაცია მონაცემებს. მაგალითად, Facebook, როგორც წესი, არ ამოწმებს მონაცემებს, რომლებსაც მომხმარებლები აქვეყნებენ კედელზე. ბანკი ან ფინანსური ორგანიზაცია უფრო მაღალ მნიშვნელობას ანიჭებს მონაცემთა მთლიანობას, ვიდრე Facebook. გარიგებები და კლიენტების ანგარიშები უნდა იყოს ზუსტი. ჯანდაცვის ორგანიზაციაში მონაცემთა მთლიანობა შეიძლება იყოს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

მონაცემთა მთლიანობის დაცვა წარმოადგენს მუდმივ გამოწვევას ყველა ორგანიზაციისათვის. მონაცემთა მთლიანობის დაკარგვას შეუძლია გამოიწვიოს მთლიან მონაცემთა რესურსის არასაიმედოობა და საერთოდაც უსარგებლობა.

კრიტიკული დონე

ჯანდაცვისა და გადაუდებელი დახმარების სამსახურები:

- ყველა მონაცემი დამტკიცებულია და შემოწმებულია
- მონაცემები დამოწმებულია, რათა უზრუნველყოფილი იყოს სანდოობა
- მაგალითები მოიცავს ჯანდაცვისა და ფინანსურ ჩანაწერებს

მაღალი დონე

ელექტრონული კომერცია და ანალიტიკა:

- ყველა მონაცემი დამოწმებულია
- მონაცემები შემოწმებულია სანდოობის უზრუნველსაყოფად
- მაგალითები მოიცავს ორგანიზაციების მონაცემთა ბაზებს

საშუალო დონე

ონლაინ გაყიდვები და საძიებო სისტემები:

- შესრულებულია მცირე გადამოწმება
- მონაცემები არ არის სრულიად სანდო
- მონაცემები შეგროვებულია საჯაროდ გამოქვეყნებულ ფორმებთან

დაბალი დონე

დღიურები და პირადი განთავსების საიტები:

- მონაცემები შეიძლება არ იყოს დამოწმებული

- შინაარსის ნდობის დაბალი დონე
- მაგალითები მოიცავს საზოგადოებრივ აზრს და საჯარო ინფორმაციას

მთლიანობის შემოწმება

მთლიანობის შემოწმება არის მონაცემთა შეგროვების თანმიმდევრულობა (ფაილი, სურათი ან ჩანაწერი). მთლიანობის შემოწმება ახორციელებს პროცესს, რომელსაც ეწოდება hash ფუნქცია, და რომელიც ასრულებს მონაცემთა "სნეფშოთს" მცირე დროში. მთლიანობის შემოწმება იყენებს მიღებულ Snapshot-ს, რათა შეამოწმოს მონაცემების უცვლელობა.

საკონტროლო ჯამი წარმოადგენს hash ფუნქციის ერთ-ერთ მაგალითს. საკონტროლო ჯამი ადასტურებს ფაილების მთლიანობას ან სიმბოლოების სტრიქონებს, მას შემდეგ, რაც მოხდა მათი გადატანა ერთი მოწყობილობიდან მეორეზე ლოკალურ ქსელში ან ინტერნეტში. საკონტროლო ჯამი უბრალოდ აკონვერტირებს ინფორმაციის თითოეულ პორციას მის რიცხობრივ ღირებულებაში. მონაცემთა მთლიანობის შესამოწმებლად, მიმღები სისტემა მხოლოდ იმეორებს პროცესს. თუ ორი ჯამი თანაბარია, მონაცემები ითვლება ვალიდურად. თუ ისინი არ არიან თანაბარი, ეს აჩვენებს, რომ ცვლილება მოხდა გადაცემისას.

ბაზური ჰეშ-ფუნქციები მოიცავს: MD5, SHA-1, SHA-256, და SHA-512. ეს ჰეშ-ფუნქციები იყენებს კომპლექსურ მათემატიკურ ალგორითმებს. ჰეშირებული ჯამი გამოიყენება მხოლოდ შედარების მიზნით. მაგალითად, ფაილის გადმოტვირთვის შემდეგ, მომხმარებელს შეუძლია შეამოწმოს ფაილის მთლიანობა წყაროს ჰეშ ღირებულებების შედარებით ნებისმიერი ჰეშ კალკულატორის მიერ გენერირებული მიმღების ჰეშის ჯამთან.

ორგანიზაციები იყენებენ ვერსიის კონტროლს ავტორიზებული მომხმარებლების მიერ შემთხვევითი ცვლილებების თავიდან ასაცილებლად. ორ მომხმარებელს არ შეუძლია ერთი და იგივე ობიექტის განახლება. ობიექტები შეიძლება იყოს ფაილები, მონაცემთა ბაზის ჩანაწერები ან ოპერაციები. მაგალითად, დოკუმენტის გახსნისას პირველი მომხმარებელი უფლებამოსილია შეცვალოს ეს დოკუმენტი; მეორე პირს აქვს მხოლოდ წაკითხვის უფლება..

ზუსტი სარეზერვო ასლის შექმნა ხელს უწყობს მონაცემთა მთლიანობის შენარჩუნებას მონაცემების დაზიანების შემთხვევაში. ორგანიზაციამ უნდა დაადასტუროს თავისი სარეზერვო პროცესი, რათა უზრუნველყოს სარეზერვო ასლის მთლიანობა მონაცემთა დაკარგვამდე.

ავტორიზაცია განსაზღვრავს, თუ ვის აქვს ორგანიზაციის რესურსებზე წვდომა მათი საჭიროების მიხედვით. მაგალითად, ფაილზე ნებართვები და მომხმარებლის წვდომის მართვა უზრუნველყოფს იმ ფაქტს, რომ მხოლოდ გარკვეულ მომხმარებლებს შეუძლიათ შეცვალონ მონაცემები. ადმინისტრატორს შეუძლია შექმნას ნებართვა მხოლოდ ფაილის წაკითხვისთვის (read-only). შედეგად, ამ ფაილზე წვდომის პროცესში მომხმარებელი ვერ მოახდენს ფაილში რაიმე ცვლილებას.

ხელმისაწვდომობის პრინციპი

მონაცემთა ხელმისაწვდომობა არის პრინციპი, რომელიც აღწერს საინფორმაციო სისტემებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერას ნებისმიერ დროს. კიბერშეტევები და სისტემური მტყუნებები ხელს უშლის საინფორმაციო სისტემებსა და სერვისებზე წვდომას. მაგალითად, კონკურენტის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომობის შეწყვეტამ მასზე შეტევით შეიძლება უპირატესობა მიანიჭოს მის კონკურენტს. ეს მომსახურების წვდომის შეფერხების (DoS) თავდასხმები საფრთხეს უქმნის სისტემის ხელმისაწვდომობას და ხელს უშლის ლეგიტიმურ მომხმარებლებს ინფორმაციის სისტემებზე წვდომასა და გამოყენებზე საჭიროების შემთხვევაში.

მეთოდები, რომლებიც გამოიყენება ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მოიცავს სისტემის მხარდაჭერას, სისტემის სარეზერვო ასლების შექმნას, მის გაზრდილ მდგრადობას, ტექნიკის მხარდაჭერას, უახლესი ოპერაციული სისტემებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას, და ნათლად შემუშავებულ გეგმას შეტევის შედეგად დაზიანებული სისტემის უსწრაფესი აღდგენისა.

ხუთი ცხრიანი

ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებენ სხვადასხვა საინფორმაციო სისტემებს. კომპიუტერები და საინფორმაციო სისტემები აკონტროლებენ კომუნიკაციებს, ტრანსპორტირებას და

პროდუქციის წარმოებას. ინფორმაციული სისტემების უწყვეტი ხელმისაწვდომობა აუცილებელია თანამედროვე ცხოვრებისათვის. ტერმინი მაღალი ხელმისაწვდომობა აღწერს სისტემებს, რომლებიც განკუთვნილია იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული დროის მოცდენა სამუშაო პროცესში (downtime). მაღალი ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს შედარებით მაღალ მწარმოებლობას. მაღალი ხელმისაწვდომობის სისტემები, როგორც წესი, მოიცავს სამ დიზაინის პრინციპს:

- აღმოფხვრავს ერთეულ მტყუნებებს

განსაზღვრეთ ყველა მოწყობილობა და კომპონენტი სისტემაში, რომელნიც გამოიწვევენ სისტემის გათიშვას, თუ ეს მოწყობილობა ან კომპონენტი დაზიანდება.

- უზრუნველყოფს საიმედო გადართვებს (crossover)

გადაჭარბებული დენის წყაროები, სარეზერვო დენის სისტემები და სარეზერვო საკომუნიკაციო სისტემები უზრუნველყოფენ საიმედო გადართვებს.

- გამოავლენს მტყუნებებს მათი მოხდენის შემთხვევაში

მოწყობილობათა და სისტემის აქტიური მონიტორინგი უზრუნველყოფს მრავალი სახის მოვლენის აღმოჩენას, მათ შორის სისტემისა და მოწყობილობის მტყუნებებს. მონიტორინგის სისტემებმა შეიძლება ასევე უზრუნველყონ სარეზერვო სისტემის ასლის შექმნის საჭიროება მარცხის შემთხვევაში.

მისი მიზანია ისეთ ექსტრემალურ პირობებში მუშაობის გაგრძელების უზრუნველყოფა, როგორიცაა მაგალითად კიბერთავდასხმა. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მაღალი ხელმისაწვდომობის პრაქტიკა ხუთი ცხრიანი (five nines). ხუთი ცხრიანი ნიშნავს 99.999% -ს. ეს იმას ნიშნავს, რომ სისტემის მოცდენა (downtime) უნდა იყოს ნაკლები, ვიდრე 5.26 წუთი წელიწადში.

ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ორგანიზაციებს შეუძლიათ უზრუნველყონ ხელმისაწვდომობა შემდეგი ქმედებების განხორციელების გზით:

- ტექნიკური აპარატურის მხარდაჭერა
- ოპერაციული სისტემების განახლებები

- სარეზერვო ასლების ტესტირება
- კატასტროფიდან აღდგენის დაგეგმვა
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვა
- უჩვეულო აქტივობების მონიტორინგი
- ხელმისაწვდომობის ტესტირება

2.3 მონაცემთა შენახვა და დაცვა

შენახული მონაცემები ეხება მონაცემებს, რომელიც დროებით არაა გამოყენებული. დროებით გამოუყენებელი მონაცემები ნიშნავს იმას, რომ შესანახი მოწყობილობის ტიპი ინახავს მონაცემებს, როდესაც მომხმარებელი ან პროცესი არ იყენებს მას. შესანახი მოწყობილობა შეიძლება იყოს ადგილობრივი (კომპიუტერული მოწყობილობაზე) ან ცენტრალიზებული (ქსელში). არსებობს რიგი პარამეტრები მონაცემთა შენახვისთვის.

უშუალოდ მიმაგრებული შენახვა (DAS) არის კომპიუტერთან დაკავშირებული შენახვა. მყარი დისკი ან ელ.მედია მატარებელი არის უშუალოდ მიმაგრებული შენახვის მაგალითი.

დამოუკიდებელი დისკების ჭარბი მასივი (RAID) იყენებს მრავალ-რიცხოვან მყარ დისკს მასივში, რაც წარმოადგენს მრავალჯერადი დისკების კომბინაციის მეთოდს ისე, რომ ოპერაციული სისტემა ხედავდეს მათ, როგორც ერთ საერთო დისკს. RAID სისტემა უზრუნ-ველყოფს გაუმჯობესებულ მწარმოებლობას და მეტ უსაფრთხოებას.

ქსელის თანდართული შენახვის (NAS) მოწყობილობა არის ქსელთან დაკავშირებული შენახვის მოწყობილობა, რომელიც იძლევა მონაცემთა შენახვისა და მოძიების საშუალებას ცენტრალიზებული ადგილმდებარეობიდან ავტორიზებული ქსელის მომხმარებლების მიერ. NAS მოწყობილობები მოქნილი და მასშტაბირებადია, რაც საშუალებას აძლევს ადმინისტრატორს, გაზარდოს მისი მოცულობა საჭიროების შემთხვევაში.

შენახვის არეალის ქსელი (SAN)-ს არქიტექტურა წარმოადგენს ქსელზე დაფუძნებულ შენახვის სისტემას. SAN სისტემები დაკავშირებულია ქსელთან მაღალსიჩქარიანი ინტერფეისების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს მაღალ მწარმოებლობას და ცენტრალიზებული შენახვის საცავთან და მრავალ სერვერთან სწრაფ მიერტებას.

ღრუბლოვანი შენახვის სისტემა (Cloud Storage) არის დისტანციური შენახვის ვარიანტი, რომელიც იყენებს ინტერნეტსივრცეში მონაცემთა ცენტრის პროვაიდერს და ხელმისაწვდომია ნებისმიერი კომპიუტერიდან ინტერნეტის მეშვეობით. Google Drive, iCloud და Dropbox წარმოადგენენ ღრუბლოვანი შენახვის სერვისების მაგალითებს.

ორგანიზაციები დგანან რთული გამოწვევების წინაშე შენახული მონაცემების დაცვის უზრუნველყოფაში. მონაცემთა შენახვის გაუმჯობესების მიზნით, ორგანიზაციებს შეუძლიათ მონაცემთა სარეზერვო სისტემის ავტომატიზება და ცენტრალიზება.

პირდაპირი თანდართული შენახვა (NAS) შეიძლება იყოს მონაცემთა შენახვის ერთ-ერთი ყველაზე რთული ტიპი მისი მართვისა და კონტროლიდან გამომდინარე. პირდაპირი თანდართული შენახვა (NAS) დაუცველია ლოკალურ ჰოსტზე მავნე თავდასხმებისაგან. შენახული მონაცემები შეიძლება ასევე შეიცავდეს სარეზერვო ასლებს. სარეზერვო ასლები შეიძლება იყოს შექმნილი ხელით ან ავტომატურად. ორგანიზაციებმა უნდა შეზღუდონ პირდაპირი თანდართული შენახვისას მონაცემთა ტიპები. კერძოდ, ორგანიზაციამ თავი უნდა აარიდოს კრიტიკული მონაცემების შენახვას პირდაპირი თანდართული შენახვის მოწყობილობებზე.

შენახვის არეალის ქსელი (SAN) გთავაზობთ უფრო უსაფრთხო ვარიანტს. შენახვის არეალის ქსელი, მათ შორის RAID და SAN უზრუნველყოფს უფრო მეტ მწარმოებლობასა და სიჭარბის უზრუნველყოფას. თუმცა, ეს გადაწყვეტა უფრო რთულია კონფიგურაციისა და მართვისთვის. ისინი ამუშავებენ უფრო მეტ მონაცემს, შესაბამისად მეტია რისკი მათი ორგანიზებისათვის იმ შემთხვევაში, თუ მოხდება აპარატურული მტყუნება. ქსელის შენახვის სისტემების უნიკალური გამოწვევები მოიცავს სისტემის კონფიგურაციას, ტესტირებას და მონიტორინგს.

მონაცემთა გადაცემის მეთოდები

მონაცემთა გადაცემა მოიცავს ინფორმაციის გაგზავნას ერთი მოწყობილობიდან მეორეზე. მოწყობილობებს შორის ინფორმაციის გადაცემის მრავალი მეთოდი არსებობს, მათ შორის:

- Sneaker net — იყენებს მოსახსნელ მედიას მონაცემების ფიზიკურად გადაადგილებისათვის ერთი კომპიუტერიდან მეორეში.
- სადენიანი ქსელები — იყენებს კაბელებს მონაცემთა გადაცემისთვის
- უსადენო ქსელები — იყენებს რადიო ტალღებს მონაცემთა გადაცემისთვის

ორგანიზაციები, როგორც წესი, ვერასდროს ვერ ახერხებენ აღკვეტონ sneaker net მეთოდის გამოყენება.

სადენიანი ქსელები მოიცავს სპილენძის სადენიან და ბოჭკოვან მედიას. სადენიანი ქსელები შეიძლება ემსახურებოდეს ადგილობრივ გეოგრაფიულ არეალს (ლოკალური ქსელი) ან შესაძლოა ისინი მოიცავდნენ დიდ მანძილსაც (ფართო არეალის ქსელი).

უსადენო ქსელები ნელ-ნელა ანაცვლებენ სადენიან ქსელებს. უსადენო ქსელები უფრო სწრაფად მოქმედებენ და ქმნიან შედარებით მაღალ გამტარუნარიანობას. უსადენო ქსელები იძლევა სტუმრების რაოდენობას გაზრდის შესაძლებლობას მობილური მოწყობილობებით მცირე ზომის ოფისში (SOHO) და საწარმოო ქსელებში.

როგორც სადენიანი, ასევე უსადენო ქსელები იყენებენ პაკეტებს ან მონაცემთა ერთეულებს. ტერმინი პაკეტი აღწერს მონაცემთა ერთეულს, რომელიც გადაიცემა ქსელში მისი წყაროსა და დანიშნულების ადგილს შორის. სტანდარტული პროტოკოლები, როგორებიცაა ინტერნეტ პროტოკოლი (IP) და ჰიპერტექსტის გადაცემის პროტოკოლი (HTTP) განსაზღვრავენ მონაცემთა პაკეტების სტრუქტურას და ფორმირებას. ეს სტანდარტები ღია წყაროა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია. გადაცემული მონაცემების კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის დაცვა კიბერუსაფრთხოების სპეციალისტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პასუხისმგებლობაა.

ტრანზიტში არსებული მონაცემების უსაფრთხოების გამოწვევები

გადაცემული მონაცემების დაცვა კიბერუსაფრთხოების სპეციალისტის ერთ-ერთი ყველაზე რთული სამუშაოა. მობილური და უსადენო მოწყობილობების ზრდასთან ერთად, კიბერუსაფრთხოების პროფესიონალები პასუხისმგებელნი არიან ყოველდღიურად მათ

ქსელში გადაცემული დიდი რაოდენობის მონაცემთა დაცვაზე. კიბერუსაფრთხოების პროფესიონალი ვალდებულია გაუმკლავდეს ამ მონაცემების დაცვის რამდენიმე გამოწვევას:

- მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა - კიბერდამნაშავეებს შეუძლიათ ტრანზიტის მონაცემების ხელში ჩაგდება, შენახვა და მოპარვა. კიბერუსაფრთხოების სპეციალისტმა უნდა გადადგას ნაბიჯები ამ გამოწვევების დასაძლევად
- მონაცემთა მთლიანობის დაცვა - კიბერდამნაშავეებს შეუძლიათ შეზღუდონ და შეცვალოთ მონაცემები ტრანზიტში. კიბერუსაფრთხოების პროფესიონალები ახდენენ მონაცემთა მთლიანობის სისტემების გამოყენებას, რომლებიც ამოწმებენ გადაცემული მონაცემების მთლიანობასა და ავთენტურობას მავნე ქმედებების საწინააღმდეგოდ.
- მონაცემთა ხელმისაწვდომობის დაცვა - კიბერდამნაშავეებს შეუძლიათ გამოიყენონ rogue ან არასანქცირებული მოწყობილობები მონაცემთა ხელმისაწვდომობის შეზღუდისათვის. მარტივმა მობილურმა მოწყობილობამ შეიძლება შეასრულოს ადგილობრივი უსადენო წვდომის წერტილის როლი და დააკავშიროს არასასურველი მომხმარებლები rogue მოწყობილობასთან. კიბერკრიმინალს შეუძლია შეაღწიოს დაცული მომსახურების ან მოწყობილობის ქსელში. ქსელის უსაფრთხოების პროფესიონალებს შეუძლიათ გამართონ ურთიერთ-ავთენტიფიკაციის სისტემები ამ ქმედებების საწინააღმდეგოდ. ურთიერთ-ავთენტიფიკაციის სისტემები მოითხოვენ მომხმარებლის ავტორიზაციას სერვერზე და ასევე მოითხოვენ სერვერის მიერ მომხმარებლის ავთენტიფიკაციას.

მონაცემთა დამუშავებისა და გამოთვლების ფორმები

მონაცემთა მესამე მდგომარეობა არის მონაცემები დამუშავების პროცესში. ეს ეხება მონაცემების მდგომარეობას თავდაპირველი შეტანის, მოდიფიკაციის, გამოთვლების ან გამოტანის დროს.

მონაცემთა მთლიანობის დაცვა იწყება მონაცემების საწყისი შეტანის დროს. ორგანიზაციები იყენებენ რამდენიმე მეთოდს მონაცემების შესაგროვებლად, როგორიცაა მექანიკური მონაცემების შეყვანა,

სკანირების ფორმები, ფაილის ატვირთვები და სენსორებისგან შეგროვებული მონაცემები. თითოეული ეს მეთოდი პოტენციურ საფრთხეს უქმნის მონაცემთა მთლიანობას. შეტანის პროცესში მონაცემთა დაზიანების მაგალითი მოიცავს მონაცემთა შეტანის შეცდომებს ან გათიშულ, გაუმართავ ან უმოქმედო სისტემურ სენსორებს. სხვა მაგალითები შეიძლება შეიცავდეს არასწორი მარკირების ან არათავსებად მონაცემთა ფორმატებს.

მონაცემთა მოდიფიკაცია ეხება თავდაპირველ მონაცემებში ნებისმიერ ცვლილებას, რომელიც, მაგალითისთვის, მოიცავს მომხმარებლების მიერ ხელით შეცვლილ მონაცემებს, პროგრამების დამუშავების დროს მონაცემების მოდიფიცირებასა და აპარატურის მტყუნებას, რაც იწვევს მონაცემთა შეცვლას. პროცესები, როგორიცაა კოდირება/დეკოდირება, კომპრესია/დეკომპრესია და შიფრაცია/დეშიფრაცია არის მონაცემთა მოდიფიკაციის რამდენიმე მაგალითი. მავნე კოდი (Malicious code) ასევე იწვევს მონაცემთა დაზიანებას.

მონაცემთა დაზიანება ასევე ხდება მონაცემთა გამოტანის პროცესში. მონაცემთა გამოტანა ეხება პრინტერებს, ელექტრონულ მონიტორებს ან უშუალოდ სხვა მოწყობილობებს. გამომავალი მონაცემების სიზუსტე კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან ის უზრუნველყოფს ინფორმაციას და გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე. გამომავალი მონაცემების კომპრომეტირების მაგალითები მოიცავს მონაცემთა დელიმიტერების არასწორ გამოყენებას, არასწორ კომუნიკაციის კონფიგურაციებს და არასწორად კონფიგურირებულ პრინტერებს.

დამუშავების დროს არასწორი მონაცემების მოდიფიკაციისგან დაცვამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს პროცესზე. პროგრამული შეცდომები შესაძლოა იყოს მიზეზი მრავალი არასასურველი პროცესისა. მაგალითად, შობამდე ორი კვირით ადრე ზოგიერთმა Amazon-ის მესამე მხარის საცალო მოვაჭრემ აღმოაჩინა, რომ მათი მათ პროდუქციაზე ფასი შეცვლილი იყო სულ რაღაც ერთი ცენტით. ეს მტყუნება გაგრძელდა ერთი საათის განმავლობაში. აღნიშნული შეცდომის შედეგად ათასობით მომხმარებელი დარჩა უკმაყოფილო, ხოლო კომპანიამ განიცადა მნიშვნელოვანი დანაკარგი. 2016 წელს, Nest-ის თერმოსტატის გაუმართაობის გამო მომხმარებლები დარჩნენ გათბობის გარეშე. Nest-ის თერმოსტატი წარმოადგენს Google-ის საკუთრებაში არსებულ ჭკვიან ტექნოლოგიას. პროგრამულმა

მტყუნებამ დატოვა მომხმარებლები, პირდაპირი მნიშვნელობით, სიცივეში. პროგრამული განახლებისას დაშვებულმა შეცდომამ მწყობრიდან გამოიყვანა მოწყობილობის ბატარეები, რის შედეგადაც ტემპერატურის კონტროლი გახდა შეუძლებელი. შედეგად, მომხმარებლებმა ვერ შეძლეს საკუთარი სახლების გათბობა და ცხელი წყლის მიღება წლის ერთ-ერთ ყველაზე ცივ შაბათ-კვირას.

დამუშავების დროს მონაცემების დაცვა მოითხოვს კარგად შემუშავებულ სისტემებს. კიბერუსაფრთხოების პროფესიონალები შეიმუშავებენ პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებიც საჭიროებენ ტესტირების, შენარჩუნებისა და განახლების სისტემებს, რათა უზრუნველყონ შეცდომათა მაქსიმალურად ნაკლები რიცხვი.

2.4 კიბერუსაფრთხოების ზომები და კიბერუსაფრთხოების კონტრზომების ტიპები

პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებული ტექნოლოგიების დაცვა

პროგრამული უზრუნველყოფის გარანტიები მოიცავს პროგრამებსა და მომსახურებას, რომელიც იცავს ოპერაციულ სისტემებს, მონაცემთა ბაზებს და სხვა სერვისებს, რომლებიც მუშაობენ სამუშაო მოწყობილობებზე, პორტატულ მოწყობილობებსა და სერვერებზე. ადმინისტრატორები აინსტალირებენ პროგრამაზე დაფუძნებულ კონტრზომებს ან დაცვებს ინდივიდუალურკვანძებზე ან სერვერებზე. არსებობს რამდენიმე პროგრამულ პროდუქტზე დაფუძნებული ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის აქტივების დასაცავად:

- პროგრამული დამცავი ეკრანები აკონტროლებენ დისტანციურ წვდომას სისტემაზე. ოპერაციული სისტემები, როგორც წესი, მოიცავს firewall-ს, თუმცა მომხმარებელს ასევე შეუძლია შეიძინოს ან ჩამოტვირთოს დამცავი ეკრანის პროგრამული უზრუნველყოფა მესამე მხარის ვებგვერდიდან.
- ქსელისა და პორტის სკანერები აღმოაჩენენ და აკონტროლებენ ღია პორტებს ქსელში ან სერვერზე.
- პროტოკოლის ანალიზატორები, ან ხელმოწერის ანალიზატორები წარმოადგენენ მოწყობილობებს, რომლებიც აგროვებენ და

შეისწავლიან ქსელურ ტრაფიკს. ისინი განსაზღვრავენ მწარმოებლობის პრობლემებს, აღმოაჩენენ არასწორ კონფიგურაციებს, ახდენენ არასწორი აპლიკაციების იდენტიფიცირებას, საბაზისო და ნორმალური მუშაობის ნიმუშების ჩამოყალიბებას და კომუნიკაციის პრობლემების გამართვას.

- მოწყვლადობის სკანერები წარმოადგენენ კომპიუტერულ პროგრამებს, რომლებიც განკუთვნილია კომპიუტერების ან ქსელების სისუსტეების შესაფასებლად.
- ინდივიდუალურ ჰოსტზე დაფუძნებული შეღწევის გამოვლენის სისტემები (IDS) შეისწავლიან მხოლოდ ჰოსტის სისტემების აქტივობას. IDS აგენერირებს log ფაილებსა და განგაშის შეტყობინებებს, გამოავლენს რა უჩვეული აქტივობებს სისტემაში. IDS-ს ამოცანაა სენსიტიური მონაცემების დაცვა და კრიტიკული სერვისების უზრუნველყოფა.

აპარატურაზე დაფუძნებული ტექნოლოგიების დაცვა

არსებობს რამდენიმე აპარატურაზე დაფუძნებული დაფუძნებული ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის აქტივების დასაცავად:

ქსელური დაცვის ეკრანი (Firewall) ახდენს არასასურველი ტრაფიკის ბლოკირებას. დამცავი ეკრანები აყალიბებენ წესებს, რომლებიც განსაზღვრავენ ქსელში დაშვებულ შემომავალ და გამავალ ტრაფიკს.

- შეღწევის აღმომჩენი სისტემა (IDS) აღმოაჩენს უჩვეულო ტრაფიკს ან შეტევის ნიშნებს და აგზავნის განგაშის შეტყობინებას.
- შეღწევის პრევენციის სისტემები (IPS) გამოავლენს უჩვეულო ტრაფიკს ან შეტევის ნიშნებს, აგზავნის განგაშის შეტყობინებას და ახდენს მაკორექტირებელ ქმედებას.
- კონტენტის ფილტრაციის სერვისი აკონტროლებს მიუღებელი ან მავნე შინაარსის მქონე კონტენტის მიღებასა და გადაცემას.

ქსელზე დაფუძნებული ტექნოლოგიების დაცვა

არსებობს რამდენიმე ქსელზე დაფუძნებული დაცვის ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის აქტივების დასაცავად:

- ვირტუალური კერძო ქსელი (VPN) არის უსაფრთხო ვირტუალური ქსელი, რომელიც იყენებს საყოველთაო ქსელს

(მაგ., ინტერნეტი). VPN-ის უსაფრთხოება მდგომარეობს იმაში, რომ ხდება პაკეტის შინაარსის დაშიფვრა საბოლოო წერტილებს შორის, რომლებიც განსაზღვრავენ VPN- ს.

- ქსელზე წვდომის მართვა (NAC) მოითხოვს შემოწმებათა კომპლექტს, რომელიც საშუალებას მისცემს მოწყობილობას ქსელთან დაკავშირებისა. ზოგიერთი შემოწმება მოითხოვს განახლებული ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფის ან ოპერაციული სისტემის განახლებას.
- უსადენო წვდომის წერტილის უსაფრთხოება მოიცავს ავთენტიფიკაციისა და დაშიფვრის განხორციელებას.

Cloud-ზე დაფუძნებული ტექნოლოგიების დაცვა

Cloud-ზე დაფუძნებული ტექნოლოგიები ხორციელდება ორგანიზაციისგან ტექნოლოგიური კომპონენტის გადატანით Cloud პროვაიდერთან. სამი ძირითადი ღრუბლოვანი გამოთვლის კომპიუტერული მომსახურება მოიცავს:

- პროგრამული უზრუნველყოფა, როგორც სერვისი (SAAs) საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, მიიღონ წვდომა პროგრამულ უზრუნველყოფასა და მონაცემთა ბაზებზე. Cloud პროვაიდერები მართავენ ინფრასტრუქტურას. მომხმარებელი ინახავს მონაცემებს Cloud პროვაიდერის სერვერებზე.
- ინფრასტრუქტურა, როგორც სერვისი (IAs) უზრუნველყოფს ვირტუალიზებულ კომპიუტერულ რესურსებს ინტერნეტში. პროვაიდერი სთავაზობს ტექნიკის, პროგრამული უზრუნველყოფის, სერვერებისა და შენახვის კომპონენტებს.
- პლატფორმა როგორც სერვისი (PaaS) ახორციელებს წვდომას ინსტრუმენტებთან და სერვისებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ აპლიკაციებს.

Cloud სერვისის პროვაიდერებმა გააფართოვეს ეს პარამეტრები, რათა ჩართონ IT როგორც სერვისი (ITAAs), რომელიც უზრუნველყოფს IAAS, PaAs და SaaAs სერვისის მოდელების IT მხარდაჭერას. ITaaS (ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT) როგორც სერვისი) მოდელში, ორგანიზაცია დებს კონტრაქტს ღრუბლოვანი სერვისების მომწოდებელთან, ინდივიდუალურ ან ურთიერთდაკავშირებულ მომსახურებაზე.

Cloud სერვის პროვაიდერები იყენებენ ვირტუალურ უსაფრთხოების ტექნიკას, რომლებიც ვირტუალურ გარემოში იყენებენ ვირტუალურ

გარემოში წინასწარ შეფუთული, საიმედო ოპერაციული სისტემის გაშვებას ვირტუალიზებული აპარატურით.

კიბერუსაფრთხოების განათლებისა და ტრენინგის განხორციელება

ტექნოლოგიაში ფინანსების ინვესტირება არ მოიტანს სათანადო შედეგს, თუ ორგანიზაციაში დასაქმებულ პერსონალს არ გააჩნია მაღალი დონის ცოდნა კიბერუსაფრთხოებაში. თანამედროვე კიბერუსაფრთხოების საფუძვლების ცოდნა ძალიან მნიშვნელოვანია ორგანიზაციისათვის. თანამშრომელი შეიძლება არ იყოს მიზანმიმართულად მავნე, მაგრამ უბრალოდ არ იცოდეს, რა არის სწორი პროცედურა. არსებობს ფორმალური სასწავლო პროგრამის განხორციელების რამდენიმე გზა:

- გადააქციეთ უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების ტრენინგი თანამშრომლისათვის სამუშაო პროცესის ნაწილად
- მიაბით უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლება სამუშაო მოთხოვნებს
- ჩაატარეთ ინდივიდუალური ტრენინგები
- უზრუნველყავით ონლაინ კურსები

ინფორმაციული უსაფრთხოების ცნობიერება უნდა იყოს მიმდინარე პროცესი, რადგან ახალი საფრთხეები და ტექნიკა ყოველთვის სახეზეა.

კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების კულტურის ჩამოყალიბება

ორგანიზაციის თანამშრომლებს უნდა გააჩნდეთ ცოდნა უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ და გახადონ ის მათი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილად.

უსაფრთხოების ცნობიერების აქტიური პროგრამა დამოკიდებულია:

- ორგანიზაციის გარემოზე
- საფრთხის დონეზე

კიბერუსაფრთხოების ცნობიერების კულტურის შექმნა მიმდინარე ძალისხმევაა, რომელიც მოითხოვს TOP მენეჯმენტისa და ყოველი მომხმარებლისა და თანამშრომლის ვალდებულებას. ორგანიზაციის კიბერუსაფრთხოების კულტურის ჩამოყალიბება იწყება მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შექმნით. მაგალითად, ბევრ ორგანიზაციას აქვს დაწესებული ინფორმაციული უსაფრთხოების

ცნობიერების დღეები. ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ განათავსონ ბანერები და ლოზუნგები, რათა მოხდეს ზოგადი კიბერუსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლება. კიბერუსაფრთხოებაზე ორიენტირებული სამუშაო შეხვედრებისა და სემინარების ჩატარება ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას.

ადამიანური ფაქტორები კიბერუსაფრთხოებაში

ჯერომი ზალცერმა და მაიკლ შრედერმა თავიანთ 1975 წლის ფუნდამენტურ ნაშრომში „ინფორმაციის დაცვა კომპიუტერულ სისტემებში", შეადგინეს უსაფრთხოების დიზაინის ათი პრინციპი. ათიდან სამი დამყარებულია ქცევითი მეცნიერებების ცოდნაზე:

• ფსიქოლოგია: უსაფრთხოების მექანიზმები უნდა იყოს „ფსიქოლოგიურად მისაღები" იმ ადამიანებისთვის, ვინც უნდა გამოიყენონ ისინი;

• ადამიანური ფაქტორები და ეკონომიკა: თითოეული ინდივიდუალური მომხმარებელი და ორგანიზაცია უნდა გაუმკლავდეს რაც შეიძლება ნაკლებ განსხვავებულ უსაფრთხოების მექანიზმებს;

• კრიმინალური მეცნიერება და ეკონომიკა: უსაფრთხოების ზომების დასაძლევად საჭირო ძალისხმევამ უნდა გადააჭარბოს თავდამსხმელის რესურსებს და მისთვის არსებულ პოტენციურ დადებით შედეგებს.

შრედერსა და ზალცერზე ერთი საუკუნით ადრე კრიპტოგრაფიის მამამ, ავგუსტე კერჩკოფსმა შეიმუშავა ექვსი პრინციპი უსაფრთხო კომუნიკაციის სისტემისთვის, რომელიც გათვალისწინებულია ადამიანურ ფაქტორებზე. მათგან სამი ეხება "ისეთ სისტემას, რომლის გამოყენება მარტივი არის და არ სჭირდება მაღალფარდოვანი განათლება და სტრესი".

ამ ორივე ფუნდამენტალმა ტექსტმა აღნიშნა ის ფაქტი, რომ თავდაცვითი ზომები ვერ იქნება შედეგიანი, თუ ადამიანებს მისი გამოყენება არ სურთ ან არ შეუძლიათ. ერთ-ერთი კარგი მაგალითია ელ-ფოსტის დაშიფვრა. უკვე 20 წელია, რაც არსებობს დაშიფვრის შესაძლებლობა, თუმცა დღევანდელი ელ-ფოსტის მხოლოდ 0.1% თუ არის დაშიფრულად გადაგზავნილი. ეს სავარაუდი შედეგი გახლავთ, რადგან ვითენმა და ტაიგარმა აღმოაჩინეს უკვე 1999-ში, რომ

მოტივირებული და ნასწავლი პიროვნებებიც ვერ ახერხებდნენ ელ-ფოსტის სწორად დაშიფვრას. ეს სიტუაცია დღესაც არ შეცვლილა მნიშვნელოვნად - თუმცა ახლანდელი კვლევები გვაძლევენ მისი შეცვლის შესაძლებლობებს. უკვე 20 წელია, რაც მიმდინარეობს შესწავლა თავდაცვითი ზომების წარუმატებლობაზე და ადამიანური ფაქტორის როლზე. კვლევების შედეგად ნათელია, რომ თავდაცვითი ზომები იმიტომ არაა მიღებული, რომ ადამიანები კომპონენტებად არიან მიჩნეულები, რომელთა ქცევის დაკონკრეტება და გაკონტროლება შეიძლება უსაფრთხოების ზომებით და თავდავითი მექანიზმებით და სანქციებით. თუმცა აქ უმთავრესი ბრალი არ მიუძღვით მომხმარებლებს იმ შეხედულების მიუხედავად, რომ ადამიანები "ყველაზე სუსტ ჯაჭვს" წარმოადგენენ.

ერთ-ერთი მაგალითი მოცემულ პრობლემაზე არის პაროლებზე მიღებული ზომები. ადამსმა და სასემ აჩვენეს, რომ ექსპერტების მიერ მიღებული ზომები პაროლების უსაფრთხოებაზე და მექანიზმებზე პრაქტიკაში თითქმის არ მუშაობდა. შესაბამისად, თანამშრომლები რეგულარულად ახერხებდნენ მათთვის გვერდის ავლას. ნაიაკშინამ აჩვენა, რომ არამხოლოდ მომხმარებლებს უჭირთ კომპლექსური პაროლების გამოყენება, არამედ დეველოპერებსაც. დეველოპერებს ცალსახად უნდა მოეთხოვოთ უსაფრთხოების ჩართვა და, მაშინაც კი, როდესაც ეს ყველაფერი კეთდება, ისინი ხშირად იყენებენ მოძველებულ და გაუმართავ უსაფრთხოების მექანიზმებს. ცოდნის ეს სფერო ასევე აჩვენებს უსაფრთხოების უფრო ფართო ორგანიზაციულ და სოციალურ პერსპექტივას, რომელიც გაჩნდა გასული ათწლეულის განმავლობაში: ნდობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობა ეფექტური კიბერუსაფრთხოებისთვის, რაც მიიღწევა მხოლოდ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და უსაფრთხოების გადაწყვეტების მოლაპარაკებით, რომლებიც აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს. ეს მოითხოვს იმ უნარებს, რომელიც ტრადიციულად არ იყო უსაფრთხოების ექსპერტებისთვის გათვალისწინებული. ამ განათლების მხარის მიზანია, რომ ამ ექსპერტებმა მიიღონ შესაბამისი ცოდნა ამ საკითებზე

ადამიანური ქცევა, რომელსაც განსაზღვრავს შინაგანი და გარეგანი ფაქტორები

ცოდნის ეს სფერო ორგანიზებულია: იწყება შიგნიდან და შემდგომ გარეთ ინაცვლებს: თავდაპირველად მოცემულია ინდივიდუალური

და შინაგანი ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს ადამიანის ქცევას (შესაძლებლობები და შეზღუდვები, გონებრივი მოდელები), შემდგომ გადადის უფრო ფართო კონტექსტის ასპექტებზე, რომელშიც ხდება ურთიერთობა უსაფრთხოებასთან. შემდეგ ჩვენ განვიხილავთ სხვა უშუალო ფაქტორებს, რომლებსაც გავლენა გააჩნიათ.

მოწინააღმდეგე აქტიურად მუშაობს, რათა შეცვალოს მომხმარებლების შეხედულებები სისტემის შესაძლებლობებისა და საზღვრების შესახებ, და ასევე გამოიყენოს სოციალური და ორგანიზაციული კონტექსტების სპეციფიკა (მაგ. უსაფრთხოების ზომები, სამუშაო პრაქტიკა, გადაწყვეტილების მიღების იერარქია) უსაფრთხოებაზე ზემოქმედების მიზნით. გამოყენებადი უსაფრთხოების შესწავლა აქტიური თავდამსხმელის მოდელის მეშვეობით და მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლება უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც აერთიანებს ასეთ მოდელებს, მაგ. ანტი-ფიშინგის სიმულაციები, არის ამ კვლევის მიმდინარე სფერო. ეს მექანიზმები გთავაზობთ გარკვეულ დაცვას, მაგრამ მოითხოვს მომხმარებლის დროსა და ძალისხმევას, ამიტომ უსაფრთხოების მთლიანი დატვირთვა უნდა იყოს ზედამხედველობის ქვეშ, რათა პროდუქტიულობა არ შემცირდეს. გარდა ამისა, მათ აქვთ გავლენა მომხმარებელთა ნდობაზე ორგანიზაციისადმი და პირველ-ხარისხოვანი (უსაფრთხოებასთან დაუკავშირებელი) ამოცანის შესრულებაზე – ნებისმიერი ასეთი ჩარევისა თუ კამპანიის დიზაინი უნდა ითვალისწინებდეს მოცემულ რისკებს.

როდესაც მომხმარებლები არ იქცევიან ისე, როგორც ეს განსაზღვრულია უსაფრთხოების ზომებით, უსაფრთხოების სპეციალისტების უმეტესობა მიიჩნევს, რომ მომხმარებლები არიან დამნაშავე ამაში: რომ მათ „უბრალოდ არ ესმით რისკების მნიშვნელობა ან „უბრალოდ ზარმაცები არიან". მაგრამ კვლევებმა აჩვენა, რომელსაც „წესების დარღვევები" ძირითადად გამოწვეულია იმ ადამიანების მიერ, რომლებიც არჩევანის წინაშე დგანან უსაფრთხოების თვალსაზრისით სწორი ქმედების გაკეთებისა და მათი პროდუქტიულობის გაზრდას შორის. უმეტესობა ამ ადამიანებიდან ირჩევს პროდუქტიულობას, რადგან სწორედ ამას აკეთებენ ორგანიზაციებიც. ასეთი წესების დარღვევების მოგვარებაზე ძირითადად პასუხობენ უსაფრთხოების ინფორმირებულობისა და განათლების ამაღლების მცდელობით. მაგრამ ადამიანის ფაქტორების

კვლევამ დაადგინა ათწლეულების წინ: როდესაც ჩვენ გავითვალისწინებთ ყველა ძალისხმევას და შედეგად მიღებულ შედეგს, ადამიანის დავალებისთვის მორგების ტექნიკა გაცილებით უფრო ეფექტურია. უსაფრთხოების ინფორმირებულობისა და ტრენინგს გააჩნია გარკვეული როლი, მაგრამ ის უნდა ჩაითვალოს, როგორც ერთ-ერთ ვარიანტად, მაგრამ არა ერთადერთ გამოსავალად. შესაბამისი ცოდნის მიღების შემდეგაც ადამიანს არ შეუძლია, გაუმკლავდეს ისეთ უსაფრთხოების პრობლემებს, რომლებიც შეუძლებელია ან ბერვ ინდივიდუალურ ან ორგანიზაციულ მსხვერპლს მოითხოვს. გაერთიანებული სამეფოს კიბერუსაფრთხოების ეროვნული ცენტრის (NCSC) მიხედვით, „უსაფრთხოების მუშაობის ეფექტურ გზას წარმოადგენს უსაფრთხოება, რომელიც მუშაობს ადამიანებისთვის". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უსაფრთხოება უნდა იყოს მარტივად გამოყენებადი. ISO განსაზღვრავს გამოყენებადობას (ISO 9241–11:2018), როგორც „ეფექტურობა და კმაყოფილება, რომლითაც შესაბამისი მომხმარებლები აღწევენ განსაზღვრული მიზნებს კონკრეტულ გარემოებებში".

კრიტერიუმები, რომლითაც ფასდება პრაქტიკულობა არის:

1. ეფექტურობა: სიზუსტე და სისრულე, რომლითაც მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ, რომ მიაღწიონ განსაზღვრული მიზნებს კონკრეტულ გარემოში;
2. ეფექტიანობა: დახარჯული რესურსები სიზუსტესა და სისრულეზე;
3. კმაყოფილება: სამუშაო სისტემის კომფორტი და ხელმისაწვდომობა მისი მომხმარებლებისთვის და სხვა ადამიანებისთვის.

დავალების ადამიანთან მისადაგება

პრაქტიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე, უსაფთხოების ამოცანების მისადაგება და მათი გამარტივება მოიცავს ოთხ მთავარ ნაწილს:

1. სამიზნე მომხმარებლების შესაძლებლობები და შეზღუდვები;
2. მომხმარებლების მიზნები, და მათ მიერ შესრულებული ამოცანები ამ მიზნების მისაღწევად;

3. ფიზიკური და სოციალური გარემოებების გათვალისწინება;
4. იმ მოწყობილობების შესაძლებლობების გათვალისწინება, სადაც ეს უსაფრთხოების მექანიზმები გამოიყენება.

ჩვენ ახლა განვიხილავთ თითოეულ მათგანს, და თუ როგორ გამოიყენება ისინი ეფექტური უსაფრთხოების მექანიზმების შექმნაში.

ძირითადი ადამიანური შესაძლებლობები და შეზღუდვები: არსებობს ზოგადი შესაძლებლობები და შეზღუდვები - ფიზიკური და გონებრივი - რაც ადამიანების უმეტესობას ეხება. ადამიანებისთვის ისეთი დავალების მიცემა, რომელიც აღემატება მის შესაძლებლობას, ნიშნავს იმას, რომ ჩვენ მათ წარუმატებლობისთვის ვწირავთ. როდესაც მათ წინაშე არსებული დავალება მათი შესაძლებლობის ზღვართან ახლოსაა, ადამიანთა უმეტესობა ცდილობს მის შესრულებას, თუმცა ეს მათგან მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს, რაც საბოლოოდ შეიძლება არამდგრადი აღმოჩნდეს. დღეს გამოთვლით მოწყობილობებს შეუძლიათ ფიზიკურ შესაძლებლობებს მასობრივად გადააჭარბონ უსაფრთხოების ამოცანებში. უსაფრთხოების მრავალი სისტემა უზრუნველყოფს სტატუსის შეტყობინებებს, შეხსენებებს ან გაფრთხილებებს. ადამიანებს ძირითადად შეუძლიათ თავიანთი ყურადღების მიპყრობა მხოლოდ ერთ ამოცანაზე ერთ კონკრეტულ დროს. ეს ყურადღება გამახვილებულია მათ მთავარ საქმიანობებზე და ამავდროულად უსაფრთხოების ბევრი მექანიზმი მოითხოვს მეტ დროსა და ყურადღებას, ვიდრე მომხმარებლებს შეუძლიათ, რომ გამოყონ მისთვის. ეს ნიშნავს, რომ ცვლილებები პასიურ უსაფრთხოების ინდიკატორებში ხშირად არ შეიმჩნევა, განსაკუთრებით თუ ისინი ეკრანის კიდეებზეა გამოსახული. მომხმარებლებისთვის ამ ინდიკატორების გადამოწმების მოთხოვნა მათ წარუმატებლობას განაპირობებს, თუნდაც მათ შეგნებულად სცადონ მათი შემოწმება. მათი ყურადღება კვლავ მთავარ ამოცანაზე იქნება გამახვილებული. თუ უსაფრთხოების მაჩვენებლებისათვის საჭიროა დაკვირვება, ისინი უნდა იყოს მიმართული პირდაპირ, და მოითხოვდეს პასუხს. ეს ხერხი გამოსადეგია, თუმცა მხოლოდ იშვიათი და სანდო ინდიკატორებისთვის.

მოკლევადიანი მეხსიერება და ერთჯერადი პაროლები (OTP) - ერთჯერადი PIN-ების ან პაროლების (OTP) გამოყენება გაზრდილია, რადგან ორდონიანი ავთენტიფიკაცია (2FA) უფრო გავრცელებული

არის ახლა მსოფლიოში. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ გამოტანილ რიცხვზე და ვუმეორებთ საკუთარ თავს (გონებაში ან ხმამაღლა). შემდეგ ჩვენ ვიღებთ ახლად დამახსოვრებულ ინფორმაციას STM ციკლიდან და საკუთარ თავს ვუმეორებთ. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს მეთოდი ადამიანების უმეტესობისთვის მხოლოდ ექვს-ელემენტიანი ინფორმაციის დასამახსოვრებლად კმარა. ისეთი კოდები, რომლებიც მეტ ელემენტებს შეიცავენ, ზედმეტ დატვირთვას აძლევენ STM ციკლს. ადამიანებმა ასეთ შემთხვევაში უნდა დაიწყონ წინ და უკან ყურება ეკრანებს შორის, რათა წაიკითხონ სიმბოლოები და შეიყვანონ ისინი. ეს ზრდის როგორც შესვლის დროს, ასევე შეცდომის ალბათობასაც. ასოებისა და ციფრების შერევაც ასევე უარყოფით გავლენას ახდენს.

შემლებს თუ არა მომხმარებელი გაიხსენოს ის, თუ რაც ინახება გრძელვადიან მეხსიერებაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ღრმად არის ის ჩანერგული მეხსიერებაში.

ინფორმაცია, რომლის გახსენებაც ხშირადაა საჭირო, უფრო კარგად არის დამახსოვრებული, ვიდრე ის, რომლის მოგონებაც იშვიათად გვიწევს. ეს ნიშნავს, რომ შეიძლება ველოდოთ პრობლემებს იშვიათად გასახსენებელ ინფორმაციასთან (მაგალითად, საკუთარი სურათების ამოცნობა სურათების ერთობლიობაში უფრო ადვილია, ვიდრე უცხო ფოტოების). LTM იყოფა ორად განსხვავებული სფეროდ: ზოგადი ცოდნა ინახება სემანტიკურ მეხსიერებაში (LTM-SM), ხოლო ის ინფორმაცია, რომელიც პირად ისტორიასთან არის დაკავშირებული, ინახება ეპიზოდურ მეხსიერებაში (LTM-EM): ავტობიოგრაფიული მეხსიერება.

TM-SM-ში შენახული ნივთები უფრო სწრაფად ქრებიან, ვიდრე LTM-EM-ში, რადგან ამ უკანასკნელ შემთხვევაში ტვინი იმახსოვრებს არამხოლოდ ინფორმაციას, არამედ მასთან დაკავშირებულ ემოციებსა და სურათებსაც.

LTM და პაროლები: LTM-SM იყოფა ზონებად, რომლებშიც ინახება მსგავსი ინფორმაცია. როდესაც პიროვნება ცდილობს რაიმეს გახსენებას, განყოფილება, რომელშიც ის ინახება, აქტიურდება და იქ მყოფი ელემენტები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, შესაბამისად, უკვე მოძიებული ინფორმაცია უფრო ხშირად გვაგონდება. ეს ჩარევის ეფექტი საკმაოდ ძლიერი და დამაზიანებელია განსაკუთრებით

იმიტომ, რომ ის ინფორმაცია, რომლის გახსენებაც ადამიანს აღარ სჭირდება (როგორიცაა ძველი პაროლები), რჩებიან და კონკურენციას უწევენ იმ ინფორმაციას, რომლის გახსენება საჭიროა. ამრიგად, მსგავსი სახის მონაცემების სიმრავლის მართვა შეუძლებელია განსაკუთრებით მაშინ, თუ მათ შორის რამდენიმე მათგანი იშვიათადაა გასახსენებელი. ამიტომ ადამიანებს სჭირდებათ ამ ეფექტის დაძლევის საშუალებები, მაგალთად პაროლების ამოწერის, პაროლის მენეჯერის ან ერთჯერადი მონაცემების მეშვეობით. შეგვიძლია შევთანხმდეთ, რომ 123456 ან P@SSword არ წარმოადგენს უსაფრთხო პაროლს, მაგრამ რადგან მომხმარებელთა უმეტესობას ახლა უკვე მრავალი პაროლი ერთდროულად აქვს, მუდმივად ძლიერი პაროლების შექმნა ადამიანურად შეუძლებელი ამოცანაა. ადამიანების უმეტესობას უჭირს 2–3-ზე მეტი პაროლის ან PIN-კოდის დამახსოვრება – და რაც უფრო გრძელი და ძლიერია ისინი, მით უფრო რთული იქნება მათი შემდგომში გამოყენება

NCSC პაროლის სახელმძღვანელო გვაძლევს მრავალი და რთული პაროლების მარტივად მართვის საშუალებას: 2FA მეთოდის და/ან პაროლის მენეჯერების გამოყენება, და თუ შეუძლებელია ამის გამოყენება, მაშინ რთული პაროლებისათვის ვადის ხანგრძლივობის გაზრდა. თუ პაროლის გამოყენება უნდა შეწყდეს (მაგ., რადგან ის გატეხილია), მაშინ შეიძლება დაგვეხმაროს გარკვეული დროის გამოყენება დღის განმავლობაში პაროლის შესაცვლელად.

უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ცოდნაზე დაფუძნებული ავთენტიფიკაციისთვის არის ავტორიზაციის მონაცემების კარგი დაცვა. ადამიანის ფიზიკური და გონებრივი მახასიათებლების გამო, უმეტესად ეს მონაცემები მარტივად გამოსარჩევი და ნაცნობი ხასიათისაა.

1. პაროლებით ადამიანები ცდილობენ აირჩიონ ისეთი პაროლები, რომლებიც მათთვის ადვილად დასამახსოვრებელია, მაგალითად სახელები ან თარიღები.
2. როდესაც მომხმარებლებს უწევთ სურათების არჩევა, როგორც ავტორიზაციის მონაცემის, ისინი უპირატესობას ანიჭებენ მკვეთრ ფერებსა და ფორმებს.
3. როდესაც ადამიანების სურათებთან გვაქვს საქმე, უმეტესად ადამიანები აირჩევენ "უფრო მიმზიდველი" ადამიანების სურათებს და მსგავსი ეთნიკური ჯგუფის პიროვნებას.

4. როდესაც ავტორიზაციის მონაცემი არის კონკრეტული ადგილი სურათზე, ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ მახასიათებლებს, რომლებიც გამოირჩევა.
5. მდებარეობაზე დაფუძნებული სისტემის შემთხვევაში ადამიანები ირჩევენ დასამახსოვრებელ ადგილებს.
6. ავტორიზაციის მონაცემთა ელემენტების თანმიმდევრობა პროგნოზირებადია, რადგან მათი არჩევისას არსებობს ძლიერი კულტურული გავლენები. მაგალითად, ადამიანები, რომლებიც საუბრობენ ენებზე, რომლებიც კითხულობენ მარცხნიდან მარჯვნივ, აირჩევენ მსგავს ფორმატს.
7. Android ტელეფონებზე თითის გასრიალების პროლების შემთხვევაში ადამიანები ირჩევენ ფორმებს ძალიან შეზღუდული დიაპაზონიდან.

ეს ადამიანური მიკერძოებებები ამცირებენ პროლებში მრავალფეროვნებას (სხვადასხვა პროლების რაოდენობას) მონაცემთა ბაზაში და ზრდიან თავდამსხმელის მიერ პროლის გამოცნობის ალბათობას. ამ პრობლემის გადასაჭრელად უსაფრთხოების ზომები კრძალავენ ყველაზე მარტივ და აშკარა პროლების არჩევას. მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ეს ზომები აუცილებელია, ძალიან ბევრი შეზღუდვის ქონა ზრდის პროლის შექმნის ამოცანასთან დაკავშირებულ დატვირთვებს. მაგალითად ისეთი შემოწმების სისტემა, რომელიც 5-ზე მეტ პროლს ძალიან სუსტის კატეგორიას მისცემს, მომხმარებლებს დააყენებს მნიშვნელოვანი სტრესის ქვეშ და, სავარაუდოდ უბიძგებს მათ პროლის ხელახლა გამოყენებისკენ.

ანალოგიურად, პროლის სიმძლავრის შესაფასებელი სისტემები ხშირად გამოიყენება მომხმარებლის პროლის არჩევანზე ზემოქმედების მიზნით. მაგალითად, Ur et al-მა განიხილა პროლების კომბინაციის სხვადასხვა დიზაინის გავლენა მომხმარებელთა პროლების არჩევანზე. მან ასევე ხაზი გაუსვა მომხმარებლებზე არსებულ გაზრდილ დატვირთვას და გაღიზიანებას, როდესაც ისინი აწყდებიან უფრო მკაცრი პროლის შემთხვევაში. გოლასა და დურმუთის ბოლო ნაშრომში გამოკვლეულია 45 პროლის სიძლიერე, მათ შორის რამდენიმე პრაქტიკაში გამოყენებულიც და აკადემიური შემოთვაზებებიც. მათი ნამუშევარი გვიჩვენებს ცვალებადობის ხარისხს სიზუსტის თვალსაზრისით და გვიჩვენებს, რომ ისინი მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულან ბოლო ხუთი წლის

განმავლობაში. ასე რომ, მაშინაც კი, თუ ჩვენ უგულებელვყოფთ მომხმარებლებზე ზედმეტ დატვირთვას, ამ მიდგომებს ყოველთვის არ გააჩნიათ ის სიზუსტის დონე, რომელიც საჭიროა პაროლებზე არსებული ზომების ეფექტურად განსახორციელებლად. ეს მოსაზრებები მხედველობაში უნდა იყოს გათვალისწინებული უსაფრთხოების პოლიტიკის განსახორციელებლად. ზოგჯერ ჩნდება კითხვა თუ არსებობს ისეთი ტრენინგი, რომელიც მომხმარებლებს ეხმარება უსაფრთხოების სერთიტიკატების გახსენებაში. მეხსიერების სპეციალისტები იყენებენ სპეციალურ ვარჯიშებს მეხსიერების მუშაობის გასაუმჯობესებლად. მწერალი ჯოშუა ფოერი თავის ბესტსელერში "Moonwalking with Einstein" დეტალურად აღწერს, რომ ეს ყველაფერი მოითხოვს დროის დიდ ხარჯს (რამდენიმე თვე), მაგრამ ასევე ვარჯიშის გაგრძელებასაც (მინიმუმ 30 წუთი დღეში), დამატებით კი დრო, რომელიც საჭიროა გახსენებისა და შესვლისთვის. პაროლები (რომლებიც თავისთავად ადამიანებს უკვე ზედმეტი მიაჩნიათ).

ჩვენ აქამდე განვიხილეთ შესაძლებლობები და შეზღუდვები, რომლებიც ადამიანების უმეტესობას ეხება. მაგრამ, კონკრეტულ მომხმარებელთა ჯგუფებს ექნებათ დამატებითი საჭიროებები, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს უსაფრთხოების სისტემის ან პროცესის არჩევას. მაგალითად, ბავშვებსა და ხანდაზმულ მოქალაქეებს შეიძლება ჰქონდეთ შესაძლებლობები და შეზღუდულობები (მაგ. საავტომობილო უნარები), რომლებიც განსხვავდება სამუშაო ასაკის მოზრდილებისგან. მაგ., უფრო დიდი თითების მქონე ადამიანებს გაუჭირდებათ თითის დაჭერა პატარა კლავიშებზე. გასათვალისწინებელია კულტურული ღირებულებები და ნორმები და მომხმარებლების ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობაც. ყველა მომხმარებელს არ შეუძლია მოწყობილობის ხელით მართვა, ეკრანიდან წაკითხვა ან აუდიოს მოსმენა. ისეთი პირობები, როგორიცაა მაგალითად ფერთა სიბრმავე, დიდ გავლენას ახდენს ადამიამიანთა მნიშვნელოვან ნაწილზე. ამიტომ გრაფიკული ავთენტიფიკაციისთვის გამოყენებული სურათები უნდა შემოწმდეს, რათა ის ამ ჯგუფებისთვის გამოსაყენებლად ვარგისი იყოს. ზოგიერთმა აუდიო ან ვიდეო ეფექტმა შეიძლება ზიანი მიაყენოს აუტიზმის ან ეპილეფსის მქონე პიროვნებებს.

CAPTCHA - გარკვეული ნაშრომები განიხილავენ სენსორული დარღვევების მქონე მომხმარებლების მხარდაჭერას. თუმცა, უნდა

გვახსოვდეს, რომ CAPTCHA უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს ლეგიტიმური მომხმარებლისგან, რაც ხელს უშლის დასახული მიზნის მიღწევას, ანუ წვდომის მიღწევას. შეზღუდვები იმ მექანიზმებისა, რომლებიც მიზნად ისახავენ ლეგიტიმური მომხმარებლების „შემოწმებას“ - და მათი წვლილი "უსაფრთხოების შიმშილში" - მეტად გასათვალისწინებელია.

ადამიანის ქცევის მიზნები და ამოცანები

ადამიანის ქცევა ძირითადად მიზნებზეა ორიენტირებული. ადამიანები ასრულებენ დავალებებს გარკვეული მიზნების მისაღწევად სამსახურში ან პირად ცხოვრებაში. ამ მიზნების მისაღწევად ადამიანები ასრულებენ ამოცანებს. სამუშაოს შესასრულებლად საჭიროა შესაბამისი მასალების და მათი რესურსის მოძიება, საჭირო საათების რაოდენობის და შესაბამის გადასახადების დადგენა და ა.შ. თუ სამუშაო რამდენიმე ნაწილისგან შედგება, ის შესაძლოა დავყოთ შედარებით მცირე სამუშაოებად. მაგალითად, სამუშაოზე მოთხოვნილი საათების დამუშავება შეიძლება დაიყოს შემდგომ ამოცანებად:

1. ყველა სამუშაო ეტაპის განხილვა;
2. შესაფერისი მონაწილეების მოძიება კონკრეტული დავალების შესასრულებლად;
3. მონაწილეებისთვის გარკვეული რაოდენობის დროის გამოყოფა;
4. მონაწილეების მიერ საკუტარი დავალებისადმი შესაფერისი მომზადება.

ასეთ ამოცანებს ეწოდებათ პირველადი ან წარმოებადი ამოცანები ადამიანური ფაქტორების ტერმინოლოგიაში. გარკვეული ტექნოლოგიური ხელსაწყოების შემუშავება, რათა ადამიანებს შეეძლოთ ამოცანების ეფექტურად და ეფექტურად შესრულება, არის გამოყენებადობის ყველაზე მთავარი ნაწილი. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადამიანებმა დავალებები ეფექტურად შეასრულონ, ტექნოლოგიის (და უსაფრთხოების) დიზაინერებმა უნდა იცოდნენ მოთხოვნები მათ მიერ შესრულებულ ამოცანებზე

ურთიერთქმედების კონტექსტი

კონტექსტური კვლევა იყენებს დაკვირვებისა და ინტერვიუს ერთობლივად, რათა დაადგინოს ის ძირითადი ამოცანები, რომლებსაც ადამიანები ასრულებენ და რა განაპირობებს ამას.

როგორც ფიზიკური გარემო, ასევე სოციალური გარემო, რომელშიც ადამიანებს უწევთ უსაფრთხოების ამოცანების შესრულება, გავლენას ახდენს ამ ამოცანების შესრულებაზე. სამუშაო ასაკის ადამიანების უმეტესობა ახლა უფრო ხშირად ურთიერთობს ტექნოლოგიასთან მოძრაობისას, ვიდრე სამუშაო მაგიდასთან, ტრადიციულ სამუშაო გარემოში. გამოყენების კონტექსტში ეს ცვლილება გავლენას ახდენს უსაფრთხოების უამრავ მექანიზმზე. თუნდაც გავიზსენოთ CIA-ს ყოფილი დირექტორის მაიკლ ჰეიდენიზე დასმენის შემთხვევა მატარებელში მგზავრობის დროს. მოსმენის რისკი ახლა გათვალისწინებულია ბევრ კორპორატიულ ტრენინგის პაკეტებში, მაგრამ უსაფრთხოების რამდენიმე მექანიზმი ჯერ კიდევ გამოიყენება, რომლებიც დაუცველია დასმენის შემთხვევაში. ზოგიერთ თავდამსხმელს ასევე შეუძლია სცადოს ავტორიზაციის მონაცემების მოპოვება თვალთვალის ან ფარული კამერების მეშვეობით. მთლიანობაში, ერთჯერადი პაროლის (OTP) გამოყენებამ შეიძლება უზრუნველყოს უსაფრთხოება. თავდაცვის მექანიზმების გამოყენებაზე შეიძლება გავლენა იქონიოს შემდეგმა ფიზიკურმა ფაქტორებმა:

1. სინათლე: კაშკაშა შუქზე ეკრანზე გამოსახული ინფორმაცია ძნელად აღსაქმელია, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კონკრეტულად გრაფიკულ ავთენტიფიკაციაზე. ბიომეტრიული სისტემები, როგორიცაა ირისი და სახის ამოცნობა, ეყრდნობა კამერებს. კაშკაშა შუქმა შეიძლება გამოიწვიოს სიკაშკაშე, რაც ნიშნავს, რომ გადაღებული სურათები საკმარისად კარგად არ არის დასამუშავებლად.

2. ხმაური ყველაზე აშკარად ხელს შეუშლის ხმის ამომცნობი სისტემების მუშაობას. მაგრამ ხმაურის მაღალი დონე ასევე გავლენას ახდენს ადამიანის მუშაობაზე ზოგადად გაზრდილი სტრესის გამო და, თავის მხრივ, გაზრდილი შეცდომის ალბათობის გამო.

3. გარემოს ტემპერატურამ შეიძლება გავლენა მოახდინოს როგორც ტექნოლოგიების, ასევე ადამიანების მუშაობაზე. თითის

ანაბეჭდის სენსორები წყვეტენ მუშაობას, როდესაც ცივა, ხოლო ადამიანები უფრო ნელა მოქმედებენ. მათ ასევე შეიძლება დასჭირდეთ დამცავი ტანსაცმლის ტარება, როგორიცაა ხელთათმანები, რომლებიც შეუძლებელს ან რთულს ხდის სენსორულ ეკრანზე მუშაობას. ანალოგიურად, ძალიან ცხელმა გარემომ შეიძლება გამოიწვიოს დისკომფორტი და ოფლმა შესაძლოა ხელი შეუშალოს სენსორებს.

4. დაბინძურებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მოწყობილობებზე. ეს განსაკუთრებით ეხება თითის ანაბეჭდის სენსორებსა და სენსორულ ეკრანებს. დარჩენილი ლიპიდები გაერთიანდება ნაწილაკებთან და მიღებული მუქი ცხიმი ბლოკავს სენსორებს ან ტოვებს აშკარად შესამჩნევი ნიმუშს სენსორულ ეკრანზე.

სოციალური კონტექსტი, რომელშიც ადამიანები აღმოჩნდებიან, ძლიერ გავლენას ახდენს ქცევაზე ღირებულებების მეშვეობით: საერთო რწმენა იმის შესახებ, თუ რა არის მნიშვნელოვანი და ღირებული, და ნორმები: წესები და მოლოდინები ქცევის შესახებ. თუ თავდაცვის მოსალოდნელი ქცევა ეწინააღმდეგება ყოველდღიური ქცევის ნორმებს, შესაძლოა გაჩნდეს პრობლემები. მაგალითად, თუ ორგანიზაცია აფასებს მომხმარებელთა კმაყოფილებას და მეგობრულ ურთიერთობებს, მაშინ უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც მოითხოვს, რომ პერსონალმა კლიენტის ნებისმიერ შეკითხვას ინფორმაციის მოპოვების პოტენციურ მცდელობად ჩათვალოს, შეუსაბამოა. უსაფრთხოების პოლიტიკასთან შეურიგებლობის მიზეზების გაგებამ შეიძლება ნათელი მოჰფინოს ამ კონფლიქტებს.

ნდობა კიდევ ერთი ძირითადი ნორმაა. ადამიანებს არ უყვართ უნდობლობის გრძნობა - და ნაჩვენებია, რომ თანამშრომლებისადმი უნდობლობის გამოხატვა ხელს უწყობს უარყოფით დამოკიდებულებებს. საჭიროა სხვა ასპექტების გათვალისწინება, რათა გავიგოთ, თუ როგორ ყალიბდება უსაფრთხოების რწმენა და ნორმები. მაგალითად, მომხმარებლები ხშირად იღებენ ცოდნას სოციალური ქსელებიდან და ისინი ასევე წარმოადგენენ მხარდაჭერისა და დახმარების წყაროს, როდესაც ისინი აწყდებიან გამოწვევებს.

მოწყობილობის შესაძლებლობები და შეზღუდვები

ჩვენ უკვე განვიხილეთ, რომ მოწყობილობის ფიზიკურმა მახასიათებლებმა შეიძლება გაართულოს უსაფრთხოების მექანიზმებთან

ურთიერთქმედება გარკვეულ გარემოებებში. მოწყობილობის ზოგიერთმა მახასიათებელმა შეიძლება გაართულოს უსაფრთხოების მექანიზმების გამოყენება ნებისმიერ ვითარებაში. მობილურ ტელეფონზე რბილ კლავიატურაზე გრძელი და რთული პაროლების შეყვანას გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ჩვეულებრივ კლავიატურაზე. მიუხედავად იმისა, რომ კლავიატურაზე ხშირი გამოყენების შემთხვევაში, ადამიანების უმეტესობას შეუძლია პაროლის დამახსოვრება, მათი ტემპი არ გაუმჯობესდება, როდესაც ისინი ხვდებან შეზღუდვას. განსაკუთრებით შემაშფოთებელია უსაფრთხოების თვალსაზრისით ის, რომ (შეთანხმების გარეშე) მომხმარებლები იწყებენ პაროლების მცირე რაოდენობის გამოყენებას, რომელთა შეყვანა ყველაზე ადვილია. ეს კი ამარტივებს თავდამსხმელების მიერ პაროლების გატეხვის ალბათობას. მიუხედავად იმისა, რომ 2FA-ს აქვს უსაფრთხოების უპირატესობები და ამცირებს ძლიერი პაროლების საჭიროებას, 2FA-ს ყველა უპირატესობის გამოყენება ერთრდოულად რთულია. ბევრ მომხმარებელს უჭირს ფართოდ გამოყენებული 2FA token-ების გამოყენება, როგორიცაა Digipass. ისინი აფასებენ იმას, რომ ის ჯდება მათ საფულეში, მაგრამ საბოლოო ჯამში მათთვის ეს „ზედმეტად დისკომფორტულია". ონლაინ ბანკინგის მომხმარებელთა ნახევარზე მეტს აქვს ანგარიშები ერთზე მეტ ფინანსურ პროვაიდერთან. ის ფაქტი, რომ ისინიც კი, ვინც იყენებენ 2FA-ს, განსხვავებულად ახორციელებენ (რომელი ტოკენი გამოიყენება, როდესაც ის უნდა იქნას გამოყენებული, და როგორ არის მოხსენიებული ავტორიზაციის სხვადასხვა ელემენტები (ფრაზა, პაროლი, საკვანძო ფრაზა) იწვევს მომხმარებლებში დაბნეულობას. ანალოგიურად, სხვადასხვა Chip-ისა და PIN-ის დანერგვა ქმნის ოდნავ განსხვავებულ ვარიაციებს ამოცანებში, რაც იწვევს შეცდომების გაზრდილ ალბათობას. ახალი მოწყობილობების გაზრდის გამო, ჭკვიანი საათებიდან დაწყებული და სახლის მოწყობილობებით დამთავრებული, და კიდევ უფრო მცირე ეკრანის ზომითა და იმპლიციტური ურთიერთქმედებით).

ადამიანური შეცდომა

უბედური შემთხვევებისა და უსაფრთხოების შესახებ 30 წელზე მეტი ხნის კვლევისას, ფსიქოლოგმა ჯეიმს რეისონმა დაადგინა, რომ ადამიანების თითქმის ყველა შეცდომა პროგნოზირებადია. ისინი წარმოიქმნება გაუცნობიერებელი შეცდომებისა (ორგანიზაციის და

ადგილობრივი სამუშაო ადგილის პირობები) და ცნობიერი შეცდომების შედეგად (ადამიანის შეცდომები და დარღვევები). უსაფრთხოების ინციდენტი ხდება იმის გამო, რომ საფრთხე აღწევს ორგანიზაციის თადაცვის მექანიზმების სისუსტეების გამოყენების მეთოდს. მართალია, პიროვნება შეიძლება იყოს ის, ვინც დააჭირა არასწორ ღილაკს ან დააჭირა ბმულს და გამოიწვია ინციდენტი, თუმცა, ამას წინ უძღოდა რამდენიმე სხვა შეცდომა, რამაც გამოიწვია ის, რომ ადამიანი მოხვდა ისეთ მდგომარეობაში, რომ სწორი არჩევანის გაკეთება არასწორი აღმოჩნდა.

ასევე არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა სისტემა შექმნილია უსაფრთხოების სისტემების გათვალისწინებით. ყველაზე ხშირად, სისტემები, ფაქტობრივად, სისტემათა სისტემებია (SoS), რომლებიც წარმოიქმნება სხვაგვარად დამოუკიდებელი სისტემების შედგენისგან, რომლებიც გაერთიანებულია კონკრეტული სერვისის ან ამოცანის შესრულებისთვის. SoS-ში ინტეგრაციის პრობლემები შესწავლილია და გასათვალისწინებელია გაუცნობიერებელი შეცდომები, რომლებიც წარმოიქმნება ინტეგრაციის დროს მიღებული გადაწყვეტილებების გამო. ცუდი გამოყენებადობა და ამოცანებისგან გამოწვეული გადაღლა წარმოადგენს იმდენად სერიოზულ რისკს SoS-ის უსაფრთხოებისთვის, რომ მნიშვნელოვანია მოხდეს წინასწარი ინვესტიცია, რათა თავიდან იქნას აცილებული ფარული წარუმატებლობა.

უსაფრთხოების კუთხით, თანამშრომლის მიერ უსაფრთხოების პროცედურებს არშესრულება წარმოადგენს წარუმატებლობას და უნდა მოხდეს მისი გამოსწორება. ხშირად უსაფრთხოების შეუსაბამობა გაუთვალისწინებელი რჩება გარკვეულ ინციდენტამდე. ფსიქოლოგმა დანიელ კანემანმა, 2002 წლის ნობელის პრემიის ლაურეატმა ეკონომიკაში ადამიანური მიკერძოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მუშაობისთვის აღწერა ორი სფერო: სისტემა 1 და სისტემა 2 (სწრაფი და ნელი აზროვნება). ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ადამიანების მიერ განხორციელებული აქტივობების უმეტესობა ხორციელდება პირველი სისტემის რეჟიმში, რომელიც ეფექტურს გვხდის. ადამიანები თავიანთი საქმიანობის უმეტეს ნაწილს მეორე სისტემის რეჟიმში რომ ასრულებდნენ. მოწოდება „Take Five" არარეალურია, როდესაც ადამიანები იღებენ ათობით სამუშაო წერილს ბმულებით. გარდა ამისა, თუ ამ ბმულზე დაწკაპუნების გარეშე ან პერსონალური ინფორმაციის მიწოდების გარეშე არ არსებობს

ძირითადი ამოცანის შესრულების გზა, პროდუქტიულობა სერიოზული საფრთხის ქვეშ ექცევა.

გარდა ამისა, თავდავცის ზომების დატვირთვის გათვალისწინებით, თავდაცვის ექსპერტებმა უნდა განიხილონ ის გავლენა, რაც მათი რჩევების დაცვას აქვს ადამიანების უნარზე, რომ შეასრულონ თავიანთი დავალებები, ისევე როგორც გავლენა ორგანიზაციასა და თანამშრომლებს შორის კომუნიკაციის ეფექტურობაზე. მაგალითად, დომენზე დაფუძნებული შეტყობინებების ავთენტიფიკაციის მოხსენებისა და შესაბამისობის (DMARC) გამოყენებამ თანამშრომლებს უნდა მისცეს საშუალება, განასხვავონ ნამდვილი შიდა კომუნიკაციები პოტენციური ფიშინგის მცდელობებისაგან. DMARC-ის გამოყენებამ „უსაფრთხო“ გამომგზავნის საიმედო მითითების უზრუნველსაყოფად შესაძლოა შეამციროს ელექტრონული წერილების რაოდენობა, რომლებიც საფრთხეს შეიცავენ. ულტრა უსაფრთხო დათვალიერების ტექნოლოგიის უზრუნველყოფა, რომელიც ახლა უკვე ხელმისაწვდომია, ნიშნავს, რომ ბმულებზე დაწკაპუნებას არ გააჩნია უარყოფითი შედეგები, ამიტომ მომხმარებლის განათლება და ტრენინგი შეიძლება მოხმარდეს სოციალური ინჟინერიისა და მანიპულაციის ტექნიკის ახსნას.

კომპლექსურ პრობლემებთან გამკლავებისას ადამიანებს ხშირად უწევთ როგორც სწრაფი, ისე ნელი პროცესების გაერთიანება და შედეგად შედიან ე.წ შერეული რეჟიმში, სადაც დავალების შესრულება არ ხდება სრულად ავტომატურად: ზოგიერთი ქცევა ავტომატურია, მაგრამ აუცილებელია შეგნებულად მუშაობაც. პროდუქტიულობის ხარჯების გარდა, ის უსაფრთხოების ექსპერტები, რომლებიც ურჩევენ ადამიანებს "შეჩერებას და ფიქრს" თვლიან, რომ „ნელი რეჟიმი“ „უსაფრთხო რეჟიმს“ წარმოადგენს. მაგალითად, ნელი რეჟიმშ ყოფნამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტი ფიქრი, მტკიცებულებების რაციონალიზაცია, არასწორ მიზნებზე ფოკუსირება (მაგ. წარმოების მიზნები) და დროისა და ენერგიის დაკარგვა. ფაქტობრივად, ოპერაციის თითოეულ ამ რეჟიმს გააჩნია საკუთარი ტიპის ადამიანური ნაკლი.

შეგნებულ რეჟიმშიც კი, ადამიანები ცდილობენ იყვნენ ეფექტურები. ისინი მიჰყვებიან იმ ქცევებს, რომლებსაც ხშირად იყენებენ, ან ისეთ ქცევას, რომლებიც ყველაზე მეტად შესაფერისი ჩანს იმ სიტუაციაში, რომელშიც ისინი ხვდებიან. თავდამსხმელები ამას საკუთარი

მიზნებისთვის იყენებენ მსგავსი ვებსაიტების შექმნით, ან უსაფრთხოების შეტყობინებების ჩართვით მათ ფიშინგ ელ-ფოსტაში. Reason განსაზღვრავს გაუცნობიერებელი წარუმატებლობის ოთხ ტიპს:

1. ინდივიდუალური ფაქტორები, რომელიც მოიცავს დაღლილობას, ასევე გამოუცდელობასა და რისკისადმი არასწორ მიდგომას.

2. ადამიანური ფაქტორები მოიცავს მეხსიერების შეზღუდვებს, საერთო ჩვევებსა და გავრცელებულ ცრურწმენებს.

3. სამუშაო ფაქტორები მოიცავს დროის ზეწოლას, დიდ დატვირთვას და მრავალ დავალებას, მაგრამ ერთფეროვნება და მოწყენილობა ერთნაირად იწვევს შეცდომებს, რადგან ადამიანების ყურადღება იფანტება. როლების, პასუხისმგებლობისა და წესების შესახებ გაურკვევლობა ასევე იწვევს არასწორ არჩევანს.

4. სამუშაო გარემოს ფაქტორები მოიცავს ამოცანების შეფერხებას, ცუდ აღჭურვილობასა და ინფორმაციას. ადამიანები ასევე მეტ შეცდომებს უშვებენ, როდესაც იცვლება წესები და პროცედურები.

ამოცანები და სამუშაო გარემო ფაქტორები ორგანიზაციის პასუხისმგებლობას წარმოადგენს. რეგულარული მიმოხილვები უნდა იყოს იმის შესახებ, თუ რამდენად კარგად არის დაცული უსაფრთხოების მექანიზმები. თუ ეს არ ხდება, მაშინ უნდა მოხდეს გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა. ის შეცდომებიც კი, რომელთაც ინციდენტი არ მოჰყოლიათ, ანალოგიურად უნდა იქნას გამოყენებული გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირებისთვის. ჩვენ ასევე უნდა გავიგოთ, თუ როგორ რეაგირებენ ადამიანები სტრესის პირობებში, მაგალითად, როდესაც განვითარებული თავდასხმის წინაშე დგანან.

„არასოდეს მიიღოთ ისეთი უსაფრთხოების პოლიტიკა, რომლის შესრულებაც შეუძლებელია“. მეორე მსოფლიო ომის ცნობილმა სამხედრო ლიდერმა გენერალმა დუგლას მაკართურმა გაავრცელა ფრაზა „არასოდეს გასცეთ ბრძანება, რომლის შესრულებაც შეუძლებელია“. მან აღიარა იმ ბრძანების დამანგრეველი გავლენა, რომლის შესრულებაც შეუძლებელია - რადგან ის ძირს უთხრის ყველა ბრძანების და ზემდგომების სანდოობას, რომლებიც მას გასცემენ და ბადებს გაურკვევლობას და ეჭვს. ეს იგივეა უსაფრთხოების

პოლიტიკის შემთხვევაშიც, როდესაც თანამშრომლები არიან ისეთი უსაფრთხოების პროტოკოლის წინაშე, რომლის დაცვა შეუძლებელია ან არაეფექტურია, ისინი უსაფრთხოების ყველა პოლიტიკაში ეჭვის შეიტანენ. ამიტომ უსაფრთხოების სწორი პოლიტიკა აუცილებელია. როდესაც უსაფრთხოების პროტოკოლები არაა დაცული, უსაფრთხოების პროფესიონალებმა უნდა გამოიკვლიონ არაკონფრონტაციული გზით, თუ რატომ არ ხდება მათი სწორად შესრულება. კირლაპოსმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ უმეტეს შემთხვევაში, თანამშრომლები პირდაპირ არ უგულებელყოფენ უსაფრთხოებას, მაგრამ ცდილობენ მართონ რისკი ისე, როგორც მათ იციან. ამ მეთოდს ჩრდილოვან უსაფრთხოებას უწოდებენ. მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უსაფრთხოების საკითხში შეიძლება არ იყოს ეფექტური, მაგრამ რადგან ის "მუშაობს", კითხვა „როგორ შევძლოთ ეს უსაფრთხოდ" კარგი საწყისი წერტილია იმ მეთოდის მოსაძებნად, რომელიც პიროვნებების ინტერესებსაც გაითვალისწინებს.

კიბერუსაფრთხოების ინფორმირებულობა და განათლება

უსაფრთხოების ცნობიერების მიზანია ხალხის ყურადღების მიპყრობა და მათი დარწმუნება, რომ ღირს უსაფრთხოების გათვალისწინება. იმის გათვალისწინებით, რომ ბევრ ორგანიზაციაში გავრცელებულია თავდაცვის ზომების მიმართ ზერელე დამოკიდებულება, შეგვიძლია დავესესხოთ კორმაკ ჰერლეის ციტატას: მეტი არაა პასუხი: ბევრი კომუნიკაციის დამიზნება უკუშედეგს მოიტანს. ჩვენ უნდა მივიპყროთ ხალხის ყურადღება და გავაცნობიერებინოთ, რომ (ა) კიბერუსაფრთხოება მათთვისაა მნიშვნელოვანია და (ბ) არსებობს შესაძლებელი ნაბიჯები, რომელთა გადადგმაც შეუძლიათ რისკის შესამცირებლად. ეფექტურად ცნობიერების ამაღლება არ არის ადვილი ამოცანა უსაფრთხოების სპეციალისტებისთვის.

უსაფრთხოების განათლება - მას შემდეგ, რაც ადამიანებს სურთ, რომ მეტი გაიგონ კიბერუსაფრთხოების შესახებ, ჩვენ შეგვიძლია მივაწოდოთ ინფორმაცია მათ რისკების შესახებ და თუ რა შეუძლიათ გააკეთონ მათგან თავის დასაცავად. ადამიანთა უმეტესობას ამჟამად ძალიან არასრული და ხშირად არასწორი წარმოდგენები აქვს

კიბერრისკებზე. სწორი წარმოდგენების ჩამოყალიბება საშუალებას გვაძლევს კიბერუსაფრთხოების უნარების ჩამოყალიბებისთვის.

უსაფრთხოების ტრენინგი.

ტრენინგი ეხმარება ადამიანებს, რომ შეიძინონ უნარები, მაგალითად, თუ როგორ გამოიყენონ უსაფრთხოების კონკრეტული მექანიზმი სწორად, როგორ ამოიცნონ და უპასუხონ სოციალური ინჟინერიის შეტევას. გარდა იმისა, რომ ვაჩვენოთ ადამიანებს, როგორ გააკეთონ რაღაც, ჩვენ უნდა დავუჭიროთ მხარი უნარების შეძენას და მათ გამოყენებას ისეთ გარემოში, სადაც შესაძლოა უსაფრთხოების გადაწყვეტილების მიღებაზე „ექსპერიმენტირება" და მიკერძოებების ასახვა. უნარების ათვისების წახალისება შესაძლებელია ონლაინ, ის ბევრად უფრო ეფექტურია სოციალური საზოგადოებაში.

გავრცელებული ცრურწმენაა, რომ ადამიანები ზემოთ მოცემული საფეხურების გავლის შემდგომ სხვანაირად მოიქცევიან. მაგრამ მხოლოდ იმის ცოდნა, თუ რა და როგორ უნდა გავაკეთოთ, საკმარისი არ არის. ადამიანის მოქმედებების 90% ავტომატურია. უსაფრთხოებაზე ორიენტირებული ქმედებები ადამიანის ტვინში უნდა იყოს მოთავსებული, მაგრამ მის განკუთვნილ ადგილზეა არსებული ქცევა (ძველი პაროლის მსგავსად). გამონათქვამი, რომ „ძველი ჩვევები მარტივად არ კვდება" ზუსტად აღწერს იმ ფაქტს, რომ სანამ არ მოვახერხებთ ძველი ქცევის ახლით ჩანაცვლებას, ცნობიერება, განათლება და ტრენინგი უაზროა. ამის მიღწევა რთულია, ვინაიდან პროდუქტიული აქტივობა უნდა მიმდინარეობდეს ამ ცვლილებების პროცესში. ჩვენ შეგვიძლია უყრადღება ერთდრულოად მხოლოდ ერთ-ორ ქცევას მივაქციოთ და მხოლოდ მათი მთლიანად ჩანაცვლების შემდეგ მივხედოთ დანარჩენებს. ასევე არ უნდა ავურიოთ უსაფრთხოების ცნობიერება და განათლება უსაფრთხოების კულტურასთან. ეს შეიძლება იყოს უსაფრთხოების კულტურის განვითარების ერთ-ერთი ელემენტი, მაგრამ თავისთავად არ არის ეფექტური უსაფრთხოების კულტურის მაგალითი. RISCS White Paper „ცნობიერება მხოლოდ პირველი ნაბიჯია", წარმოადგენს მხარდაჭერის მოდელს, რომელიც ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ქცევის ცვლილების მისაღწევად.

ახალი მიდგომები უსაფრთხოების ინფორმირებულობისა და ქცევის ცვლილების მხარდასაჭერად

სიმულაციები და თამაშები სულ უფრო ხშირად გამოიყენება, არამარტო როგორც უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების შედარებით მიმზიდველ მეთოდებად, არამედ ასევე უფრო კომპლექსური საგანმანათლებლო ზომებისა და ქცევის ცვლილების ჩამოსაყალიბებლად. ფიშინგის საწინააღმდეგო სიმულაციები დღეს ფართოდ გამოიყენება ორგანიზაციებში. მათი პოპულარობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ისინი გვაძლევენ ამ შეფერხებების გავლენის გაზომვის უნარს და ისინი, როგორც წესი, მართლაც ეფექტურები არიან ამ შეფერხებების რაოდენობის შემცირებაში. არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ ფიშინგის გამოცდილება არის „სასწავლო მომენტი", რომელიც იპყრობს თანამშრომლების ყურადღებას და არწმუნებს მათ ამ საგანმანათლებლო პროგრამაში მონაწილეობის მნიშვნელობას. თუმცა, ფოგგი, რომელმაც პირველად შემოიტანა კონცეფცია „გამომწვევი მომენტები" ცხადადაა დარწმუნებული, რომ ისი გამოიწვევს ქცევათა ცვლილებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანს აქვს ტრენინგში ჩართვის მოტივაცია და ნასწავლი უნარების გამოყენების უნარი. ჯოინსონი ამტკიცებს, რომ სოციალური ინჟინერიის გამომყენებელი თავდამსხმელების მიერ გარკვეული ემოციური და კონტექსტური გამომწვევები იმდენად მიზანმიმართული და მძლავრია (მაგალითად, შეტყობინება, რომელიც ამტკიცებს, რომ ინფორმაციას აქვს მოძრაობის ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეფერხების შესახებ სამუშაო დღის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე), რომ მათი თავიდან აცილება შეუძლებელია ტრენინგით.

ადამიანური ფაქტორის პერსპექტივიდან, ფიშინგის საწინააღმდეგო სიმულაციები შეიძლება პრობლემური აღმოჩნდეს, რადგან: 1) რადგან თანამშრომლებმა შეიძლება აღიქვან ეს, როგორც თავდასხმა საკუთარი ორგანიზაციის მიერ, რაც ამცირებს ნდობას და 2) მათ შეუძლიათ იმდენად დააშინონ თანმშრომლები, რომ ისინი უკვე ნამდვილ ელ-ფოსტასაც არ პასუხობენ. ეს ფაქტორები გულდასმით უნდა იქნას გათვალისწინებული ნებისმიერი ასეთი სიმულაციის დიზაინში. გარდა ამისა, როგორც ზემოთ განვიხილეთ, ისეთი მექანიზმების გამოყენებამ, როგორიცაა DMARC, შეიძლება შეამციროს საეჭვო ელ-წერილების რაოდენობა, რომლებზეც მომხმარებლებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება, რაც საშუალებას მოგვცემს მიმართული

სოციალური ინჟინერიისა და მანიპულაციის ტექნიკის უკეთესად ახსნაზე კონცენტრაციის შესაძლებლობას.

უსაფრთხოების ცნობიერების ასამაღლებელი თამაშები

Capture The Flag (CTF) თამაშები შექმნილია მოწყვლადობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად. მათი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ იმის დანახვით, თუ როგორ შეიძლება დაუცველობის გამოყენება სისტემაზე თავდასხმისთვის, დამცველები ისწავლიან თავდაცვის სწორი მეთოდების გამოყენებას საკუთარ სისტემებში. თუმცა, აქცენტი ამ თამაშებში ძირითადად კეთდება ორგანიზაციის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მომზადებაზე და არა მომხმარებელთა და თანამშრომელთა უფრო ფართო ჯგუფზე. არსებობს მაგიდის კარტის თამაშები, რომლებიც მიზნად ისახავს უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლებას ორგანიზაციებში მყოფ ფართო მომხმარებელთა ჯგუფებში. მაგალითად, Ctrl-Alt-Hack, dox3d!a და სხვა, რომლებიც სპეციალურად შექმნილი ICT სპეციალისტებისა და დეველოპერებისთვის. ასევე არსებობს სამაგიდო თამაშები, რომლებიც შექმნილია კიბერუსაფრთხოების საფრთხეებისა და კიბერრისკების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, მაგ., "გადაწყვეტილებები და შეფერხებები". ყველა ამ თამაშს აქვს სოციალური სწავლის გამოცდილების შეთავაზების პოტენციური უპირატესობა ჯგუფში თამაშის შემთხვევაში. მაგრამ, თუ ისინი შვიათად გამოიყენება, ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათ ექნებათ ხანგრძლივი ეფექტი. მთლიანობაში, თამაშებსა და სიმულაციებს აქვთ შესაძლებლობა, რომ შესთავაზონ ინდივიდებს ახალი ელემენტები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ქცევის ცვლილების მოდელის სხვადასხვა ეტაპზე, მაგრამ ისინი უნდა იყვნენ ქცევის შეცვლის დაგეგმილი პროგრამის ნაწილი და არა ერთჯერადი ინტერვენციები.

პოზიტიური უსაფრთხოება

რა არის კიბერუსაფრთხოების მიზანი? ამ კითხვაზე ადამიანების უმრავლესობის პირველი პასუხი არის კიბერშეტევების თავიდან აცილება ან თავდასხმების წარმატებისა და ზარალის რისკის შემცირება. როგორც ფლორენციომ და სხვებმა აღნიშნეს, იმ პირებს,

ვისაც სურთ, რომ ორგანიზაციებმა უფრო სერიოზულად აღიქვან უსაფრთხოება, მიმართავენ „შიშის, გაურკვევლობის და ეჭვის" (FUD) მეთოდს - ისინი ბადებენ შიშს შესაძლო თავდასხმებსა და მათ შედეგებზე, შემოაქვთ გაურკვევლობა შედეგების შესახებ და ბადებენ ეჭვს ორგანიზაციის უნარში, რათა დაიცვას საკუთარი თავი.

უსაფრთხოების პრაქტიკოსები დღეს ჩივიან, რომ ადამიანებისა და ბიზნესების უმეტესობა სერიოზულად არ იღებს კიბერრისკებს. პრობლემა ის არის, რომ შიშის გამოყენება არ არის კარგი საფუძველი თავდაცვითი უნარების გასაუმჯობესებლად: როდესაც უსაფრთხოების სფეროში მიღებული ინვესტიცია არაეფექტურია, მომხმარებლები სკეპტიკურად უყურებენ კიბერუსაფრთხოების სარგებელს.

ახალი საფრთხეებისგან თავის დასაცავად, კომპანიებს სჭირდებათ მეტი, ვიდრე პასიური მორჩილება - მათ სჭირდებათ თანამშრომლები, რომლებსაც სურთ ორგანიზაციის დაცვა და იმ პასუხისმგებლობის გათვალისწინება, რომლებიც მათ ეკისრებათ თავდაცვის სფეროში. ამის მისაღწევად აუცილებელია თავდაცვის, როგორც სანდო და საიმედო ზომის წარმოჩენა. პოზიტიური უსაფრთხოება გვთავაზობს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ რაიმეეს დაცვას. ის საშუალებას გვაძლევს, რომ ჩავერთოთ აქტივობებში, რომლებსაც ვაფასებთ. რო ამტკიცებს, რომ უსაფრთხოების პოზიტიური კონცეფცია იდეებს შემოიტანს ახალი პოლიტიკის ვარიანტებისა და ინტერვენციებისთვის და წაახალისებს ინდივიდებს ან ჯგუფებს, რომ უფრო მეტად ჩაერთონ ამ პროცესში.

პოზიტიური უსაფრთხოების კიდევ ერთი მთავარი ასპექტი არის ენა, რომელსაც ვიყენებთ მასთან დაკავშირებით. როგორც პირველი ნაბიჯი, ჩვენ უნდა შევწყვიტოთ იმ ადამიანების დემონიზაციის პრაქტიკა, რომლებსაც არ სურთ ან არ შეუძლიათ დაიცვან უსაფრთხოების ზომები: ამ ადამიანებისათვის „ყველაზე სუსტი რგოლის" იარლიყის მიკერება მათ წარმოაჩენს, როგორც უვიც პიროვნებებს.

დაინტერესებული მხარეების ჩართულობა

გასული ათწლეულის განმავლობაში კიბერუსაფრთხოებაში ადამიანის ქცევის შესახებ ჩატარებული გამოკვლევიდან ერთი ძალიან მკაფიო

თემა გამოიკვეთა: თანამშრომლებისთვის უსაფრთხოების ფუნქციონირების გზების პოვნაში ჩართულობის მნიშვნელობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია კომუნიკაცია და ლიდერობა. ლიზი კოულზ-კემპმა და მისმა კოლეგებმა შეიმუშავეს მიდგომა, რომელიც თანამშრომლების ჩართულობაზე კიდევ უფრო გამახვილებულია. ისინი იყენებენ პროექციულ ტექნიკას (მაგალითად, ნახატებს და კოლაჟებს) ყოველდღიური აქტივობების წარმოდგენის შესაქმნელად და უსაფრთხოების შესახებ დისკუსიის დასაბადებლად. კვლევები აჩვენებს, თუ როგორ ეხმარება ეს მერყევი ქცევების ძირეული მიზეზების იდენტიფიცირებას. ხშირ შემთხვევაში ეს ცუდად შემუშავებული უსაფრთხოების ზომებია (Beautement et al. შედეგების ეხმიანება), მაგრამ ასევე გვხვდება უფრო ფუნდამენტური პრობლემებიც, რომელიც ორგანაზიაციაში არსებობს.

კრეატიული უსაფრთხოების ჩართულობები (პირველად ნახსენები Dunphy-ს მიერ.) მოუწოდებს მონაწილეებს (თანამშრომლებს კომპანიის კონტექსტში ან მომხმარებლებს ან მოქალაქეებს უფრო ფართო ჩართულობით) დაფიქრდნენ:

- მათი გარემოზე;

  ემოციებზე, რომლებსაც ისინი განიცდიან;

  შეზღუდვებზე, რომელიც მათ აქვთ;

  მათზე არსებულ ზეწოლაზე;

  მოქმედებებზე და ამოცანებზე, რომლებსაც ისინი ასრულებენ ინფორმაციის შექმნისა და გაზიარებისას.

ინფორმაციული უსაფრთხოების საფრთხეების ფიზიკური მოდელირებისთვის Lego-ს გამოყენებით შემოქმედებითი ჩართულობის ერთი კონკრეტული ტექნიკა შეიმუშავა EU Trespass Project-მა. ფიზიკური მოდელირების ეს მეთოდი აკავშირებს ტიპიურ დიაგრამებს (ნაკადის დიაგრამები და ერთიანი მოდელირების ენის (UML) დიაგრამები), რომლებზეც ჩვეულებრივ მუშაობენ უსაფრთხოების პრაქტიკოსები და მომხმარებლების ყოველდღიურ პრაქტიკას, რომლებზეც გავლენას ახდენს უსაფრთხოების დიზაინი. Heath, Hall & Coles-Kemp-მა აღნიშნეს ამ მეთოდის წარმატებული შემთხვევის შესწავლას ბანკინგის აპლიკაციის უსაფრთხოების მოდელირებისთვის, რომელმაც გამოავლინა ის სფეროები, სადაც

ადამიანის ჩარევა და მხარდაჭერა იყო საჭირო იმისათვის, რომ უსაფრთხოებამ მთლიანობაში იმუშაოს. ეს კვლევები იძლევა უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლებთან, მომხმარებლებთან და მოქალაქეებთან ურთიერთობის სხვადასხვა გზების მაგალითებს. ისინი წარმოადგენენ კვლევის მზარდი ტენდენციების ნაწილს, რომლებიც შორდებიან ინდივიდებში თვისებების ძიების მექანიკურ მიდგომას. ამ მიდგომების ყურადღება გამახვილებულია უსაფრთხოების დიზაინის შეცვლაზე მომხმარებლისა და ორგანიზაციის სასარგებლოდ.

პროგრამული უზრუნველყოფის შემქმნელები და უსაფრთხოება

საბოლოო მომხმარებლები არ არიან ერთადერთები, რომლებსაც აქვთ პაროლებთან პრობლემები. იმ დეველოპერებს, რომლებიც წერენ კოდებს, რომელთა მეშვეობითაც პაროლები ინახება, აუცილებლად უსაფრთხოდ უნდა იმოქმედონ. მიუხედავად ამისა, ხშირად ვხდებით ფაქტის წინაშე, რომ ეს რთული ამოცანა ხშირად კატასტროფული შედეგებით მთავრდება. თუ დეველოპერებს დაავიწყდებათ პაროლის მონაცემთა ბაზის სათანადოდ დაცვა, ამან შეიძლება გამოიწვიოს საბოლოო მომხმარებლთა მილიონობით პაროლის გატეხვა. ნაიაკშინამ და სხვ, ჩაატარა შემთხვევითი ბუნების საკონტროლო ტესტი კომპიუტერული მეცნიერების სტუდენტებთან და თავისუფალ დეველოპერებთან და დაადგინა, რომ საბოლოო მომხმარებლების მსგავსად, დეველოპერები ძირითადად ამოცანის შესრულებაზე მუშაობენ და უსაფრთხოებას მეორეხარისხოვნად მიიჩნევენ. არცერთი სტუდენტი და მხოლოდ თავისუფალი დეველოპერების მცირე ნაწილი იღებდა რაიმე სახის უსაფრთხოების ზომებს, თუ ამის შესახებ აშკარა მოთხოვნა არ არსებობდა. საინტერესოა, რომ იმ მონაწილეთაგან, რომლებმაც მიიღეს უსაფრთხოების გარკვეული ზომები, სტუდენტების მიერ მიღებული ზომები უკეთესად იყო შესრულებული, ვიდრე თავისუფალ დეველოპერებსა, რომლებიც უფრო მოძველებულ და არასწორ კრიპტოგრაფიულ მექანიზმებს იყენებდნენ თავიანთი პაროლების შესანახად.

Acar-მა და სხვ. შეისწავლეს ონლაინ სოციალური ქსელების გავლენა (როგორიცაა StackOverflow) იმ კოდის უსაფრთხოებაზე, რომელსაც დეველოპერები ქმნიან. დეველოპერების ორმა მესამედმა, რომლებიც

იყენებდნენ StackOverflow-ს ან სახელმძღვანელოს, მოახერხა გამოყოფილი დროის განმავლობაში სწორი გამოსავლის პოვნა, მაშინ როცა ოფიციალურ დოკუმენტაციის მომხამრებლების მხოლოდ 40%-მა შეძლო ამის გაკეთება. უსაფრთხოების ამოცანების თვალსაზრისით კი შედეგები სხვაგვარი აღმოჩნდა. ისინი, ვინც იყენებდნენ ოფიციალურ დოკუმენტაციას, აწარმოებდნენ ყველაზე სანდო კოდებს, ხოლო StackOverflow-ს მომხმარებლები კი ყველაზე ნაკლებად უსაფრთხოს. ამ შედეგზე ტრადიციული პასუხი იქნება, რომ „StackOverflow-ის გამოყენება უნდა აიკრძალოს". მაგრამ ცხადია, რომ ეს პროდუქტიულობას მეტად დააზარალებს. მაგალითად, ბოლოდროინდელმა სამუშაოებმა აჩვენა, რომ დეველოპერები იყენებენ ასეთ ფორუმებს ინფორმაციის გაცვლისა და ურთიერთდახმარების შეთავაზებისთვის. ეს არ ნიშნავს, რომ ასეთი რჩევები ყოველთვის ეფექტურია (როგორც ზემოთ აღინიშნა), მაგრამ ფორუმები უზრუნველყოფს პრაქტიკული საზოგადოების არსებობას, რომელშიც დეველოპერებს შეუძლიათ თავიანთი პრობლემების გაზიარება და დახმარების ძებნა. ასეთი ფორუმების პირდაპირი აკრძალვა მათი შესაბამისი მხარდაჭერით ჩანაცვლების გარეშე, შესაბამისად, არ გადაწყვეტს იმ პრობლემას, რის გამოც ეძებენ დეველოპერები ასეთ მხარდაჭერას.

პოლიტიკა

უსაფრთხოების პოლიტიკა არის უსაფრთხოების მიზნების კომპლექტი კომპანიისთვის, რომელიც მოიცავს მომხმარებელთა და ადმინისტრატორთა ქცევის წესებს და განსაზღვრავს სისტემის მოთხოვნებს. ეს მიზნები, წესები და მოთხოვნები ერთობლივად უზრუნველყოფენ ორგანიზაციის ფარგლებში ქსელის, მონაცემებისა და კომპიუტერული სისტემების უსაფრთხოებას.

უსაფრთხოების ყოვლისმომცველი პოლიტიკა ასრულებს რამდენიმე ამოცანას:

- ახდენს ორგანიზაციის ვალდებულების დემონსტრაციას უსაფრთხოების მიმართ;
- იგი ადგენს წესების გარკვეულ ჩამონათვალს მოსალოდნელი მოვლენებისადმი რეაგირების მიმართ;

- იგი უზრუნველყოფს სისტემური ოპერაციების, პროგრამული უზრუნველყოფის და აპარატურის შეძენისა და გამოყენების თანმიმდევრულობასა და მხარდაჭერას;
- იგი განსაზღვრავს დარღვევების სამართლებრივ შედეგებს;
- იგი აძლევს უსაფრთხოების პერსონალს მენეჯმენტის მხარდაჭერას.

უსაფრთხოების პოლიტიკა აცნობს მომხმარებლებს, თანამშრომლებს და მენეჯერებს ორგანიზაციის მოთხოვნებს ტექნოლოგიისა და ინფორმაციული აქტივების დაცვის შესახებ. უსაფრთხოების პოლიტიკა ასევე განსაზღვრავს უსაფრთხოების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად საჭირო მექანიზმებს.

უსაფრთხოების პოლიტიკა, როგორც წესი, მოიცავს:

- იდენტიფიკაციისა და ავტორიზაციის პოლიტიკა - განსაზღვრავს ავტორიზებულ პერსონალს, რომელსაც გააჩნია წვდომა ქსელის რესურსებთან და მართავს ვერიფიკაციის პროცესს;
- პაროლების პოლიტიკა - უზრუნველყოფს პაროლთა სირთულის პოლიტიკას და განსაზღვრავს მათი ცვლილების სიხშირეს;
- დასაშვები გამოყენების პოლიტიკა - ახდენს ქსელის რესურსების იდენტიფიცირებას და მათი გამოყენების მიზანშეწონილობას ორგანიზაციისათვის. მან ასევე შესაძლოა განსაზღვროს სახდელი უსაფრთხოების პოლიტიკის დარღვევისათვის;
- დისტანციური წვდომის პოლიტიკები - განსაზღვრავს დისტანციური მომხმარებლის ქსელის რესურსებთან წვდომის წესს;
- ქსელის მხარდაჭერის პოლიტიკა - განსაზღვრავს ქსელური ოპერაციული სისტემის ტიპს და მომხმარებელთა აპლიკაციების განახლების პროცესს;
- ინციდენტებზე რეაგირების პოლიტიკა - განსაზღვრავს ინციდენტთა აღმოფხვრის წესებს.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული უსაფრთხოების პოლიტიკის კომპონენტს წარმოადგენს დასაშვები გამოყენების წესები (AUP). ეს კომპონენტი განსაზღვრავს, რომელ მომხმარებლებს აქვთ ან არ აქვთ

წვდომა სისტემის სხვადასხვა კომპონენტებზე. AUP-ის წესები უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, რათა თავიდან იქნას აცილებული გაუგებრობა. მაგალითად, AUP-ში ჩამოთვლილი უნდა იყოს კონკრეტული ვებგვერდები, საინფორმაციო ჯგუფები, ან პროგრამები, რათა მომხმარებლებს არ შეეძლოთ მათზე წვდომა ორგანიზაციის კომპიუტერების ან ქსელის გამოყენებით.

მკაცრად გაწერილი სტანდარტები საშუალებას აძლევს IT თანამშრომლებს შეინარჩუნონ თანმიმდევრულობა ქსელის ფუნქციონირებაში. სტანდარტების დოკუმენტები უზრუნველყოფს იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც სპეციფიკურ მომხმარებლებს ან პროგრამებს სჭირდებათ დამატებით ნებისმიერი პროგრამის მოთხოვნებსა ან კრიტერიუმებზე, რომლებიც ორგანიზაციამ უნდა დაიცვას. ეს ხელს უწყობს IT პერსონალს, გაუმჯობესოს ეფექტიანობა და უფრო მარტივი გახადოს სისტემის მხარდაჭერა და გაუმართაობების აღმოფხვრის პროცესი.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უსაფრთხოების პრინციპია თანმიმდევრულობა. ამისათვის აუცილებელია ორგანიზაციებისთვის სტანდარტების დამკვიდრება. თითოეული ორგანიზაცია ავითარებს სტანდარტებს თავისი უნიკალური საოპერაციო გარემოს მხარდასაჭერად. მაგალითად, ორგანიზაცია ადგენს პაროლის პოლიტიკას. სტანდარტის თანახმად პაროლები მოითხოვენ მინიმუმ რვა მაღალი და დაბალი რეგისტრის სიმბოლოებს, მათ შორის მინიმუმ ერთს უნიკალურ სიმბოლოს. მომხმარებელმა უნდა შეიცვალოს პაროლი ყოველ 30 დღეში, ხოლო 12 წინა პაროლის ისტორია უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ უნიკალური პაროლების შექმნას ერთი წლის განმავლობაში.

სახელმძღვანელო წარმოადგენს მითითებების ჩამონათვალს, როგორ ვიმოქმედოთ უფრო ეფექტურად და უსაფრთხოდ. ისინი სტანდარტების მსგავსია, მაგრამ უფრო მოქნილია და ჩვეულებრივ, სავალდებულო არ არის. სახელმძღვანელო პრინციპები განსაზღვრავენ, თუ როგორ ვითარდება სტანდარტები და უზრუნველყოფენ უსაფრთხოების ზოგადი პოლიტიკის დაცვას.

ზოგიერთ შემთხვევაში ყველაზე სასარგებლო სახელმძღვანელო პრინციპებს ქმნის ორგანიზაციის პრაქტიკა. ორგანიზაციის მიერ

განსაზღვრული საუკეთესო პრაქტიკის გარდა, სახელმძღვანელო მითითებები ასევე შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს შემდეგნაირად:

- სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეროვნული ინსტიტუტი (NIST) კომპიუტერული უსაფრთხოების რესურსცენტრი
- ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს (NSA) უსაფრთხოების კონფიგურაციის მითითებები
- საერთო კრიტერიუმების სტანდარტი

პაროლის პოლიტიკის მაგალითის გამოყენებით, სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ მომხმარებელმა აარჩიოს ფრაზა, როგორიცაა „I have dream" და დააკონვერტიროს ის ძლიერ პაროლში, "Ihv @dr3 @m". მომხმარებელს შეუძლია შექმნას სხვა პაროლები ამ ფრაზისგან ნომრის შეცვლით, სიმბოლოების გადაადგილებით ან პუნქტუაციის ნიშნის შეცვლით.

პროცედურული დოკუმენტები უფრო დიდი მოცულობის და უფრო დეტალურია, ვიდრე სტანდარტები და სახელმძღვანელო მითითებები. პროცედურული დოკუმენტები მოიცავს განხორციელების დეტალებს, რომლებიც, როგორც წესი, შეიცავენ ნაბიჯ-ნაბიჯ ინსტრუქციებს

მსხვილმა ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ პროცედურული დოკუმენტები, რათა შეინარჩუნონ რეალიზაციის თანმიმდევრულობა, რაც აუცილებელია უსაფრთხო გარემოსთვის.

2.5 ISO ინფორმაციული უსაფრთხოების მოდელი

მოდელის მიმოხილვა

უსაფრთხოების სპეციალისტებმა უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის დაცვა ორგანიზაციის ფარგლებში მისი გენერირების წყაროდან დანიშნულების ობიექტამდე. ეს საკმაოდ მოცულობითი ამოცანაა და ძნელად წარმოსადგენია, რომ ერთი ადამიანის ცოდნა ეყოს მის სათანადო განხორციელებას. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO)/საერთაშორისო ელექტროტექნიკური კომისია (IEC)-მ შეიმუშავა ყოვლისმომცველი ჩარჩო ინფორმაციული უსაფრთხოების მართვისთვის. ISO/IEC კიბერუსაფრთხოების მოდელი კიბერუსაფრთხოების პროფესიონალებისთვის არის ის, რაც OSI ქსელის მოდელია ქსელის ინჟინრებისთვის. ორივე უზრუნველყოფს

კომპლექსური ამოცანების გააზრებას და არ სცილდება გარკვეულ ჩარჩოებს.

კიბერუსაფრთხოების დომენები

ISO/IEC 27000 წარმოადგენს ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტს, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 2005 წელს და ბოლოს განახლდა 2022 წელს. ISO აქვეყნებს ISO 27000 სტანდარტებს. მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტები სავალდებულო არ არის, ქვეყნების უმრავლესობა მათ ინფორმაციული უსაფრთხოების განსახორციელებლად დე-ფაქტო ჩარჩოდ იყენებს.

ISO 27000 სტანდარტი აღწერს ყოვლისმომცველი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (ISMS) განხორციელებას. ISMS შეიცავს ყველა ადმინისტრაციულ, ტექნიკურ და საოპერაციო კონტროლის მექანიზმს, რათა დაცული იქნას ინფორმაცია ორგანიზაციის ფარგლებში. ISO 27000 სტანდარტის კომპონენტები ემსახურება ინფორმაციული უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ ინფორმაციის ფართო სპექტრის მაღალ დონეზე ორგანიზებას.

ISO კიბერუსაფრთხოების მოდელის სტრუქტურა განსხვავდება OSI მოდელისგან, რომელიც იყენებს დომენებს და არა შრეებს უსაფრთხოების კატეგორიების აღსაწერად. ამის მიზეზი ის არის, რომ ISO კიბერუსაფრთხოების მოდელში არ არის გათვალისწინებული იერარქიული ურთიერთობა. ეს არის თანასწორობის მოდელი, რომელშიც თითოეული დომენი პირდაპირ ურთიერთობაშია სხვა დომენებთან. ISO 27000 კიბერუსაფრთხოების მოდელი ძალიან ჰგავს OSI-ს მოდელს, შესაბამისად, კიბერუსაფრთხოების სპეციალისტებისთვის მნიშვნელოვანია ამის გააზრება წარმატებული საქმიანობისათვის.

თორმეტი დომენი წარმოადგენს უსაფრთხოების ორგანიზაციული სტანდარტებისა და უსაფრთხოების ეფექტური მართვის პრაქტიკის შემუშავების საერთო საფუძველს. ისინი ასევე ხელს უწყობენ ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციას.

მართვის მიზნები და სისტემები

თორმეტი დომენი შეიცავს მართვის მიზნებს, რომლებიც აღწერილნი არიან სტანდარტის 27001 ნაწილში. მართვის მიზნები განსაზღვრავენ ყოვლისმომცველი ISMS-ის მაღალი დონის მოთხოვნებს. ორგანიზაციის მმართველი გუნდი იყენებს ISO 27001 კონტროლის მიზნებს ორგანიზაციის უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრასა და გამოსაქვეყნებლად. მართვის მიზნები უზრუნველყოფენ ჩამონათვალს, რომელიც გამოიყენება უსაფრთხოების მართვის აუდიტის დროს. ბევრ ორგანიზაციას ესაჭიროება ISMS აუდიტის გავლა, რათა მიიღოს ISO 27001 შესაბამისი სერტიფიკატი.

სერტიფიცირება და შესაბამისობა უზრუნველყოფს ნდობას ორი ორგანიზაციისთვის, რომლებიც უნდა გააჩნდეთ ნდობა ერთმანეთის მიმართ კონფიდენციალურ მონაცემებსა და ოპერაციებზე. შესაბამისობის და უსაფრთხოების აუდიტი ადასტურებს, რომ ორგანიზაციები მუდმივად აუმჯობესებენ ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემას.

შემდეგი მაგალითი წარმოგვიდგენს მართვის მიზანს:

ქსელებზე ხელმისაწვდომობის კონტროლის განხორციელება მომხმარებლებისა და აპარატურის შესაბამისი ავტორიზაციის მექანიზმების გამოყენებით.

ISO/IEC 27002 განსაზღვრავს ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემის მართვას. მართვა უფრო დეტალურია, ვიდრე მიზნები. მართვის მიზნები უსახავს ორგანიზაციას სამოქმედო გეგმებს. ისინი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იქნეს მიღწეული მიზანი.

მართვის ობიექტზე დაყრდნობით, იმისათვის, რომ განხორციელდეს ქსელებზე წვდომის მართვა მომხმარებლებისა და აპარატურის შესაბამისი ავტორიზაციის მექანიზმების გამოყენებით:

გამოიყენეთ ძლიერი პაროლები. ძლიერი პაროლი შედგება მინიმუმ რვა სიმბოლოსაგან, რომელიც არის ასოების, ნომრებისა და სიმბოლოების კომბინაცია (@, #, $,% და ა. შ.). პაროლები მგრძნობიარეა, ამიტომ ძლიერი პაროლი შეიცავს სიმბოლოებს ორივე - ზედა და ქვედა რეგისტრში.

ISO კიბერუსაფრთხოების მოდელი და CIA ტრიადა

ISO 27000 არის უნივერსალური ჩარჩო ყველა ტიპის ორგანიზაციისთვის. ჩარჩოს ეფექტურად გამოყენების მიზნით, ორგანიზაციამ მკაცრად უნდა განსაზღვროს, თუ რომელი დომენები, კონტროლის მიზნები და კონტროლის მექანიზმები ვრცელდება მის გარემოსა და ოპერაციებზე.

ISO 27001 მართვის მიზნები შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ერთგვარი ჩამონათვალი. ორგანიზაციის პირველი ნაბიჯი არის იმის განსაზღვრა, თუ მართვის მიზნების რა ჩამონათვალის გამოიყენებაა მიზანშეწონილი ორგანიზაციისთვის. ორგანიზაციების უმრავლესობა ქმნის დოკუმენტს, რომელსაც ეწოდება გამოყენებადობის განაცხადი (SOA). SOA განსაზღვრავს კონტროლის მექანიზმებს, რომელთა გამოყენებაც ორგანიზაციას ესაჭიროება.

სხვადასხვა ორგანიზაციები უფრო დიდ პრიორიტეტს ანიჭებენ კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის მხარდაჭერას, რაც დამოკიდებულია ინდუსტრიის ტიპზე. მაგალითად, Google ანიჭებს ყველაზე მაღალ მნიშვნელობას მომხმარებლის მონაცემების კონფიდენციალურობასა და ხელმისაწვდომობას და ნაკლებს - მთლიანობას. Google არ ამოწმებს მომხმარებლის მონაცემებს. Amazon აქცენტს აკეთებს მონაცემთა ხელმისაწვდომობაზე. თუ საიტი არ არის ხელმისაწვდომი, Amazon ვერ გაყიდის პროდუქტს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ Amazon უგულებელყოფს კონფიდენციალურობას ხელმისაწვდომობის სასარგებლოდ. Amazon-ისათვის უბრალოდ უმაღლესი პრიორიტეტი ხელმისაწვდომობაა. აქედან გამომდინარე, Amazon-ს შეუძლია მეტი რესურსის დახარჯვა უზრუნველყოს, რათა რაც შეიძლება მეტი სერვერი გახადოს ხელმისაწვდომი მომხმარებელთათვის.

ორგანიზაცია ახორციელებს თავისი მართვის მიზნების ადაპტაციას და მიმართავს ძალისხმევას მაქსიმალური კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ხელმისაწვდომობის მისაღწევად.

ორგანიზაციის ფარგლებში თითოეული სხვადასხვა ჯგუფი შეიძლება პასუხისმგებელი იყოს სხვადასხვა ტიპის მონაცემებზე. მაგალითად, ქსელის უსაფრთხოების ჯგუფი პასუხისმგებელია მონაცემებზე მისი გადაცემის დროს. პროგრამისტები და მონაცემთა შეტანის პერსონალი პასუხისმგებელნი არიან მონაცემებზე მისი დამუშავების დროს.

აპარატურისა და სერვერის მხარდაჭერის სპეციალისტები პასუხისმგებელნი არიან შენახულ მონაცემებზე. ISO მართვა კონკრეტულად მიმართავს უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმებს თითოეული სამი ტიპის მონაცემისთვის.

მოცემულ მაგალითში, თითოეული წარმომადგენელი სამი ჯგუფის ხელს უწყობს მართვის იდენტიფიცირებას და თითოეული მართვის პრიორიტეტს მათ საპასუხისმგებლო სექტორში. ქსელის უსაფრთხოების ჯგუფის წარმომადგენელი განსაზღვრავს მართვას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა მონაცემის კონფიდენციალურობას, მთლიანობასა და ხელმისაწვდომობას.

ISO 27001 მართვის მიზნები უშუალოდ ეხება ორგანიზაციის კიბერუსაფრთხოების პოლიტიკას, პროცედურებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებსაც TOP მენეჯმენტი განსაზღვრავს. ISO 27002 მართვა უზრუნველყოფს ტექნიკურ მიმართულებას. მაგალითად, TOP მენეჯმენტი ადგენს პოლიტიკას, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის შიგნით ან გარეთ არსებული ყველა მონაცემის დაცვას. პოლიტიკის მიზნების დასაკმაყოფილებლად ტექნოლოგიის დანერგვა არ მოითხოვს ზედა მენეჯმენტის ჩართულობას. IT პროფესიონალების პასუხისმგებლობაა, სწორად შეარჩიონ და გამართონ აპარატურა, რომელიც გამოიყენება TOP მენეჯმენტის მიერ დადგენილი პოლიტიკის შესასრულებლად.

ინფორმაციული უსაფრთხოების რისკი და მართვის საჭიროება

ხანძარი, წყალდიდობა, ძლიერი ყინვა, აფეთქება და ვულკანის ამოფრქვევა იმ მოვლენათა არასრული ჩამონათვალია, რაც საუკუნეების განმავლობაში კაცობრიობის მიერ ფიზიკური ინფრასტრუქტურის წინაშე მდგარ საფრთხეებად მიიჩნეოდა. თუმცა, 21-ე საუკუნეში, თითოეულ მათგანს უკვე ინფორმაციისა და ინფორმაციული სისტემების საფრთხედაც მიიჩნევენ და ისინი განგაშის საფუძველსაც ხშირად ქმნიან. ამას ემატება უშუალოდ კიბერსივრცეში არსებული საფრთხეები, როგორიცაა: შპიონაჟი, ფინანსური თაღლითობები, საბოტაჟი, ინფორმაციის მოპარვა, დაკარგვა და სხვა.

მართლაც, ინფორმაციის მნიშვნელობამ დღეს უმაღლეს ნიშნულს მიაღწია, რითაც ის გახდა ყველაზე კრიტიკული აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია იღებს, ამუშავებს, ცვლის და ინახავს.

ორგანიზაციის ინფორმაციულ სისტემებში არსებული პერსონალური და კონფიდენციალური ინფორმაცია მოწყვლადია როგორც ზემოაღნიშნული ფიზიკური, ასევე კიბერსაფრთხეების წინაშე, რის გამოც ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვას უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში.

ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა არის უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეების იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვის უწყვეტი პროცესი. ის წარმოადგენს ორგანიზაციის მიერ რისკების მართვის განუყოფელ, მნიშვნელოვან ნაწილს, ვინაიდან მის საფუძველზე უნდა იყოს შეთავაზებული უსაფრთხოების ადეკვატური გადაწყვეტები ინფორმაციული სისტემებისა და მონაცემებისთვის.

სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტები, როგორიცაა ISO, NIST წარმოგვიდგენენ ინფორმაციული უსაფრთხოების რისკის მართვის მეთოდოლოგიას, რომელთაც მსოფლიოში ფართოდ იყენებენ და მათგან მიღებულ სარგებელს დადებითად აფასებენ. თუმცა, ამ სტანდარტების დანერგვას სჭირდება გარკვეული რესურსი და ძალისხმევა, დაწყებული მმართველი რგოლის მხარდაჭერით და დასრულებული ფინანსური ინვესტიციით.

ინფორმაციული უსაფრთხოების რისკი, საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განიმარტება როგორც შესაძლებლობა იმისა, რომ კონკრეტული საფრთხე, ინფორმაციული აქტივ(ებ)ის სისუსტის გამოყენებით, ზიანს მიაყენებს აქტივს ან აქტივთა ჯგუფს და აღნიშნულით ზიანი მიადგება ორგანიზაციას.

ცხადია, იმ ეპოქაში, როდესაც კიბერთაღლითობას უამრავი მსხვერპლი ჰყავს, ერთ კიბერშეტევას კი შეუძლია ორგანიზაციას ასი ათასობით დოლარის ზარალი მოუტანოს, რეპუტაცია შეულახოს და, უფრო მეტიც, ინფრასტრუქტურა ფიზიკურად გაანადგუროს, საჯარო არეულობა გამოიწვიოს, ან ეროვნული უსაფრთხოების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს, საფრთხეების პრევენციის საჭიროებაზე ყურადღების გამახვილების საჭიროება აღარ დგას.

მართლაც, შეუძლებელია 21-ე საუკუნეში კერძო თუ საჯარო დაწესებულება ფუნქციონირებდეს შესაბამისი საფრთხეების იდენტიფიცირებისა და რისკების შეფასების გარეშე. ინფორმაციას და ინფორმაციულ სისტემებს შეიძლება საფრთხე შეუქმნას ფიზიკურმა ზიანმა (ხანძარი, ნგრევა, ყინვა), ბუნებრივმა პროცესებმა (წყალდიდობა, მიწისძვრა), ძირითადი სერვისების შეფერხებამ (კონდიცირების სისტემა დაზიანება, კვების შეწყვეტა), ინფორმაციის კომპრომეტირებამ (შპიონაჟი, დეზინფორმაცია, არასანქცირებული შეღწევა სისტემებში), ტექნიკურმა გაუმართაობებმა (მოწყობილობის გაუმართაობა, პროგრამის შეფერხებით მუშაობა), მესამე პირის არაავტორიზებულმა ქმედებებმა თუ სხვა.

ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა კი გულისხმობს როგორც ამ საფრთხეების, ასევე ამ საფრთხეების შესაბამისი მოწყვლადობის იდენტიფიცირებას. მაგალითისთვის, თუკი საფრთხედ მივიჩნევთ შპიონაჟს და ორგანიზაციას ქსელის დაუცველი არქიტექტურა აქვს, ამ შემთხვევაში, მან იცის, რომ ეს პრობლემა დაუყოვნებლივ გადასაჭრელია.

ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვას აქვს რიგი სარგებელი, კერძოდ:

- ✓ ის ორგანიზაციას უჩენს კონკურენტულ უპირატესობას, ზრდის მის რეპუტაციას და მის მიმართ ნდობას, რაც საბოლოოდ ბიზნესის შედეგებზე აისახება;
- ✓ ის ამცირებს ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტის მოხდენის ალბათობას, ვინაიდან ორგანიზაციას აქვს ინფორმაცია შესაბამის საფრთხეზე და ამ საფრთხის თავიდან ასარიდებელ საშუალებებს იყენებს;
- ✓ ის საშუალებას აძლევს ორგანიზაციას მიიღოს სწორი გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება რეალურ რისკებს;
- ✓ ის ზოგავს ორგანიზაციის ხარჯებს ეფექტური და ეფექტიანი კონტროლის მექანიზმების დანერგვით;
- ✓ ის არის საქმიანობის უწყვეტობის წინაპირობა;
- ✓ ის ორგანიზაციას აძლევს სრულ ხედვას ინფორმაციული აქტივების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მხოლოდ ამ პროცესის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში შეუძლია ორგანიზაციას იყოს სრულად

თავსებადი ისეთ საერთაშორისო სტანდარტებთან, როგორიც არის ISO27001, NIST და სხვა. მეტიც, ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვა ISO სტანდარტის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა და მის გარეშე ორგანიზაცია შესაბამის სერტიფიკატს ვერ მოიპოვებს.

ვინაიდან „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს კანონი ავალდებულებს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებს, რომ მათი ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა იყოს თავსებადი სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO), აშშ-ის სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეროვნული ინსტიტუტის (NIST) და ინფორმაციული სისტემების აუდიტისა და კონტროლის ასოციაციის (ISACA) მიერ დადგენილ სტანდარტებსა და მოთხოვნებთან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველოს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის რომელიმე სუბიექტის ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის პროცესმა ამ სტანდარტებს გვერდი აუაროს.

ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვისთვის მნიშვნელოვანია განისაზღვროს მეთოდოლოგია. თითოეული ორგანიზაცია განსხვავდება თავისი შიდა და გარე გარემოს მიხედვით, სტრატეგიული მიზნებით, ამოცანებით, სტრუქტურით, ინფორმაციული სისტემებით, ქსელის არქიტექტურით. შესაბამისად, ზოგი საჭიროებს საბაზისო მიდგომას, ზოგი კი უფრო სიღრმისეული მეთოდოლოგიის გამოყენებას. არსებობს ამ პროცესის მართვის რამდენიმე საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტი, თუმცა რომელიმე მათგანის გამოყენება ვალდებულება ნამდვილად არ არის. ორგანიზაციას შეუძლია შექმნას საკუთარიც. მთავარი ისაა, რომ მეთოდოლოგია იყოს შესატყვისი ორგანიზაციასთან, მის მიზნებსა და სამუშაო პროცესებთან. წარმოგიდგენთ ყველაზე გავრცელებული მეთოდოლოგიებიდან რამდენიმეს:

OCTAVE: 2001 წელს შექმნილი OCTAVE Allegro კონცენტრირდება ინფორმაციულ აქტივებზე. ორგანიზაციის კრიტიკული აქტივები იდენტიფიცირდება და ფასდება მასთან დაკავშირებულ სხვა აქტივებთან მიმართებაში. ამ მეთოდოლოგიის დადებით მხარედ მიიჩნევა მორგებისა და დოკუმენტირების შესაძლებლობა, ხოლო უარყოფით მხარედ მისი სირთულე. ის შედგება 3 ფაზისგან:

ფაზა 1: ორგანიზაცია ახდენს აქტივების იდენტიფიცირებას და განსაზღვრავს მათ მნიშვნელობას თავისი ბიზნესის მიზნებისთვის. აქტივად შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ინფორმაცია, ქონება ან ადამიანური რესურსი, ან ორგანიზაციის ფუნქციონირებისთვის კრიტიკული მონაცემები, როგორიცაა ნოუ-ჰაუ და მონაცემები. შემდეგ ორგანიზაცია განსაზღვრავს საფრთხეებს ამ აქტივებისთვის და აჯგუფებს მათ თემატიკის (პროფილების) მიხედვით.

ფაზა 2: ამ ფაზაზე ორგანიზაცია აფასებს დაუცველობას თავის ინფრასტრუქტურაში, რომელიც შეიძლება იდენტიფიცირებული საფრთხეების დადგომის მიზეზი. ეს მოიცავს სისუსტეების იდენტიფიცირებას ორგანიზაციის ფიზიკურ, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ ოპერაციებში.

ფაზა 3: ამ ფაზაზე ორგანიზაცია შეიმუშავებს უსაფრთხოების სტრატეგიას და განხორციელების გეგმას გამოვლენილი რისკების მართვისთვის. გეგმა მოიცავს რისკების პრიორიტეტიზაციას ორგანიზაციაზე მათი გავლენის საფუძველზე და მათი მართვის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებას.

FAIR: არის რისკის ანალიზის რაოდენობრივი შეფასების მოდელი. ის სპეციალიზდება ფინანსურ შედეგებზე და არ მოიაზრებს ხარისხობრივ შეფასებას. მისი დადებითი მხარეა საფრთხეების, მოწყვლადობებისა და რისკების დონეების დაყოფა, ხოლო უარყოფითი მხარეა სირთულე.

COBIT: „კონტროლის მექანიზმები ინფორმაციისა და ტექნოლოგიებისთვის", რომელიც შეიქმნა ინფორმაციული სისტემების აუდიტისა და კონტროლის ასოციაციის (ISACA) მიერ, ფოკუსირდება კონტროლის მექანიზმების იდენტიფიცირებაზე (Simplelearn, 2023). ის შედგება 37 პროცესისგან, რომლითაც იმართება და კონტროლდება ინფორმაცია და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიები. COBIT არ გვთავაზობს რისკების შეფასების მეთოდოლოგიას, მაგრამ ქმნის ინფორმაციული ტექნოლოგიების ორგანიზაციის საფუძველს. COBIT მოიცავს ინფორმაციული ტექნოლოგიების რისკების შემცირების კონტროლის მექანიზმებს.

გარდა ამისა, COBIT 5 რისკისთვის ხაზს უსვამს ძირითად დამხმარე პროცესებს. მიიჩნევა, რომ ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა რისკის მართვის

სტრატეგია, რისკის მართვის საკომუნიკაციო გეგმა და ფინანსური და საბიუჯეტო მოთხოვნები რისკის რეაგირებისა და შემცირების მიზნით.

დოკუმენტების შექმნისთვის საჭირო პროცედურები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- ✓ უზრუნველყოს მმართველობის ჩარჩოს დანერგვა და შენარჩუნება
- ✓ უპირატესობების მიწოდების უზრუნველყოფა
- ✓ სტრატეგიის მართვა
- ✓ ბიუჯეტისა და ხარჯების მართვა
- ✓ კომუნიკაციის მართვა
- ✓ მონიტორინგი, შეფასება და შესრულება, შესაბამისობა
- ✓ მონიტორინგი, შეფასება და მესამე მხარის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება

ISACA წარმოადგენს ოფიციალურ რჩევებს მოცემული რისკის მართვის მეთოდოლოგიის დანერგვისთვის:

- ✓ უმაღლესი რგოლის მენეჯმენტის წახალისება, გამოავლინოს მხარდაჭერა რისკის მართვის პროგრამის მიმართ;
- ✓ ძირითადი ორგანიზაციული სტრუქტურები/როლების განსაზღვრა, რომლებიც საჭიროა ორგანიზაციაში რისკების ეფექტიანი და ეფექტური მართვისა და შესანარჩუნებლად;
- ✓ თითოეული როლისა და სტრუქტურის კონკრეტული აღწერის განსაზღვრა;
- ✓ რისკის მენეჯმენტი უნდა იყოს ჩართული ბიზნეს-პროცესში და იყოს ყოველდღიური მართვის ნაწილი;
- ✓ რისკის გაცნობიერების კულტურის ჩამოყალიბება ყველა თანამშრომელს შორის, ყველა დონეზე;
- ✓ მუდმივი კომუნიკაცია თანამშრომლებთან;
- ✓ რისკისა და რისკების მართვაში ადამიანური რესურსის როლის შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ✓ ძირითადი რისკის ინდიკატორების (KRI) შემუშავება, რათა სწორად იდენტიფიცირდეს და იმართოს ინფორმაციული უსაფრთხოების რისკები.

NIST RMF: NIST საერთაშორისო სტანდარტის რისკების მართვის ჩარჩო (RMF) არის სტრუქტირებული პროცესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციული უსაფრთხოებისა და რისკების მართვის

პროცედურებს. კერძოდ, რისკების მართვა ხორციელდება შემდეგი ეტაპებით (NIST, 2018) (ნახ.19):

- ✓ მომზადება - პირველ ეტაპზე ხდება იმგვარი პროცედურების განხორციელება ორგანიზაციაში, რითაც ის მოემზადება საკუთარი უსაფრთხოების რისკების მართვისთვის RMF ჩარჩოს გამოყენებით. ეს, მაგალითისთვის, მოიცავს როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრას;
- ✓ კატეგორიზება - ხდება მოვლენების შეფასება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, მთლიანობასა და კონფიდენციალურობასთან მიმართებაში, საფრთხეების კლასიფიცირება და შესაბამისი პირების ინფორმირება;
- ✓ შერჩევა/აღმოჩენა - ორგანიზაცია აღრიცხავს მოვლენებს, რომლებიც უქმნის საფრთხეს ინფორმაციის უსაფრთხოებას;
- ✓ დანერგვა - ამ ეტაპზე ინერგება კონტროლის მექანიზმები შესაბამისი რისკების საპასუხოდ;
წვდომის შეზღუდვის მიზანია ჩაშალოს ავტორიზებული მომხმარებლების წვდომა ქსელთან (გახსოვდეთ უსაფრთხოების სამი ძირითადი პრინციპი: კონფიდენციალობა, მთლიანობა და ხელმისაწვდომობა).

განაწილებული DoS თავდასხმა (DDoS) მსგავსია DoS თავდასხმისა, მაგრამ იგი წარმოიშობა მრავალი, კოორდინირებული წყაროებიდან. მაგალითად, DDoS თავდასხმა შეიძლება განხორციელდეს შემდეგნაირად:

თავდამსხმელი ქმნის ინფიცირებულ კვანძთა ქსელს, რომელსაც ეწოდება ბოტნეტი და რომელიც შედგება ზომბი (zombie) ჰოსტებისაგან. ზომბები წარმოადგენენ ინფიცირებულ ჰოსტებს. თავდამსხმელი იყენებს სპეციფიურ დამმუშავებელ სისტემებს, რომლებიც აკონტროლებენ ზომბ ჰოსტებს. ზომბი კომპიუტერები ახდენენ ჰოსტების სკანირებასა და ინფიცირებას, ქმნიან რა ამ ქმედებებით მეტ ზომბებს. მზადყოფნის მიღწევისას, ჰაკერი ავალებს დამმუშავებელ სისტემას, რომ ზომბმა ბოტნეტმა განახორციელოს DDoS თავდასხმა.

სნიფინგი (Sniffing) - მსგავსია ვინმეს მიყურადების პროცესისა. ეს ხდება მაშინ, როდესაც თავდამსხმელები შეისწავლიან იმ ქსელების ტრაფიკს, რომლებიც გადიან მათი ქსელის ადაპტერის გავლით, მიუხედავად იმისა, ეკუთვნით მათ ეს მონაცემები თუ არა. დამნაშავეები განახორციელებენ ქსელის sniffing-ს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის, აპარატურის ან ორივეს კომბინაციით. sniffing-ით შესაძლებელია ყველა ქსელის ტრაფიკის ან პროტოკოლის, სერვისის ან თუნდაც ისეთი სტრიქონების გამორჩევა, როგორიცაა მომხმარებლის სახელები და პაროლები. ზოგიერთი ქსელის sniffers-ს შეუძლია გამოარჩიოს ყველა ქსელის ტრაფიკი და შეცვალოს მათი ტრაფიკი სურვილისამებრ.

Sniffing-ს ასევე გააჩნია თავისი სარგებელი. ქსელის ადმინისტრატორებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ სნიფერები ქსელური ტრაფიკის გასაანალიზებლად, გამტარუნარიანობის საკითხების იდენტიფიცირებისა და სხვა ქსელური საკითხების მოგვარების მიზნით.

ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია შიდა ქსელში sniffer-ის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად.

სპუფინგი (Spoofing) - არის თავდასხმის სახეობა, რომელიც იყენებს სანდო ურთიერთობას ორ სისტემას შორის. თუ ორი სისტემა შეათანხმებს ერთმანეთის მიმართ განხორციელებულ ავთენტიფიკაციას, ერთ სისტემაზე შესულმა ინდივიდმა შესაძლოა, სხვა სისტემასთან წვდომისთვის კვლავ ვერ გაიაროს ავტორიზაციის პროცესი. თავდამსხმელს შეუძლია ისარგებლოს ამ შეთანხმებით და გაგზავნოს პაკეტი ერთი სისტემიდან, რომელიც, ერთი შეხედვით, სანდო სისტემაა. სანდო ურთიერთობის დამყარების შემდეგ მიზანში ამოღებულმა სისტემამ შეიძლება დაამუშაოს მიღებული მოთხოვნები შემდგომი ავთენტიფიკაციის გარეშე.

არსებობს მრავალი სახის spoofing თავდასხმა.

- MAC მისამართის spoofing ხდება მაშინ, როდესაც ერთი კომპიუტერი იღებს მონაცემთა პაკეტებს სხვა კომპიუტერის MAC მისამართის საფუძველზე;
- IP spoofing აგზავნის IP პაკეტებს უკვე დაზიანებული წყაროდან მისამართის შენიღბვის მიზნით;

- მისამართის რეზოლუციის პროტოკოლი (ARP) წარმოადგენს პროტოკოლს, რომელიც გარდაქმნის IP მისამართებს MAC მისამართებში მონაცემთა გადაცემისთვის. ARP spoofing აგზავნის დაზიანებულ ARP შეტყობინებებს მთელი ქსელის მასშტაბით, რათა დაუკავშიროს ყალბი MAC მისამართი ქსელის ლეგალური წევრის IP მისამართს;
- დომენური სახელის სისტემა (DNS) გარდაქმნის დომენურ სახელებს IP მისამართებში. DNS სერვერის spoofing აიძულებს DNS სერვერს კონკრეტული დომენის სახელის გარდაქმნას ყალბ IP მისამართში, რომელსაც მართავს ბოროტგანმზრახველი.

შუამავლის თღლითობა (Man-in-the-middle) - ბოროტგანმზრახველი ახორციელებს შუამავლის (MitM) შეტევას, ერევა რა ორ კომპიუტერს შორის გადაცემის პროცესში და იპარავს ინფორმაციას, რომელიც გადაიცემა ქსელში. ბოროტგანმზრახველს ასევე შეუძლია მოახდინოს მანიპულაცია გზავნილებზე და გადასცეს ყალბი ინფორმაცია კვანძებს შორის, სანამ გაირკვევა ამ მონაცემთა სიყალბე. MitM საშუალებას აძლევს კრიმინალს აკონტროლოს მოწყობილობა ისე, რომ მომხმარებელმა ამის შესახებ არაფერი იცოდეს.

MitMo აკონტროლებს მობილურ მოწყობილობებს. ინფიცირებული მობილური მოწყობილობა თავდამსხმელებს უგზავნის მომხმარებლის სენსიტიურ ინფორმაციას. ZeUs წარმოადგენს MitMo-ს შესაძლებლობების გამოყენების მაგალითს, რომელიც საშუალებას აძლევს შემტევს, მიიღოს მომხმარებლის მიერ გაგზავნილი SMS გზავნილის 2-ეტაპიანი ავტორიზაციის ინფორმაცია. მაგალითად, როდესაც მომხმარებელი ქმნის Apple ID-ის, მან უნდა მიიღოს დროებითი დამოწმების კოდი ტექსტური შეტყობინების მეშვეობით მომხმარებლის ვინაობის დასამტკიცებლად. Malware ჯაშუშები "იჭერენ" ამ ტიპის კომუნიკაციას და გადასცემენ ინფორმაციას დამნაშავეებს.

Replay თავდასხმა ხდება მაშინ, როდესაც თავდამსხმელი იღებს კომუნიკაციის ნაწილს ორ მხარეს შორის და ახდენს "დაჭერილი" გზავნილის გადაგზავნას მოგვიანებით. Replay თავდასხმები ხორციელდება ავტორიზაციის მექანიზმების გვერდის ავლით.

Zero-Day შეტევები - Zero-Day შეტევა, ზოგჯერ მოხსენიებული როგორც ნულოვანი-დღის საფრთხე, არის კომპიუტერული შეტევა, რომელიც ცდილობს პროგრამული უზრუნველყოფის იმ დაუცველი ადგილების გამოყენებას, რომლებიც არ არის ცნობილი ან გასაიდუმლოებულია პროგრამის მწარმოებლის მიერ. ტერმინი ნულოვანი-დღის საათი აღწერს მომენტს, როდესაც ვინმე აღმოაჩენს ქმედებას. იმ დროის განმავლობაში, რაც აუცილებელია მწარმოებლის პროგრამული უზრუნველყოფის განახლების შემუშავებასა და გამოშვებისთვის, ქსელი დაუცველია ასეთი ექსპლოიტებისაგან. ასეთი სწრაფად მოძრავი შეტევებისგან დაცვა მოითხოვს ქსელის უსაფრთხოების პროფესიონალებისაგან, გამოიყენონ უფრო რთული ტიპის არქიტექტურა. უკვე აღარაა შესაძლებელი რამდენიმე შემოჭრის არსებობა ქსელში.

კლავიატურის მიყურადება - კლავიატურის მიყურადება (Keylogging) წარმოადგენს პროგრამული პროდუქტს, რომელიც ახდენს ჟურნალირებას ან ჩაიწერს სისტემის მომხმარებლის კლავიშების გამოყენების თანმიმდევრობას. კრიმინალებს შეუძლიათ განახორციელონ კლავიატურის ჟურნალირება სპეციალური პროგრამით ან მსხვერპლის კომპიუტერთან ფიზიკურად მიერთებული სპეციფიური აპარატურის მეშვეობით. კრიმინალი აკონფიგურირებს კლავიატურის ჟურნალირების პროგრამულ უზრუნველყოფას ისე, რომ ლოგფაილი გაიგზავნება ელ.ფოსტაზე. შედეგად "დაჭერილი" ლოგფაილი შესაძლოა შეიცავდეს მსხვერპლის სახელებს, პაროლებს, ვებსაიტებს, რომლებზეც განხორციელდა ვიზიტი და სხვა სენსიტიურ ინფორმაციას.

კლავიატურის ჟურნალირების პროგრამა შეიძლება წარმოადგენდეს ლეგიტიმურ, კომერციულ პროგრამულ უზრუნველყოფას. მშობლები ხშირად ყიდულობენ ამ პროგრამულ უზრუნველყოფას, რათა თვალყური ადევნონ ბავშვების მიერ ინტერნეტში განხორციელებულ ვიზიტებს სხვადასხვა საიტებზე. ბევრ ანტივირუსულ პროგრამას შეუძლია აღმოაჩინოს და წაშალოს არაავტორიზებული ჟურნალირების პროგრამა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ keylogging პროგრამული უზრუნველყოფა კანონიერია, დამნაშავეები მას ხშირად იყენებენ უკანონო მიზნებისათვის.

თავდასხმებისგან დაცვა

ორგანიზაციას შეუძლია გადადგას მთელი რიგი ნაბიჯები სხვადასხვა თავდასხმისგან თავის დასაცავად. მაგ.:ქსელური დაცვის ეკრანის გამართვა ისე, რომ მან უკუაგდოს ის პაკეტები ქსელის გარედან, რომელთა მისამართები აჩვენებენ, რომ მათი გენერირება მოხდა ქსელს შიგნით. ეს სიტუაცია ჩვეულებრივ არ ხდება და ეს მიუთითებს იმაზე, რომ ხდება კიბერკრიმინალური მცდელობა, კერძოდ spoofing თავდასხმა.

DoS და DDoS თავდასხმების თავიდან აცილების მიზნით, დარწმუნდით, რომ განახლებები არის განხორციელებული და მოახდინეთ ICMP პაკეტთა ბლოკირება ქსელის საზღვარზე. ქსელური მოწყობილობები იყენებენ ICMP პაკეტებს ყალბი შეტყობინებების გასაგზავნად. მაგალითად, ping ბრძანება იყენებს ICMP პაკეტებს, რათა გადამოწმდეს, ხორციელდება თუ არა წარმატებული კავშირი ორ ჰოსტს შორის.

Replay შეტევების თავიდან ასაცილებლად კომპანიებს შეუძლიათ დაშიფრონ ტრაფიკი, უზრუნველყონ კრიპტოგრაფიული ავტორიზაცია და დროის მონიშვნა (time stamp) გზავნილთა ყოველ პორციას შორის.

სმარტფონების პოპულარობის ზრდასთან ერთად, Grayware გადაიქცა საკმაოდ სერიოზულ პრობლემად. Grayware მოიცავს პროგრამებს, რომლებიც მოქმედებენ საფრთხის შემცველი ან არასასურველი გზით. Grayware შეიძლება არ იყოს ხილული ცნობად malware კოდის დაფარული ფარგლებში, მაგრამ შეიძლება მაინც საფრთხეს უქმნიდეს მომხმარებელს. მაგალითად, Graywar-ს შეუძლია აკონტროლოს მომხმარებლის ადგილმდებარეობა. Grayware-ის შემქმნელები ცდილობენ წარმოაჩინონ მათ მიერ წარმოდგენილი პროდუქტი, როგორც ავთენტური, შეაქვთ რა ის აპლიკაციის შესაძლებლობათა სალიცენზიო შეთანხმებაში. მომხმარებელი ბევრ მობილურ აპლიკაციას აინსტალირებს მათი შესაძლებლობების განხილვის გარეშე.

Smishing წარმოადგენს SMS ფიშინგის მოკლე ვარიანტს. იგი იყენებს მოკლე შეტყობინების სერვისს (SMS) ყალბი ტექსტური შეტყობინებების გასაგზავნად. დამნაშავეები სთავაზობენ მომხმარებელს ვებსაიტის მონახულებას ან მითითებულ ტელეფონის

ნომერზე დარეკვას. მსვერპლმა, რომელიც არაფერს არ ეჭვობს, შესაძლოა გასცეს ისეთი სენსიტიური ინფორმაცია, როგორიცაა საკრედიტო ბარათის მონაცემები. ვებსაიტის მონახულებამ შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებლის მიერ მავნე კოდის შემცველი კონტენტის ჩამოტვირთვა, რომელიც დააინფიცირებს მოწყობილობას.

Rogue წვდომის წერტილი არის უსადენო წვდომის წერტილი, კონფიგურირებული უსაფრთხო ქსელში აშკარა ავტორიზაციის გარეშე. Rogue წვდომის წერტილი შეიძლება შეიქმნას ორი გზით. პირველ შემთხვევაში კარგი განზრახვის მქონე თანამშრომელი ცდილობს სასარგებლო ქმედება ჩაიდინოს მობილური მოწყობილობების სათანადოდ დასაკავშირებლად. მეორე შემთხვევაში ბოროტგანმზრახველი თაღლითურად ფიზიკურად აღწევს ორგანიზაციაში და თვითონ ახდენს უსადენო წვდომის წერტილის კონფიგურირებას. გამომდინარე იქედან, რომ ორივე ქმედება არასანქცირებულია, ისინი საფრთხეს უქმნიან ორგანიზაციას.

Rogue წვდომის წერტილი ასევე ეხება კრიმინალის წვდომის წერტილს. ამ შემთხვევაში, კრიმინალი ქმნის წვდომის წერტილს, როგორც MitM მოწყობილობას, რათა მიიღოს მომხმარებლის სახელი და პაროლი.

Evil Twin შეტევა იყენებს ბოროტგანმზრახველის წვდომის წერტილის უფრო მძლავრ ანტენასა და სიმძლავრეებს, რათა მომხმარებელს თაღლითური მიზნით შეთავაზოს შედარებით უკეთესი დაკავშირების პირობები. მას შემდეგ, რაც კლიენტები უერთდებიან ბოროტგანმზრახველის წდომის წერტილს, მას საშუალება ეძლევა გამოიკვლიოს ტრაფიკი და განახორციელოს MitM შეტევა.

უსადენო ქსელის სიგნალები მგრძნობიარეა ელექტრომაგნიტური ინტერფერენციის (EMI), რადიოსიხშირული ჩარევის (RFI) მიმართ და ასევე შეიძლება იყოს მგრძნობიარე ელვის ან ფლუორესცენტური განათების მიმართაც. უსადენო სიგნალები ასევე მგრძნობიარეა წინასწარგანზრახული ჯემირების მიმართაც. რადიოსიხშირული (RF) ჯემირება აზიანებს რადიო ან სატელიტური სადგურის გადაცემას ისე, რომ სიგნალი ვერ აღწევს მიმღებ სადგურამდე.

RF ჯემერის სიხშირე, მოდულაცია და ძალა უნდა იყოს ერთნაირი იმ მოწყობილობებზე, რომელთა წვდომაც სურს კრიმინალს უსადენო სიგნალის წარმატებული ჯემირების მიზნით.

Bluetooth არის მოკლე სპექტრის, დაბალი სიმძლავრის პროტოკოლი. Bluetooth აგზავნის მონაცემებს პერსონალურ ქსელში ან PAN-ში, და შეიძლება მოიცავდეს მოწყობილობებს, როგორიცაა მობილური ტელეფონები, ლეპტოპები და პრინტერები. Bluetooth-მა გაიარა რელიზების რამდენიმე ვერსია. Bluetooth- ის ერთ-ერთი დამახასიათებელი მისი მარტივი კონფიგურირებაა, ამიტომ არაა საჭიროება ქსელის დამისამართებისა. Bluetooth იყენებს დაწყვილების პრინციპს, რათა დაამყაროს ურთიერთობა მოწყობილობებს შორის. დაწყვილების დამყარებისას ორივე მოწყობილობა იყენებს იგივე საპაროლე სიტყვას (passkey).

Bluetooth-ის მოწყვლადობა თვალნათელია, მაგრამ რადგანაც Bluetooth-ს გააჩნია მოქმედების შეზღუდული არეალი, მსხვერპლიც და თავდამსხმელიც საერთო გაზიარების ფარგლებში უნდა იყვნენ.

- Bluejacking არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება სხვა Bluetooth მოწყობილობისთვის არაავტორიზებული შეტყობინებების გაგზავნისთვის. ამის ვარიაციაა სხვა მოწყობილობისთვის შოკისმომგვრელი გამოსახულების გაგზავნა.
- Bluesnarfing ხდება მაშინ, როდესაც თავდამსხმელი ასრულებს დაზარალებულის ინფორმაციის კოპირებას მისი მოწყობილობიდან. ეს ინფორმაცია შეიძლება შეიცავდეს წერილებს და საკონტაქტო სიებს.

WEP და WPA თავდასხმები

სადენიანი ექვივალენტური კონფიდენციალურობა (WEP) არის უსაფრთხოების პროტოკოლი, რომელიც ცდილობს უსადენო ლოკალური ქსელის (WLAN) უზრუნველყოფას იმავე დონის უსაფრთხოებით, როგორც სადენიანი LAN-ისა. მაშინ, როდესაც ფიზიკური უსაფრთხოების ზომები უზრუნველყოფს სადენიანი LAN-ის დაცვას, WEP ცდილობს უზრუნველყოს WLAN- ზე გადაცემული მონაცემების მსგავსი დაცვა დაშიფვრის საშუალებით.

WEP იყენებს დაშიფვრის გასაღებს. WEP-თან საკვანძო მენეჯმენტის უზრუნველყოფა არ არსებობს, ამიტომ გასაღების გამზიარების ადამიანების რიცხვი მუდმივად იზრდება. მას შემდეგ, რაც ყველა იყენებს ერთსა და იმავე გასაღებს, კრიმინალს უჩნდება წვდომის

შესაძლებლობა დიდი მოცულობის ტრაფიკზე ანალიტიკური თავდასხმებისთვის.

WEP-ს ასევე აქვს რამდენიმე პრობლემა მისი ინიციალიზაციის ვექტორთან (IV), რომელიც კრიპტოგრაფიული სისტემის ერთ-ერთი კომპონენტია:

- ეს არის 24 ბიტიანი ველი, რაც ძალიან მცირეა;
- ის გადაიცემა ღია ტექსტით, რაც იმას ნიშნავს, რომ არის ადვილად წაკითხვადი;
- ის არის სტატიკური, შესაბამისად იდენტური გასაღების ნაკადები მეორდება ქსელში.

Wi-Fi დაცული წვდომა (WPA) და შემდეგ WPA2 შემუშავდა, როგორც გაუმჯობესებული ვერსიები, რომელთაც შეცვალეს WEP. WPA2- ს არ გააჩნია დაშიფვრის იგივე პრობლემები, რადგან თავდამსხმელს არ შეუძლია გასაღების აღდგენა ტრაფიკის გამოკვლევით. WPA2 სენსიტიურია თავდასხმთა მიმართ, რადგან კიბერდამნაშავეებს შეუძლიათ გაანალიზონ პაკეტები წვდომის წერტილსა და ლეგიტიმურ მომხმარებელს შორის. კიბერდამნაშავეები იყენებენ პაკეტების სნიფერს (sniffer) და შემდეგ ახორციელებენ offline თავდასხმებს ოფლაინ პაროლის გასაღებით.

უსადენო და მობილური მოწყობილობის თავდასხმებისგან დაცვა

არსებობს რამდენიმე ნაბიჯი იმისათვის, რომ დავიცვათ უსადენო და მობილური მოწყობილობები თავდასხმებისაგან. უმრავლესი WLAN პროდუქტები იყენებენ სტანდარტულ პარამეტრებს. ისარგებლეთ ძირითადი უსადენო უსაფრთხოების მახასიათებლებით, როგორიცაა ავტორიზაციის და დაშიფვრის ნაგულისხმევი კონფიგურაციის პარამეტრების შეცვლა.

შეზღუდეთ წვდომის წერტილის განთავსება ქსელური დაცვის ეკრანის ფარგლებს მიღმა ან დემილიტარიზებულ ზონაში (DMZ), რომელიც შეიცავს სხვა არასანდო მოწყობილობებს, როგორიცაა ელ-ფოსტისა და ვებსერვერები.

WLAN ინსტრუმენტებს, როგორიცაა NetStumbler, შეუძლიათ აღმოაჩინოთ rogue წვდომის წერტილები ან არაავტორიზებული სამუშაო სადგურები. შეიმუშავეთ სტუმრის პოლიტიკა იმ შემთხვევაში, როდესაც სტუმრები საჭიროებენ ინტერნეტთან

დაკავშირებას. ავტორიზებული თანამშრომლებისთვის WLAN-ის წვდომისთვის გამართეთ დისტანციური წვდომის ვირტუალური კერძო ქსელი (VPN).

Cross-site სკრიპტინგი

Cross-site Scripting (XSS) წარმოადგენს დაუცველობებს, ნაპოვნს ვებაპლიკაციებში. XSS საშუალებას აძლევს დამნაშავეებს, მოახდინონ სკრიპტების ინექცია მომხმარებლების მიერ ნანახ ვებ-გვერდებზე. ეს სკრიპტი შეიძლება შეიცავდეს ზიანის მომტან კოდს.

არსებობს Cross-site სკრიპტინგის სამი მონაწილე: კრიმინალი, მსხვერპლი და ვებსაიტი. კიბერკრიმინალი მსხვერპლს არ იღებს მიზანში უშუალოდ. ბოროტგანმზრახველი იყენებს მოწყვლადობას ვებსაიტზე ან ვებაპლიკაციაში. კიბერკრიმინალები ახდენენ კლიენტის-მხრის სკრიპტის ინექციას ვებსაიტზე, რომელსაც ეწვია კლიენტი. ზიანის შემცველი სკრიპტი მომხმარებლისაგან დამოუკიდებლად ებმება მის ბრაუზერს. ამ ტიპის მავნე სკრიპტს შეუძლია წვდომა ნებისმიერი cookie-ფაილებზე, სესიის სიმბოლოებზე ან სხვა სენსიტიურ ინფორმაციზე. თუ დამნაშავეები დაზარალებულის სესიის cookie-ფაილს მიიღებენ, მათ შეუძლიათ ამ მომხმარებლის სახელით მოქმედება.

ვებ-გვერდის მონაცემების შენახვის ერთ-ერთი გზაა მონაცემთა ბაზის გამოყენება. არსებობს რამდენიმე სხვადასხვა ტიპის მონაცემთა ბაზა, როგორიცაა სტრუქტურირებული მოთხოვნის ენა (SQL) მონაცემთა ბაზა ან გაფართოებული მარკირების ენის (XML) მონაცემთა ბაზა. როგორც XML, ასევე SQL საინექციო შეტევები იყენებენ სისუსტეებს პროგრამაში, როგორიცაა მონაცემთა ბაზის მოთხოვნათა არასწორი ვალიდაცია.

XML ინექცია - XML მონაცემთა ბაზის გამოყენებისას XML ინექცია წარმოადგენს თავდასხმას, რომელსაც შეუძლია მონაცემების დაზიანება. მას შემდეგ, რაც მომხმარებელი უზრუნველყოფს მონაცემთა შეტანას, სისტემა ახდენს წვდომას ბაზასთან შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე. პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც სისტემა ვერ ახერხებს სათანადოდ დაამუშაოს მომხმარებლის მიერ მოწოდებული მოთხოვნა. კრიმინალებს შეუძლიათ მოთხოვნის მანიპულირება პროგრამირების გზით ისე, რომ მოარგონ ის თავის საჭიროებას და მოიპოვონ ინფორმაცია მონაცემთა ბაზიდან.

მონაცემთა ბაზაში შენახული მგრძნობიარე მონაცემები ხელმისაწვდომი ხდება დამნაშავეებისთვის და მათ შეუძლიათ ნებისმიერი რაოდენობის ცვლილებების შეტანა ვებგვერდზე. XML საინექციო თავდასხმა საფრთხეს უქმნის ვებ-გვერდის უსაფრთხოებას.

SQL ინექცია - კიბერკრიმინალი იყენებს მოწყვლადობას ზიანის მომტანი SQL განცხადის შეტანით ბაზის ველში. კიდევ ერთხელ, სისტემა არ ახდენს მომხმარებლის მიერ შეტანილი სიმბოლოების ფილტრაციას SQL განაცხადში. კიბერკრიმინალები იყენებენ SQL ინექციას ვებსაიტებზე ან SQL მონაცემთა ბაზაში.

დამნაშავეებმა შეიძლება მოახდინონ იდენტობის სპუფინგი (spoof), შეცვალონ ან გაანადგურონ არსებული მონაცემები, ან მოიპოვონ ადმინისტრატორის უფლებები მონაცემთა ბაზის სერვერზე.

ბუფერის გადავსება (Buffer Overflow) - ხდება, როდესაც მონაცემები სცილდება ბუფერის საზღვრებს..ბუფერები არიან მეხსიერების საზღვრები რომლებიც გამოყოფილია აპლიკაციებისათვის. ბუფერის საზღვრების მიღმა მონაცემების შეცვლით, აპლიკაცია მოითხოვს წვდომას სხვა პროცესებისთვის გამოყოფილ მეხსიერებაზე. ამ პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს სისტემის შეფერხება, მონაცემთა კომპრომიტირება, ან პრივილეგიების ესკალაცია.

კარნეგი მელონის უნივერსიტეტის CERT/CC აფასებს, რომ კომპიუტერული პროგრამების მოწყვლადობათა თითქმის ნახევარი ისტორიულად ბუფერული გადავსების ზოგიერთი ფორმითაა გამოწვეული. ზოგადი კლასიფიკაცია ბუფერული გადავსებისა მოიცავს მრავალ ვარიანტს, როგორიცაა სტატიკური ბუფერული გადავსება, ინდექსირების შეცდომები, ფორმატის სტრიქონთა შეცდომები, უნიკოდი და ANSI ბუფერული ზომის შეუსაბამობა, და სხვა მრავალი.

მოწყვლადობა საშუალებას აძლევს კიბერკრიმინალს შეასრულოს ზიანის მომტანი კოდი და გააკონტროლოს სისტემა მომხმარებლის პრივილეგიებით, რომლითაც ის უშვებს აპლიკაციას. დისტანციური კოდის აღსრულება საშუალებას აძლევს კრიმინალს შეასრულოს ნებისმიერი ბრძანება სამიზნე მანქანაზე.

მიიღეთ, მაგალითად, მეტასპლოიტი (Metasploit). Metasploit არის ინსტრუმენტი, რომელიც აღასრულებს კოდს დისტანციურ სამიზნეზე.

Meterpreter არის ექსპლოიტის მოდული Metasploit-ის ფარგლებში, რომელსაც გააჩნია გაფართოებული მახასიათებლები. კიბერკრიმინალები ატვირთავენ და ახდენენ ფაილის ინექციას გაშვებულ პროცესში სამიზნე ობიექტზე. Meterpreter იტვირთება და ახორციელებს თავის ქმედებებს ოპერატიულ მეხსიერებაში, ამიტომ ისინი არ მოითხოვენ კონტაქტს მყარ დისკზე. ეს ასევე ნიშნავს, რომ ეს ფაილები შეუმჩნეველი რჩება ანტივირუსული პროგრამებისათვის. Meterpreter-ს აქვს მოდული, რომელსაც შეუძლია დისტანციურად განახორციელოს ვებკამერის მართვა. მას შემდეგ, რაც კრიმინალი აყენებს მეტერპრეტერს პოტენციური მსხვერპლის სისტემაზე , მას შეუძლია ნახოს და გადაიღოს სურათები მისი ვებკამერიდან.

ზოგიერთი ვებსაიტი არ მუშაობს სათანადოდ, თუ სისტემაში არ არის ინსტალირებული ActiveX მართვა. ActiveX მართვა უზრუნველყოფს ინტერნეტ ექსპლორერის პლაგინების (plugin) შესაძლებლობებს. ActiveX მართვა წარმოადგენს მომხმარებლების მიერ რეალიზებული პროგრამული უზრუნველყოფას, რომელიც უზრუნველყოფს გაფართოებულ შესაძლებლობებს. ActiveX მართვა შესაძლოა დაწერილი იყოს მესამე მხრის მიერ და ის შესაძლოა შეიცავდეს ზიანის მომტან კოდს. მათ შეუძლიათ მოახდინონ ვებ საიტთა მონიტორინგი, დააინსტალირონ malware, ან შექმნან keystrokes ლოგები. ActiveX მართვა ასევე მუშაობს Microsoft-ის სხვა პროგრამებშიც.

Java ოპერირებს ინტერპრეტატორის მეშვეობით - Java-ს ვირტუალური მანქანა (JVM). JVM საშუალებას იძლევა Java პროგრამის ფუნქციონირებისა. JVM განთავსებულია სენდბოქსში ან ახდენს არასანდო კოდის იზოლაციას დანარჩენი ოპერაციული სისტემისგან. არსებობს მოწყვლადობა, რომელიც საშუალებას აძლევს არასანდო კოდს, შეაღწიოს სენდბოქსის მიერ დაწესებულ შეზღუდვებში. ასევე არსებობს ხარვეზები ჯავას კლასის ბიბლიოთეკაში, რომლის აპლიკაციაც გამოიყენება უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. Java წარმოადგენს მეორე ყველაზე დიდ მოწყვლადობას Adobe Flash მოდულის შემდეგ.

აპლიკაციის თავდასხმებისგან დაცვა

აპლიკაციის თავდასხმებისგან დაცვის პირველი ნაბიჯია ძლიერი კოდის დაწერა. მიუხედავად გამოყენებული ენისა, ან გარე შეტანის წყაროსა, გონივრული პროგრამირების პრაქტიკაა ყოველი გარედან

შეტანილი მონაცემი განხილულ იქნას, როგორც მავნე. უნდა მოხდეს ყოველი შეტანილი მონაცემის ვალიდაცია, თითქოს ის იყოს მავნე.

განაახლეთ პროგრამული უზრუნველყოფა, მათ შორის ოპერაციული სისტემები და პროგრამები და არასდროს დააიგნოროთ განახლების მოთხოვნა. ყველა პროგრამა ავტომატურად არ განახლდება. სულ მცირე, აირჩიეთ გეგმური განახლების ვარიანტი. გეგმური განახლებები საშუალებას აძლევს მომხმარებლებს თვალი ადევნონ, ზუსტად რა განახლებები ხდება სისტემაში.

თავი 4. საიდუმლოების დაცვის ხელოვნება. ტექნოლოგიები, პროდუქტები და პროცედურები კონფიდენციალობის დასაცავად

4.1 კრიპტოგრაფია. კონფიდენციალურობის დაცვა შიფრაციის ტექნიკის გამოყენებით

კრიპტოლოგია არის მეცნიერება საიდუმლო კოდების შექმნისა და გატეხვის შესახებ, რომელიც გამოიყენება მონაცემების დასაცავად. კრიპტოგრაფიის მიზანია მონაცემთა კონფიდენციალურობის, მთლიანობისა და ავთენტურობის უზრუნველყოფა.

კრიპტოგრაფია მოიცავს სხვადასხვა ტექნიკას, მათ შორის დაშიფვრას, რომელიც გარდაქმნის უბრალო ტექსტს დაშიფრულ ტექსტად, რათა ის წაუკითხავი გახდეს შესაბამისი გაშიფვრის გასაღების გარეშე. ის ასევე მოიცავს ისეთ ტექნიკას, როგორიცაა ციფრული ხელმოწერა, ჰეშირება და ავთენტიფიკაციის პროტოკოლები, რათა უზრუნველყოს მონაცემთა მთლიანობა და გადაამოწმოს კომუნიკაციის მხარეთა ვინაობა.

კრიპტოგრაფია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მგრძნობიარე ინფორმაციის დაცვაში სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა საკომუნიკაციო სისტემები, ელექტრონული კომერცია, საბანკო და ციფრული კონფიდენციალურობა. ის ქმნის კიბერუსაფრთხოების საფუძველს და აუცილებელია ციფრული ურთიერთქმედების ნდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად.

ისტორიულად, მხარეები იყენებდნენ დაშიფვრის სხვადასხვა ალგორითმებს და მეთოდებს. ამბობენ, რომ იულიუს კეისარი იცავდა შეტყობინებებს ანბანის ორი ნაკრების გვერდიგვერდ დაყენებით და შემდეგ ერთი მათგანის გარკვეული რაოდენობის ადგილით გადაადგილებით. ანბანში გადანაცვლებული ადგილების რაოდენობა წარმოადგენს მთავარ ფაქტორს (ამ შემთხვევაში შიფრაციის/დეშიფრაციის გასაღებს). ამ გასაღებით იულიუს კეისარს ჩვეულებრივი ტექსტი გადაჰყავდა დაშიფრულ ტექსტად და მხოლოდ მისმა გენერლებმა, რომლებსაც ჰქონდათ გასაღები, იცოდნენ როგორ გაეშიფრათ შეტყობინებები. ამ მეთოდი ცნობილია როგორც "კეისრის შიფრი".

საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა სხვადასხვა დაშიფვრის მეთოდების და ფიზიკური მოწყობილობების გამოყენება ინფორმაციის დასაშიფრად (მაგ. ვიჯინერის ცხრილი, ენიგმა მანქანა და სხვა).

დაშიფვრის თითოეული მეთოდი იყენებს სპეციფიკურ ალგორითმს, რომელსაც ეწოდება შიფრი, შეტყობინებების დაშიფვრისა და გაშიფვრის. შიფრი არის კარგად განსაზღვრული ნაბიჯების თანმიმდევრობა, რომელიც გამოიყენება შეტყობინებების დაშიფვრისა და დეშიფრაციისთვის.

დაშიფვრის ძველი ალგორითმები, როგორიცაა კეისრის შიფრი ან ენიგმა მანქანა, კონფიდენციალურობის მისაღწევად დამოკიდებული იყო ალგორითმის საიდუმლოებაზე. თანამედროვე ტექნოლოგიებში, მხარეები იყენებენ საჯარო დომენის ალგორითმებს. თანამედროვე ალგორითმებით, წარმატებული გაშიფვრა მოითხოვს შესაბამისი კრიპტოგრაფიული გასაღებების ცოდნას. ეს ნიშნავს, რომ დაშიფვრის უსაფრთხოება მდგომარეობს გასაღებების საიდუმლოებაში და არა ალგორითმში.

გასაღების მართვა კრიპტოსისტემის ყველაზე რთული ნაწილია. ყველა თანამედროვე კრიპტოგრაფიული ალგორითმი მოითხოვს გასაღების მართვის პროცედურებს. პრაქტიკაში, კრიპტოგრაფიულ სისტემებზე თავდასხმების უმეტესობა მოიცავს თავდასხმას გასაღების მართვის სისტემაზე და არა თავად კრიპტოგრაფიულ ალგორითმზე.

ინფორმაციის კრიპტოგრაფიული დაცვის მეთოდები საინფორმაციო უსაფრთხოების საფუძველს წარმოადგენს. კრიპტოგრაფიული მეთოდები დაფუძნებულია ინფორმაციის კრიპტოგრაფიულ გარდაქმნებზე, რომლებიც ცვლიან საწყის ინფორმაციას ისე, რომ გამორიცხული იქნეს ამ ინფორმაციის არა სანქცირებული წაკითხვა და მოდიფიკაცია.

არსებობს ინფორნმაციის შემდეგი სახის კრიპტოგრაფიული გარდაქმნები:

- დაშიფრვა - ღია გზავნილების კრიპტოგრაფიული გარდაქმნა დახურულ გზავნილებად.
- გაშიფრვა - დახურული გზავნილების კრიპტოგრაფიული გარდაქმნა ღია გზავნილებად.

- კრიპტოანალიზი - დახურული გზავნილიდან ღია გზავნილის მიღება იმ დროს, როცა უცნობია კრიპტოგრაფიული გარდაქმნა.

ჩვეულებრივ დაშიფრვის და გაშიფრვის პროცესი წარმოებს სპეციალური გასაღებების და კრიპტოგრაფიული ალგორითმების გამოყენებით. დაშიფრვის ალგორითმები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

- სიმეტრიული: ა. ბლოკური; ბ. ნაკადური
- ასიმეტრიული

სიმეტრიული ალგორითმები ხასიათდება დაშიფრვის და გაშიფრვის ერთი გასაღებით, რომელიც საიდუმლოდ ინახება და გადაიცემა ჩვეულებრივ უსაფრთხო კავშირის გამოყენებით.

ბლოკური შიფრვის ალგორითმები გარდაქმნებს გზავნილის თითოეულ ბლოკზე ცალცალკე ახდენენ. ეს ალგორითმები ძირითადად ცალკე აღებული მთლიანი გზავნილის, რომელიც წარმოდგენილია მაგალითად ფაილის სახით, დაშიფრვის დროს გამოიყენება. ნაკადური ალგორითმები გზავნილის თითოეულ სიმბოლოს ცალკე-ცალკე შიფრავენ. ასეთი ალგორითმები გამოიყენება მაგალითად გასაიდუმლოებული სატელეფონო კავშირის დროს.

ასიმეტრიული ალგორითმები ხასიათდება ორი, ღია და დახურული გასაღებით. პირველი მათგანი გამოიყენება დაშიფრვის, ხოლო მეორე გაშიფრვის დროს. ეს ალგორითმები იძლევა საშუალებას გადავცეთ ღია გასაღებები კავშირის ღია არხებით. შვეულებრივ გასაღებების გენერაციას ახდენს მიმღები მხარე და უგზავნის ღია გასაღებს გადამცემ მხარეს. ხოლო დახურულ გასაღებს ინახავს საიდუმლოდ.

სიმეტრიული დაშიფრვის ალგორითმები

არსებობს შემდეგი სახის სიმეტრიული შიფრვის ალგორითმები:

<u>მარტივი ჩანაცვლების ანუ ელექტრონული კოდური წიგნის ალგორითმი</u> - მარტივი ჩანაცვლების ანუ ელექტრონული კოდური წიგნის ალგორითმით დაშიფრვის დროს ხდება ღია გზავნილის თითო ბლოკის შეცვლა დახურული გზავნილის თითო ბლოკით. მთავარი იდეა არის ტექსტის დაყოფა N ბიტის ბლოკებად (დამოკიდებულია

შეყვანილი მონაცემების ბლოკის ზომაზე, დაშიფვრის ალგორითმზე) და შემდეგ ტექსტის თითოეული ბლოკის დაშიფვრა (გაშიფვრა) ერთადერთი გასაღების გამოყენებით. დაშიფრვა შეიძლება აღვწეროთ ფორმულით:

Ci=F(Pi), i=1÷N

სადაც Ci და Pi შესაბამისად დაშიფრული და გაშიფრული ტექსტის ბლოკებია, ხოლო F კრიპტოგრაფიული გარდაქმნა. ეს მეთოდი ყველაზე ნაკლებად საიმედოა შიფრაციის სხვა მეთოდებს შორის.

<u>შიფრაცია შეცვლით</u> - ყველაზე მარტივი შიფრაციის მეთოდი. დასაშიფრი ტექსტის სიმბოლოები იცვლებიან სხვა ერთი ანბანიდან აღებული სიმბოლოებით (ერთანბანიანი შეცვლა) ან რამოდენიმე ანბანიდან (მრავალანბანიანი შეცვლა).

ერთანბანიანი შეცვლის მეთოდი - დასაშიფრი ტექსტის სიმბოლოების შეცვლა ამავე, ან სხვა ანბანის სიმბოლოებით. მაგალითი:

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ო პ ჟ რ . .

ჰ მ ნ წ ჯ კ ლ ო ქ დ ა ბ ცყ უ შ თ . .

ერთანბანიანი მარტივი შეცვლის მეთოდის მდგრადობა ძალიან დაბალია, დაშიფრული ტექსტის სიმბოლოებს გააჩნია იგივე სტატისტიკური მახასიათებლები როგორც საწყის ტექსტს, სიმბოლოების სტანდარტული შეხვედრის სიხშირის ცოდნით იმ ენაში, რომელზეც დაწერილია შეტყობინება და სიმბოლოების სტატისტიკური შეხვედრის სიხშირესთან შედარებით დაშიფრულ ტექსტში, შეიძლება აღდგენილი იყოს შიფრაციის ცხრილი. ამისათვის საკმარისია დაშიფრული ტექსტის საკმარისი მოცულობა, იმისათვის რომ მივიღოთ სიმბოლოების სიხშირის შეფასება. ამიტომ ერთანბანიანი მარტივი შეცვლის მეთოდს გამოიყენებენ იმ შემთხვევაში, როცა დასაშიფრი ტექსტი პატარაა. მეთოდის მდგრადობა დაბალია, სირთულე განისაზღვრება სიმბოლოს მოძებნით შეცვლის ცხრილში.

<u>მრავალანბანიანი შეცვლის მეთოდი</u> - სიმბოლოების შესაცვლელად გამოიყენება რამოდენიმე ანბანი. ანბანი ამოირჩევა გასაღები სიტყვის ასოების შესაბამისად ისე, რომ სიტყვის ყოველი ასო შეესაბამებოდეს ანბანის პირველ ასოს. ანბანის შეცვლა ხორციელდება თანმიმდევრობით და ციკლურად: პირველი სიმბოლო იცვლება

შესაბამისი სიმბოლოთი პირველი ანბანიდან, მეორე სიმბოლო - შესაბამისი სიმბოლოთი მეორე ანბანიდან და ასე შემდეგ, სანამ არ გამოილევა ყველა ანბანი. განვიხილოთ შიფრაცია ვიჯინერის ცხრილის მიხედვით - კვადრატული მატრიცის n*2 ელემენტით, სადაც n, გამოყენებული ანბანის სიმბოლოების რაოდენობა. პირველ სტრიქონში არის საწყისი ანბანი, ყოველი შემდეგი მიიღება საწყისი ანბანის ერთი სიმბოლოების წანაცვლებით მარცხნივ ერთი სიმბოლოთი.



სურ. 4.1. ვიჯინერის ცხრილი

შიფრაციისთვის აუცილებელია გასაღები სიტყვის განსაზღვრა – სიტყვა, რომელშიც ასოები არ მეორდება. შეცვლის ცხრილი მიიღება შემდეგნაირად: დასაშიფრი ტექსტის სიმბოლოებს იღებენ პორველი სტრიქონიდან, ხოლო შეცვლის სტრიქონებს ადგენენ იმ სტრიქონებისგან, რომლის პირველი ასოები ემთხვევა გასაღები სიტყვის შესაბამის ასოს. შიფრაციის და დეშიფრაციის დროს არ არის აუცილებელი წინასწარ შევინახოთ მეხსიერებაში მთელი ვიჯინერის ცხრილი, რადგან ციკლური ჩანაცვლებით შეგვიძლია მივიღოთ ნებისმიერი სტრიქონი მისი ნომრის მიხედვით. მეთოდის მდგრადობა

უდრის მარტივი შეცვლის მეთოდის მდგრადობას გამრავლებულს L-ზე , სადაც L არის გასაღები სიტყვის სიგრძე. ალგებრულად ვიჯინერის ცხრილი შემდეგნაირად ჩაიწერება:

დაშიფვრა: Ei = (Pi + Ki) mod 26; გაშიფვრა: Di = (Ei - Ki) mod 26

სადაც, E არის დაშიფრული ტექსტი, P არის დასაშიფრი ტექსტი, K - გასაღები.

<u>შიფრაცია გადაადგილებით</u> - გადაადგილების მეთოდით შიფრაციის დროს დასაშიფრი ტექსტის სიმბოლოები გადადგილდებიან გარკვეული წესების მიხედვით. მარტივი გადაადგილების მეთოდი - ირჩევა შიფრაციის ბლოკი, რომელიც შედგება n სვეტებისგან და m სტრიქონებისგან და გასაღები რიცხვების თანმიმდევრობა, რომელიც ამოირჩევა ნატურალური რიცხვებიდან შემთხვევითი გადაადგილებით. შიფრაცია ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1. დასაშიფრი ტექსტი იწერება სტრიქონებად გასაღები რიცხვების თანმიმდევრობის ქვეშ და წარმოქმნიან დასაშიფრ ბლოკს n*m-ზე
2. დასაშიფრი ტექსტი ამოიწერება სვეტებად, სვეტების მიხედვით, მზარდი გასაღები რიცხვების თანმიმდევრობის მიხედვით.

დეშიფრაცია ხდება შემდეგნაირად:

1. დაშიფრილი ტექსტიდან გამოიყოფა ბლოკი n*m-ზე;
2. ბლოკი იყობა n ჯგუფებზე, რომლებშიც არის m სიმბოლო;
3. სტრიქონები ჩაიწერება შეცვლის ცხრილის შესაბამის სვეტებში;
4. გაშიფრული ტექსტი იკითხება სტრიქონების მიხედვით.

<u>ალგორითმი DES</u> - რომელიც შეიქმნა აშშ-ს სტანდარტების ეროვნული ბიუროს მიერ 1977 წელს, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში ასევე კომერციულ ორგანიზაციებში რეკომენდირებული დაშიფრვის ალგორითმი Data Encryprion Standard (DES). მისი მოდიფიკაცია გრძელდება და იქმნება მის საფუძველზე უფრო რთული და საიმედო ალგორითმები. DES ბლოკური დაშიფვრის ალგორითმია, რომელიც შემდეგნაირად აღიწერება:

დაშიფვრის შემთხვევაში: $C = E(K_i, P)$

გაშიფვრის შემთხვევაში: $P = D(K_i, P)$

მასში გამოყენებულია როგორც შეცვლის, ასევე გადასმის მეთოდები. ბლოკის სიგრძე 64 ბიტია, ხოლო გასაღების 56 ბიტი. ალგორითმი შემდეგნაირად სრულდება:



სურ.4.2. DES სიმერტიული ალგორითმის და f ფუნქციის სქემა

1. თავდაპირველად ხდება ბლოკის ბიტების არევა. ბიტები ლაგდება გარკვეული თანმიმდევრობით

2. შემდეგ 16-ჯერ მეორდება: გასაღების გარდაქმნა; ითვლება ბლოკის მარჯვენა ნახევარი Ri+1= Ri⊕f(Li,Ki); ბლოკის მარცხენა ნახევარში იწერება მარჯვენა ნახევარი Li+1=Ri; ბოლოს ხდება თანრიგების ინვერსული გადანაცვლება გარკვეული თანმიმდევრობით:

f ფუნქციას ვითვლით შემდეგნაირად: ფუნქციის პირველი არგუმენტი ფართოვდება 32 თანრიგიდან 48 თანრიგამდე ზოგიერთი თანრიგის გამეორებით; შემდეგ ის იკრიბება მოდულით 2 (mod2) 48 თანრიგიან გასაღებთან და გარდაიქმნება სპეციალური S მატრიცების გამოყენებით 32 თანრიგიან ბლოკად, რომლის თანრიგები კიდევ გადანაცვლდება. მიღებული 32 თანრიგიანი ბლოკი წარმოადგენს f ფუნქციის მნიშვნელობას.

S მატრიცები წარმოადგენენ ცხრილებს 4 სტრიქონით და 16 სვეტით. S მატრიცების შემავალი 48 თანრიგი იყოფა რვა 6 თანრიგიან მონაცემად. პირველი 2 თანრიგი განსაზღვრავს სტრიქონის ნომერს, ხოლო დანარჩენი 4 თანრიგი მატრიცის სვეტის ნომერს. მატრიცის საშუალებით გარდაქმნის რეზულტატი სწორედ ამ უჯრედის მნიშვნელობაა.

გასაღების გარდაქმნა, რომელიც f ფუნქციის შემავალ 48 თანრიგიან გასაღებს იძლევა შემდეგი სქემით ხორციელდება: 56 თანრიგიანი გასაღები საწყისი გადანაცვლების შემდეგ იყოფა ორ 28 თანრიგიან სიტყვად. თითოეულ რაუნდში (სულ 16 რაუნდი) ორივე რეგისტრი ციკლურად იძვრის მარცხნივ შემდეგი პრინციპით:

- I, II, IX და XVI რაუნდებში ერთი თანრიგით;

- დანარჩენ ღაუნდებში ორი თანრიგით.

ყოველ რაუნდში ორი 28 თანრიგიანი სიტყვის გაერთიანებით მიღებული 56 თანრიგიან გასაღებს ემატება თითო თანრიგი ყოველი 7 თანრიგის საკონტროლო ჯამის (ჯამი მოდულით 2) სახით. მიღებული 64 თანრიგიდან ხდება 48 თანრიგის ამორჩევა მოცემული ცხრილის მიხედვით.

DES ალგორითმის გაშიფრვა ანალოგიურად ხდება. განსხვავება მხოლოდ გასაღებების ამორჩევის თანმიმდევრობაა რაუნდებში.

3DES (Triple DES): ციფრული დაშიფვრის სტანდარტი (DES) არის სიმეტრიული ბლოკის შიფრი 64-ბიტიანი ბლოკის ზომით, რომელიც იყენებს 56-ბიტიან გასაღებს. ის ყოველთვის მუშაობს თანაბარი ზომის ბლოკებზე და იყენებს როგორც გადანაცვლებას, ასევე ჩანაცვლებებს ალგორითმში.

Triple DES დაშიფვრავს მონაცემებს სამჯერ და იყენებს განსხვავებულ გასაღებს სამივე გადასასვლელიდან მინიმუმ ერთისთვის, რაც აძლევს მას 112-168 ბიტის კუმულაციური გასაღების ზომას. 3DES მდგრადია შეტევის მიმართ, მაგრამ ის გაცილებით ნელია ვიდრე DES. 3DES დაშიფვრის ციკლი შემდეგია:

1. მონაცემები დაშიფრულია პირველი DES-ით

2. მონაცემები გაშიფრულია მეორე DES-ით

3. მონაცემები ხელახლა დაშიფრულია მესამე DES-ის მიერ

საპირისპირო პროცესი გაშიფრავს დაშიფრულ ტექსტს. მისი ალგებრული აღწერა შემდეგნაირად ჩაიწერება:

$$\textit{დაშიფვრის შემთხვევაში}: C = E\left(K_3, D\left(K_2, E(K_1, P)\right)\right)$$
$$\textit{გაშიფვრის შემთხვევაში}: P = D\left(K_1, E\left(K_2, D(K_3, C)\right)\right)$$

სადაც, K არის გასაღები, D - დეშიფრაციის ალგორითმი, E - შიფრაციის ალგორითმი, P – დასაშიფრი ტექსტი.

IDEA(International Data Encryption Algorithm): მონაცემთა დაშიფვრის საერთაშორისო ალგორითმი (IDEA) იყენებს 64-ბიტიან ბლოკებს და 128-ბიტიან გასაღებებს. IDEA ახორციელებს ტრანსფორმაციის რვა რაუნდს 16 ბლოკიდან თითოეულზე, რაც ხდება თითოეული 64-ბიტიანი ბლოკის გაყოფის შედეგად. IDEA იყო DES-ის ჩანაცვლება და ახლა მას იყენებს PGP (Pretty Good Privacy - პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კონფიდენციალურობას და ავთენტიფიკაციას მონაცემთა კომუნიკაციისთვის).

AES (Advanced Encryption Standard): დაშიფვრის გაფართოებული სტანდარტი (AES), რომელიც შეიქმნა აშშ-ს სტანდარტებისა და ტექნოლოგიების ეროვნული ინსტიტუტის (NIST) მიერ 2001 წელს. AES ფართოდ გამოიყენება დღეს, რადგან ის ბევრად უფრო ძლიერია ვიდრე DES და 3DES, მიუხედავად იმისა, რომ უფრო რთულია.

AES არის ბლოკის შიფრი. მისი გასაღების ზომა შეიძლება იყოს 128/192/256 ბიტი. შიფრავს მონაცემებს თითოეული 128 ბიტიანი ბლოკებით. ეს ნიშნავს, რომ მას იღებს 128 ბიტი, როგორც შეყვანა და გამოაქვს 128 ბიტიანი დაშიფრული ტექსტი. AES ეყრდნობა ჩანაცვლება-პერმუტაციის (გადანაცვლების) პრინციპს. AES ფართოდ გამოიყენება მრავალ აპლიკაციაში, რომლებიც საჭიროებენ მონაცემთა უსაფრთხო შენახვას და გადაცემას:

- უსადენო უსაფრთხოება: AES გამოიყენება უკაბელო ქსელების დასაცავად, როგორიცაა Wi-Fi ქსელები, მონაცემთა კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად და არაავტორიზებული წვდომის თავიდან ასაცილებლად.
- მონაცემთა ბაზის დაშიფვრა: AES შეიძლება გამოყენებულ იქნას მონაცემთა ბაზებში შენახული მგრძნობიარე მონაცემების დასაშიფრად. ეს ხელს უწყობს პირადი ინფორმაციის, ფინანსური ჩანაწერების და სხვა კონფიდენციალური მონაცემების დაცვას არაავტორიზებული წვდომისგან მონაცემთა დარღვევის შემთხვევაში.
- უსაფრთხო კომუნიკაციები: AES ფართოდ გამოიყენება პროტოკოლებში, როგორიცაა ინტერნეტ კომუნიკაციები, ელფოსტა, მყისიერი შეტყობინებები და ხმოვანი/ვიდეო ზარები. ეს უზრუნველყოფს მონაცემების კონფიდენციალურობას.
- მონაცემთა შენახვა: AES გამოიყენება მყარ დისკებზე, USB დისკებზე და სხვა საცავის მედიაზე შენახული მგრძნობიარე მონაცემების დასაშიფრად, დაკარგვის ან ქურდობის შემთხვევაში არაავტორიზებული წვდომისგან დასაცავად.
- ვირტუალური პირადი ქსელები (VPN): AES ჩვეულებრივ გამოიყენება VPN პროტოკოლებში მომხმარებლის მოწყობილობასა და დისტანციურ სერვერს შორის კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად. ის უზრუნველყოფს, რომ VPN-ით გაგზავნილი და მიღებული მონაცემები დარჩეს კონფიდენციალური და არ შეიძლება მისი გაშიფვრა მომსმენების მიერ.
- პაროლების უსაფრთხო შენახვა: AES დაშიფვრა ჩვეულებრივ გამოიყენება პაროლების უსაფრთხოდ შესანახად. ჩვეულებრივი ტექსტის პაროლების შენახვის ნაცვლად, დაშიფრული ვერსია ინახება. ეს ამატებს უსაფრთხოების

დამატებით ფენას და იცავს მომხმარებლის სერთიფიკატებს საცავში არაავტორიზებული წვდომის შემთხვევაში.

- ფაილების და დისკის დაშიფვრა: AES გამოიყენება კომპიუტერებზე, გარე შენახვის მოწყობილობებზე და ღრუბლოვან საცავებზე ფაილების და საქაღალდეების დასაშიფრად. ის იცავს მოწყობილობებზე შენახულ მგრძნობიარე მონაცემებს ან მონაცემთა გადაცემის დროს, რათა თავიდან აიცილოს არაავტორიზებული წვდომა.

დაშიფრვის ასიმეტრიული ალგორითმები

ასიმეტრიული ალგორითმების გავრცელება გამოიწვია ორი გასაღების: ღია - დაშიფრვისთვის, და დახურული - გაშიფრვისთვის ქონის აუცილებლობამ. ღია, ანუ ისეთი გასაღების შემოტანა, რომელიც პოტენციურად ყველასათვის ცნობილია, საშუალებას გვაძლევს თავი ავარიდოთ საიდუმლო გასაღებების გაცვლის რთულ ამოცანას.

ასიმეტრიული ალგორითმები იყენებენ ფორმულებს, რომლებთა მოძიებაც ყველას შეუძლია. ამ ალგორითმების უსაფრთხოებას ქმნის ორი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნილი გასაღები.

RSA (Rivest-Shamir-Adleman) - იყენებს ორ, ერთი სიგრძის მქონე ძალიან დიდი მნიშვნელობის მარტივ რიცხვს p-ს და q-ს. თავდაპირველად ვიგებთ:

$n=p*q$; n გამოიყენება როგორც ღია, ისე დახურული გასაღებების მოდული.

$\varphi(n) = (p-1) * (q-1)$; ვირჩევთ დიდ შემთხვევით რიცხვს d-ს ისეთს, რომ ის იყოს ურთიერთ მარტივი $\varphi(n)$-თან (ანუ არ ჰქონდეს არცერთი მთელი საერთო გამყოფი გარდა 1-ისა).

ვსაზღვრავთ ისეთ მთელ რიცხვს e-ს, რომლისთვისაც ჭეშმარიტია შემდეგი ტოლობა: $(e*d) \bmod \varphi(n)=1$. ღია გასაღებია (e,n), ხოლო დახურული (d,n).

საკუთრივ დაშიფრვა. დასაშიფრი გზავნილი იყოფა ბლოკებად Mi ისე, რომ მისი ზომა k აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობას $10k-1<n<10k$; დაშიფრული გზავნილის შესაბამისი ბლოკის მნიშვნელობაა: $Ci=M_i^e \bmod (n)$.

გზავნილის გაშიფრვისათვის ვიყენებთ დახურულ გასაღებს *(d,n)* და ვითვლით გაშიფრული გზავნილის ბლოკის მნიშვნელობას შემდეგი ფორმულით: $Mi=C_i^d mod(n)$.

Diffie-Hellman - უზრუნველყოფს ელექტრონული გაცვლის მეთოდს საიდუმლო გასაღების გასაზიარებლად. უსაფრთხო პროტოკოლები, როგორიცაა უსაფრთხო სოკეტების ფენა (SSL), სატრანსპორტო შრის უსაფრთხოება (TLS), უსაფრთხო გარსი (SSH) და ინტერნეტ პროტოკოლის უსაფრთხოება (IPSec), გამოიყენებენ დიფი-ჰელმანის პროტოკოლს.

ვაიტფილდ დიფფიმ (Whitfield Diffie) და მარტინ ჰელმანმა (Martin Hellman) 1976 წელს გამოიგონა Diffie-Hellman (DH) ალგორითმი. DH ალგორითმი წარმოადგენს უმრავლესობა თანამედროვე, გასაღებების ავტომატური გაცვლის მეთოდების საფუძველს და ის ასევე არის დღეს ქსელში გამოყენებული პროტოკოლებიდან ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული პროტოკოლი. Diffie-Hellman არ არის შიფრაციის მექანიზმი და ის როგორც წესი არ გამოიყენება მონაცემთა დასაშიფრად. ის არის მეთოდი, რომელიც გამოიყენება მონაცემთა დაშიფვრისთვის საჭირო გასაღებების უსაფრთხოდ გასაცვლელად.

DH-ის უსაფრთხოება დაფუძნებულია იმ ფაქტზე, რომ ის თავის გამოთვლებში იყენებს წარმოუდგენლად დიდ რიცხვებს. მაგალითად, DH-ის 1024-ბიტიანი რიცხვი, უხეშად რომ ვთქვათ, უდრის 309 ციფრიან ათობით რიცხვს. იმის გათვალისწინებით, რომ მილიარდი წარმოადგენს 10 ათობით ციფრს (1,000,000,000), ადვილად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მუშაობის სირთულე არა ერთ, არამედ 309 ციფრიან ათობით რიცხვებთან.

სამწუხაროდ, ასიმეტრიული გასაღების სისტემები მეტისმეტად ნელია ნებისმიერი სახის მოცულობის შიფრაციისთვის. ამიტომაცაა, რომ ტრაფიკის მოცულობას უფრო ხშირად შიფრავენ სიმეტრიული ალგორითმებით, როგორიცაა 3DES ან AES და DH ალგორითმს იყენებენ გასაღებების შესაქმნელად, რომელიც იქნება გამოყენებული შიფრაციის ალგორითმის მიერ.

Elgamal - იყენებს ამერიკის მთავრობის სტანდარტს ციფრული ხელმოწერებისთვის. ეს ალგორითმი უფასოა, რადგან არავის გააჩნია პატენტი.

ელიფსური მრუდის კრიპტოგრაფია (ECC) - ალგორითმის ნაწილად იყენებს ელიფსურ მრუდებს. აშშ-ში ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო იყენებს ECC-ს ციფრული ხელმოწერის გენერაციისა და გასაღებთა გაცვლისთვის.

გასაღების მართვა. გასაღების მართვა მოიცავს შიფრაციის ალგორითმში გამოყენებული გასაღების გენერირებას, გაცვლას, შენახვას, გამოყენებას და ჩანაცვლებას. იგი კრიპტოსისტემის დაპროექტების ყველაზე რთული ნაწილია. მრავალი კრიპტოსისტემის განვითარება ვერ მოხერხდა მათი გასაღების მართვის პროცედურების შეცდომების გამო. პრაქტიკაში კრიპტოგრაფიულ სისტემებზე თავდასხმების უმრავლესობა მიზნად ისახავს შეტევას გასაღების მართვის დონეზე, და არა თავად კრიპტოგრაფიულ ალგორითმზე. გასაღების აღსაწერად გამოყენებული ორი ტერმინია:

გასაღების სიგრძე - ასევე უწოდებენ გასაღების ზომას, იზომება ბიტების რაოდენობით.

Keyspace - ეს არის რიგი შესაძლებლობები, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული გასაღების სიგრძის გენერირებისათვის.

გასაღების სიგრძის ზრდასთან ერთად გასაღების სივრცეც (Keyspace) ექსპონენციალურად იზრდება. ალგორითმის გასაღების სივრცე არის ყველა შესაძლო გასაღების მნიშვნელობის კრებული. გრძელი გასაღებები უფრო უსაფრთხოა; თუმცა, ისინი მოითხოვენ უფრო მეტ გამოთვლით რესურსს. თითქმის ყველა ალგორითმს გააჩნია გარკვეული სუსტი გასაღებები თავის საკვანძო სივრცეში, რომელიც საშუალებას აძლევს კრიმინალს დაარღვიოს დაშიფვრა.

4.2. წვდომის მართვა. მონაცემთა კონფიდენციალურობის დაცვა წვდომის მართვის მეთოდების გამოყენებით. იდენტიფიკაცია/ავთენტიფიკაცია/ავტორიზაცია

მონაცემებზე არავტორიზებული წვდომისაგან დაცვა პირველი ნიშნავს, ფიზიკური წვდომის შეუძლებლობას კომპიუტერულ ქსელში, სერვერებთან, ვებ სცენარებთან, ქსელურ კაბელებთან/მოწყობილობებთან და სხვა რესურსებთან.

როგორ ბრიყვულადაც არ უნდა ჟღერდეს, ხშირად არასნქცირებული წვდომისგან გვიცავს უბრალო კარის საკეტი. სერვერები რომლებზეც ინახება მნიშვნელოვანი ინფორმაცია არ უნდა იდგნენ ღიად მაგიდაზე ან დაუკეტავ ოთახში, სადაც ნებისმიერს შეუძლია შევიდეს. ანალოგიური გზით უნდა იყოს დაცული სხვა მოწყობილობებიც. თუ რომელიმე თანამშრომელი მუშაობს მთელი დღე და ღამე მაშინ ამ ოთახის დაკეტვა არ არის აუცილებელი- მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ პერსონალი არ მორიგეობს მარტო. იდელურ შემთხვევაში ასეთ ოთახში შესვლა უნდა კონტროლირდებოდეს.

როდესაც ქსელური კავშირები გადის თქვენი დაქვემდებარების ზონიდან, მაშინ რა თქმა უნდა იკარგება ქსელის ფიზიკური კონტროლის ასპექტები და საჭიროა დავეყრდნოთ სხვა დაცვით მექნიზმებს.

ფიზიკური წვდომის მართვა წარმოადგენს ფაქტობრივ ბარიერს, რომელიც განთავსებულია სისტემებთან უშუალო კონტაქტის თავიდან ასაცილებლად. მოცემული მართვის მიზანია, თავიდან იქნას აცილებული არასანქცირებული მომხმარებლების ფიზიკური წვდომა ობიექტებზე, აპარატურასა და სხვა ორგანიზაციულ აქტივებზე. ფიზიკური წვდომის მართვა განსაზღვრავს ვინ, სად და როდის შეიძლება შევიდეს (ან გავიდეს) დაცულ ობიექტზე.

ლოგიკური წვდომის მართვა არის აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოიყენება რესურსებსა და სისტემებზე ხელმისაწვდომობის განსაზღვრისათვის. ამ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები მოიცავს ინსტრუმენტებსა და ოქმებს, რომლებიც კომპიუტერულ სისტემებს იყენებენ იდენტიფიკაციის, ავთენტიფიკაციის, ავტორიზაციისა და სააღრიცხვო ანგარიშვალდებულების მიზნით.

ადმინისტრაციული დაშვების მართვა წარმოადგენს ორგანიზაციების მიერ განსაზღვრულ პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებიც განახორციელებენ და აღასრულებენ არასანქცირებული წვდომის მართვის ყველა ასპექტს. ადმინისტრაციული მართვა ფოკუსირებულია პერსონალსა და ბიზნეს პრაქტიკაზე.

სავალდებულო წვდომის მართვა (MAC) ზღუდავს იმ ქმედებებს, რომლებიც სუბიექტს შეუძლია განახორციელოს ობიექტზე. სუბიექტს შეიძლება წარმოადგენდეს მომხმარებელი ან პროცესი. ობიექტი

შეიძლება იყოს ფაილი, პორტი, ან შეტანის/გამოტანის მოწყობილობა. ავტორიზაციის წესი განსაზღვრავს, აქვს თუ არა სუბიექტს ობიექტზე წვდომის უფლება. ორგანიზაციები იყენებენ MAC-ს, სადაც არსებობს უსაფრთხოების კლასიფიკაციის განსხვავებული დონე. ყველა ობიექტს გააჩნია თავისი ეტიკეტი და ყველა სუბიექტს აქვს თავისი ნებართვა. MAC სისტემა ზღუდავს სუბიექტს ობიექტის უსაფრთხოების კლასიფიკაციისა და მომხმარებლისთვის თანდართული ეტიკეტის საფუძველზე.

მაგალითად, სამხედრო უსაფრთხოების კლასიფიკაციით განისაზღვრება საიდუმლო და მკაცრად საიდუმლო ობიექტები. თუ ფაილი (ობიექტი) ითვლება საიდუმლოდ, იგი კლასიფიცირდება (ფასდება) მკაცრად საიდუმლოდ. ერთადერთი პერსონა (სუბიექტი), რომელსაც შეუძლია იხილოს ფაილი (ობიექტი) არის ის, ვისაც ყველაზე მაღალი დონის ნებართვა გააჩნია. ეს არის წვდომის მართვის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესს ისე, რომ ინდივიდი (სუბიექტი), რომელსაც გააჩნია მხოლოდ უბრალო ნებართვა, ვერასოდეს მოიპოვებს ფაილს, რომელიც შეფასებულია, როგორც მკაცრად საიდუმლო. ანალოგიურად, მკაცრად საიდუმლო წვდომის მქონე მომხმარებელი (სუბიექტი) ვერ შეცვლის ფაილის (ობიექტის) კლასიფიკაციას, რომელიც განისაზღვრება, როგორც ორმაგად მკაცრად საიდუმლო. გარდა ამისა, მკაცრად გასაიდუმლოებული მომხმარებელი ვერ შეძლებს გაგზავნოს მკაცრად საიდუმლო ფაილი მომხმარებლისთვის, რომელსაც აქვს მხოლოდ საიდუმლო ინფორმაციის მიღების ნებართვა.

ობიექტის მფლობელი განსაზღვრავს ობიექტის ხელმისაწვდომობის *დისკრეციული დაშვების მართვის* (DAC) დონეს. DAC-ის მეშვეობით ობიექტის მფლობელი განსაზღვრავს ობიექტის ხელმისაწვდომობას სხვა სუბიექტთათვის. მართვა დისკრეციულია, რადგან ობიექტის მფლობელს გარკვეული დაშვების ნებართვებით შეუძლია ამ ნებართვების სხვა სუბიექტზე გავრცელება.

სისტემებში, რომლებიც იყენებენ დისკრეციულ წვდომის მართვას, ობიექტის მფლობელს შეუძლია გადაწყვიტოს, რომელ სუბიექტებს შეუძლიათ მიიღონ ეს ობიექტი და რა კონკრეტული წვდომის უფლებით. ერთი საერთო მეთოდი ამ მიზნის მისაღწევად არის სპეციფიური ნებართვების გაცემა. დოკუმენტის მფლობელს შეუძლია

განსაზღვროს, თუ რა ნებართვები (წაკითხვის/ჩაწერა/შესრულება) შეუძლიათ მიიღონ სხვა მომხმარებლებმა.

როლზე დაფუძნებული დაშვების მართვა (RBAC) დამოკიდებულია სუბიექტის როლზე. როლები წარმოადგენენ ორგანიზაციის ფარგლებში სამუშაო ფუნქციებს. სპეციფიური როლები მოითხოვენ გარკვეული ოპერაციების განხორციელებას.. მომხმარებელი იღებს ნებართვას მისი როლის გათვალისწინებით. RBAC-ს შეუძლია ფუნქციონირება DAC ან MAC-თან ერთად კომბინაციაში მათ მიერ დაწესებული ნებართვების გამკაცრებით. RBAC აუმჯობესებს უსაფრთხოების ადმინისტრირების რეალიზებას მსხვილ ორგანიზაციებში, სადაც დასაქმებულია ასობით მომხმარებელი და გაცემულია ათასობით შესაძლო ნებართვა. ორგანიზაციები ფართოდ იყენებენ RBAC-ს სისტემებში/აპლიკაციებში კომპიუტერული ნებართვების მართვის მიზნით.

წესებზე დაფუძნებული წვდომის მართვა იყენებს წვდომის მართვის სიებს (ACLs), რათა განსაზღვროს ობიექტზე წვდომის წესები. ACL შეიცავს სპეციფიურ წესთა თანმიმდევრობას. წვდომის მინიჭებისა და აკრძალვის განსაზღვრა დამოკიდებულია ამ წესებზე.

იდენტიფიკაცია, ავთენტიფიკაცია, ავტორიზაცია

იდენტიფიკაცია აუმჯობესებს ავტორიზაციის პოლიტიკით დადგენილ წესებს. სუბიექტი ითხოვს სისტემის რესურსზე წვდომის უფლებას. ყოველთვის, როდესაც სუბიექტი ითხოვს რესურსზე წვდომას, წვდომის მართვა განსაზღვრავს, დაერთოს მას ნება თუ უარი ეთქვას. ავტორიზაციის პოლიტიკა განსაზღვრავს, რა სახის აქტივობის განხორციელების უფლება უნდა მიეცეს სუბიექტს. უნიკალური იდენტიფიკატორი უზრუნველყოფს სათანადო ასოციაციას დაშვებულ საქმიანობასა და სუბიექტს შორის. მომხმარებლის სახელი არის ყველაზე გავრცელებული მეთოდი, რომელიც გამოიყენება მომხმარებლის იდენტიფიცირებისთვის. მომხმარებლის სახელი შეიძლება იყოს ალფანუმერული კომბინაცია, პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი (PIN), ჭკვიანი ბარათი ან ბიომეტრიული, როგორიცაა თითის ანაბეჭდი, ბადურის სკანირება ან ხმის ამოცნობა.

უნიკალური იდენტიფიკატორი უზრუნველყოფს სისტემის მიერ თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალურ იდენტიფიკაციას: შესაბამისად, ის საშუალებას აძლევს უფლებამოსილ მომხმარებელს განახორციელოს შესაბამისი ქმედებები კონკრეტულ რესურსზე.

კიბერ უსაფრთხოების პოლიტიკა განსაზღვრავს, თუ რომელი საიდენტიფიკაციო მართვა უნდა იქნას გამოყენებული. ინფორმაციული და საინფორმაციო სისტემების მგრძნობელობა განსაზღვრავს რამდენად მკაცრი უნდა იყოს მართვა. მონაცემთა დაცვის მნიშვნელობის ზრდამ მრავალი ორგანიზაცია აიძულა მათი საიდენტიფიკაციო მართვის გაძლიერების გადაწყვეტილება მიეღო. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში საკრედიტო ბარათის ინდუსტრია მოითხოვს ყველა ვენდორისაგან, გადაიყვანონ საიდენტიფიკაციო სისტემები ჭკვიან ბარათებზე.

პაროლები, პასპორტები, ან PIN წარმოადგენენ მაგალითებს, რომლებიც მომხმარებელმა იცის. პაროლები ყველაზე პოპულარული მეთოდია, რომელიც გამოიყენება ავთენტიფიკაციისთვის. პაროლი არის სიმბოლოებისაგან შემდგარი სტრიქონი, რომელიც გამოიყენება მომხმარებლის ვინაობის დასამტკიცებლად. თუ სიმბოლოთა ეს სტრიქონი უკავშირდება მომხმარებელს (როგორიცაა სახელი, დაბადება ან მისამართი), კიბერ დამნაშავეებს უფრო გაუადვილდებათ მომხმარებლის პაროლის გამოცნობა.

სმარტ ბარათი წარმოადგენს კრედიტ ბარათის ზომების მქონე ბარათს მასში ინტეგრირებული მიკროჩიპით. ჩიპი არის ინტელექტუალური მონაცემთა გადამტანი, რომელსაც შეუძლია დაამუშაოს, შეინახოს და დაიცვას მონაცემები. „ჭკვიანი“ ბარათები ინახავენ პირად ინფორმაციას, როგორიცაა საბანკო ანგარიშის ნომრები, პირადი საიდენტიფიკაციო მონაცემი, სამედიცინო ჩანაწერები და ციფრული ხელმოწერები. „ჭკვიანი“ ბარათები მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად უზრუნველყოფენ ავთენტიფიკაციას და შიფრაციას.

უნიკალურ ფიზიკურ მახასიათებელს, როგორიცაა თითის ანაბეჭდი, ბადურა ან ხმა, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ მომხმარებელს, ეწოდება ბიომეტრიკა. ბიომეტრიული უსაფრთხოება ადარებს მომხმარებლის ფიზიკურ მონაცემებს, მისი შენახული პროფილის ავთენტიფიკაციის განსახორციელებლად. პროფილი არის მონაცემთა ფაილი, რომელიც შეიცავს ფიზიკური პირის ცნობილ მახასიათებლებს.

სისტემა დაუშვებს მომხმარებლის წვდომას, თუ მისი მახასიათებლები ემთხვევა შენახულ პარამეტრებს. თითის ანაბეჭდის წამკითხავი (Fingerprint reader) არის ყველაზე გავრცელებული ბიომეტრული მოწყობილობა. ბიომეტრიკა სულ უფრო პოპულარული ხდება საზოგადოებრივი უსაფრთხოების სისტემებში, სამომხმარებლო ელექტრონიკისა და სავაჭრო აპლიკაციებში. ბიომეტრიკის განხორციელება იყენებს სპეციალურ წამკითხველს ან სკანირების მოწყობილობას, პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც სკანირებულ ინფორმაციას ციფრულ ფორმაში გარდაქმნის და მონაცემთა ბაზას, რომელიც შედარებისთვის ბიომეტრიულ მონაცემებს ინახავს.

<u>მრავალფაქტორიანი ავთენტიფიკაცია</u>

მრავალ ფაქტორიანი ავთენტიფიკაცია იყენებს გადამოწმების მინიმუმ ორ მეთოდს. მრავალფაქტორიან ავტორიზაციას შეუძლია შეამციროს სიხშირე ონლაინ იდენტობის ქურდობისა, რადგან მხოლოდ პაროლის ცოდნა არ მისცემს კიბერ კრიმინალებს სისტემაში წვდომის საშუალებას. აუტენტიფიკაციის ძლიერი საშუალებები წარმოადგენენ მნიშვნელოვან ხერხს, პაკეტების სნიფინგის წინაღმდეგ. "ძლიერი" საშუალებების ქვეშ იგულისხმება ისეთი მეთოდები, რომლისთვის გვერდის ავლა ძნელად შესაძლებელია.

მაგალითად, ისეთი აუტენტიფიკაციისა არის ერთჯერადი პაროლები (One Time Passwords, OTP) OTP- ეს არის აუტენტიფიკაციის ორფაქტორიანი ტექნოლოგია, რომლის დროსაც ხდება გათვალისწინება იმისა, რაც თქვენ გაქვთ და იმასა რაც თქვენ იცით, ტიპიური მაგალითია ორფაქტორიანი აუტენტიფიკაციისა წარმოადგენს ბანკომატი, რომელიც ამოგიცნობთ თქვენ, ჯერ ერთი თქვენი პლასტიკური ბარათით და მეორე თქვენი პინ კოდით. აუტენტიფიკაციისათვის OTP სისტემაში აგრეთვე მოითხოვება პინ კოდი და თქვენი პირადი ბარათი. "ბარათის" ქვეშ იგულისხმება აპარატურული ან პროგრამული საშუალება, რომელიც აგენირირებს უნიკალურ (შემთხვევითი შერჩევის პრინციპით) ერთმომენტიან, ერთჯერად პაროლს. თუ ჰაკერი გაიგებს მოცემულ პაროლს სნიფერის საშუალებით, მისთვის ეს ინფორმაცია იქნება გამოუსადეგარი, რადგანაც ეს პაროლი უკვე იქნება გამოყენებული და უვარგისი

შემდგომი გამოყენებისთვის. ავღნიშნოთ, რომ ეს ხერხი სნიფინგის საწინააღმდეგოდ საბრძოლველად ეფექტურია მხოლოდ პაროლის დაჭერის შემთხვევაში, სნიფერი, რომელიც დაიჭერს სხვა ინფორმაციას (მაგ. ელ ფოსტის ინფორმაციას) არ კარგავს თავის ეფექტურობას.

აუტენტიფიკაცია ამოწმებს კომუნიკაციის დროს პირის უტყუარობას. დაშორებული პროცესის უტყუარობის შემოწმება ითხოვს რთულ პროტოკოლებს, დამყარებულს კრიპტოგრაფიაზე.

აღსანიშნავია, რომ ხშირად ერთმანეთში ურევენ ავთენტიფიკაციას და ავტორიზაციას. აუტენტიფიკაცია დაკავებულია მოსაუბრის უტყუარობის შემოწმებით, ავტორიზაციას კი საქმე აქვს ნებართვებთან. მაგ., პროგრამა კლიენტი მიმართავს ფაილურ სერვერს და ეუბნება: "მე ვარ პროცესი A და მინდა test.doc ფაილის წაშლა". ფაილურმა სერვერმა უნდა გადაწყვიტოს:

პირველი - არის თუ არა სინამდვილში ეს პროცესი A? (აუტენტიფიკაცია).

მეორე - აქვს თუ არა A-ს test.doc ფაილის წაშლის უფლება? (ავტორიზაცია).

მხოლოდ იმის შემდეგ, რაც ორივე კითხვაზე იქნება არაორაზროვანი პასუხი გაცემული, შესაძლებელია განხორციელდეს მოთხოვნილი მოქმედება. მნიშვნელოვანია პირველი კითხვა. მას შემდეგ, რაც სერვერმა იცის თუ ვის ელაპარაკება, უფლების შესამოწმებლად საჭიროა მხოლოდ ცხრილების ლოკალურად შემოწმება. ყველა აუტენტიფიკაციის პროტოკოლის მიერ გამოყენებული საერთო სქემა შემდეგნაირია:

